

ფინალური გამოცდის საკითხები

მაქსიმალური ქულა - 40.

საკითხები - 2 რვაქულიანი, 12 ორქულიანი.

დრო - 180 წთ.

- საკითხებზე იმუშავეს- გიორგი ნეფარიძემ,თაკო შავგულიძემ,თათია ნიკვაშვილმა, გიორგი თორდუამ,მარიამ ხუროშვილმა და მარიამ ნუცუბიძემ.
- [გიორგი თორდუა](#)- 15;18.
- [თათია ნიკვაშვილი](#) - 2;12;13;22.
- [გიორგი ნეფარიძე](#) - 3;8;11;17.
- [მარიამ ნუცუბიძე](#) - 4;6;7;9;10;14.
- [თაკო შავგულიძე](#) - 1;5;16;19.
- [მარიამ ხუროშვილი](#) - 20;21.
- თუ ფიქრობთ,რომ საკითხში რაიმე ხარვეზია,მიმართეთ კონკრეტული დავალების ავტორს.
- იხილეთ ასევე [წინა წელს ფინალურ გამოცდაზე მოსული 2 ქულიანი კითხვები და პასუხები](#),რომლებიც შემოგვთავაზეს მაღალკურსელებმა.
- აგრეთვე [წელს შუალედური გამოცდების 2 ქულიანი კითხვები და პასუხები](#),შეკრებილი ჩვენ მიერ.

8 ქულიანი თემები:

1. *დანაშაულთა სახეები ვახტანგ VI-ს სამართლის წიგნის მიხედვით.*

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი ფეოდალური კოდექსია, რომელიც ფეოდალთა ინტერესების სადარაჯოზე დგას. მაგალითის სახით შეგვიძლია მოვიყვანოთ, რომ გლეხის სისხლი ღირდა 12 თუმანი, ხოლო დიდებული თავადის სისხლი 1536 თუმანი.

ვახტანგის სამართლის წიგნში მოცემულია დანაშაულის სხვადასხვა სახე. განვიხილოთ ისინი.

სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებია:

- 1) **სამშობლოს ღალატი.** აღნიშნული დანაშაული გამოიხატებოდა მტრის მხარეზე გადასვლით, რომლისთვისაც დაწესებული იყო გახეიბრება (ერთგვარი სიმბოლური ტალიონი) ან ქონების კონფისკაცია. არ იყო შესაძლებელი ორივე სასჯელის ერთდროულად შეფარდება და მისი არჩევა დამოკიდებული იყო მეფეზე.
- 2) **სამხედრო საიდუმლოების გაცემა.** 221 მუხლში მოცემულია ამ დანაშაულის შესახებ, რომლის მიხედვითაც, მისი გამოსყიდვა სისხლით შეუძლებელი იყო. ეს მუხლი ირიბად მიგვანიშნებს დამნაშავის სიკვდილით დასჯაზე.

3) ქვეყნისა და ქრისტეს რჯულის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული მოცემულია 222-ე მუხლში, რომლის მიხედვითაც, პირი რომელიც ქვეყანას და ქრისტეს რჯულს უორგულებს, მასზე „ყოველი ავი მართებული არის“. ეს მუხლიც ირიბად მიგვანიშნებს სიკვიდლით დასჯის არსებობაზე.

ფართოდაა წარმოდგენილი ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, როგორიცაა: მკვლელობა, სხეულის დაზიანება, ცემა.

კვალიფიციურ მკველობად მიიჩნევა: **ქვეშევრდომის მიერ თავისი ბატონის ან უფროსის მკვლელობას, ჩასაფრებით მკვლელობის მცდელობას** (უნდა ანაზღაურებულიყო ორმაგი სისხლით, ერთი- ჩასაფრებისთვის და მეორე- მოკვლისთვის), **მოწამვლით მკვლელობას** (უნდა ანაზღაურებულიყო ორმაგი სისხლით), **ცოლის მიერ ქმრის მკვლელობას** (არაა სისხლი დადგენილი), **ძმის მიერ ძმის მკვლელობას** (არაა გათვალისწინებული სისხლი. თუ ძმას დარჩებოდა შვილი მაშინ 1,5 სისხლი უნდა გადახდილიყო), **დის მკვლელობა ან ძმის მიერ დის მკვლელობა** (ეს იმდენად მძიმე დანაშაულია, რომ უნდა გაესამართლებინა მეფეს ან კათოლიკოსს), **მამულზე ცილობისას მოდავის მიერ მფლობელის მოკვლა**. მოსამართლეს ჯერ უნდა გაერკვია, თუ ვის ეკუთვნოდა მამული და ამის მიხედვით დაეკვალიფიცირებინა მკვლელობა. თუ ტყუილად მოხდა შეცილება და ისე მოკლა, მკვლელს უნდა გადაეხადა 1,5 სისხლი. თუ მამულის მფლობელი მოკლავდა მოდავეს, მაშინ მას უნდა გადაეხადა სისხლი 2 წილი, ანუ 2/3. თუ შემცილებელი იყო მართალი და იგი მამულის მფლობელმა მოკლა, მაშინ გათვალისწინებული იყო სრული სისხლი, ხოლო სადავო მამული რჩებოდა მოკლულის ოჯახს. **შუამავლის მკვლელობა** (უნდა ანაზღაურებულიყო ორმაგი სისხლით), **ყაზახის (ყაჩაღი) მიერ კაცის მოკვლა მზირობით** (ჩასაფრებით) უნდა ანაზღაურებულიყო სისხლის სამმაგი ოდენობით, თუ ყაზახს მოკლავდნენ, მაშინ მკვლელი თავისუფლდებოდა პასუხისმგებლობისგან. **თანამდებობის პირის მოკვლა**. ამ შემთხვევაში გვარის სიხლს ემატებოდა სახელის სისხლი. ხოლო თუ მკვლელობა მოხდა სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს, ემატებოდა კიდევ დამატებითი გადასახადი.

გარდა დამამძიმებელი გარემოებებისა, კოდექსში შესულია სხვა მის გარეშე არსებული მკვლელობებიც.

ქართული ჩვეულებითი სამართლით, გლეხის სისხლი შეფასებული იყო 60 ძროხად.

განსხვავებულია სისხლის ფასი სხვადასხვა წოდებებისათვის. წარმოვადგინოთ თითოეული მათგანი

დიდებული თავადის სისხლი (დიდი თავადური გვარის უფროსი და ამასთანავე მაღალი თანამდებობის პირნი: ორბელიანი, ციციშვილი, ამილახორი, ქსნისა და არაგვის ერისთავნი, სომხეთის მალიქი)- **1536 თუმანი**. მსგავსად ფასობდა მთავარეპისკოპოსის სისხლიც (ამ წოდებას ფლობდა არაგვის ერისთავის შვილი) . რაც შეეხება მიტროპოლიტის სისხლს, ეს შეადგენდა მთავარეპისკოპოსის სისხლზე 1/5-ით ნაკლებს.

შუა თავადის, დიდებულის სახლის კაცის, ეპისკოპოსის სისხლი - 768 თუმანი

მესამე თავადის, არქიმადრიტის სისხლი- 386 თუმანი

გადიდებული აზნაურის, წინამძღვრის სისხლი- 192 თუმანი

შუა აზნაურის, მღვდელ-მონაზვნის, დიდვაჭრის სისხლი - 96 თუმანი

ცალმოგვის,მესამე აზნაურის, მღვდლის, მეორე ვაჭრის სისხლი - 48 თუმანი

მსახურის, მთავარდიაკვნის,მესამე ვაჭრის სისხლი- 24 თუმანი

გლეხის, მეოთხე ვაჭრის სისხლი- 12 თუმანი

აქვე ვკითხულობთ: „მეფისა, კათოლიკოზისა და უფლისწულისა არა დაგვიწერია რა“.

ვახტანგის სამართლის წიგნში ასევე აღნიშნულია ცეცხლის წაკიდების შედეგად ჩადენილი მკვლელობა, რისთვისაც გათვალისწინებული იყო ერთი სისხლი და ზიანის ანაზღაურება. კანონმდებელი პასუხისმგებლობას აწესებს ასევე სასაფლაოზე ჩადენილი მკვლელობისათვის, რა დროსაც მოკვდა მ სასაფლაოზე მყოფი მკვდრის პატრონი. ამისათვის დაწესებული იყო სისხლის სამმაგი ოდენობა. ერთი- საფლავის შეზღუდვისთვის, ერთი- მკვლელობისათვის და ერთი მიხვდომის, ანუ თავდასხმისათვის. ასევე აღნიშნულია შემდეგი შემთხვევა: სასახლეში ან საკუთარ სახლში თავდასხმის შედეგად მკვლელობა, რისთვისაც დაწესებული იყო ორმაგი სისხლი. ერთი მკვლელობისათვის და ერთი თავდასხმისათვის. ვახტანგის სამართლის წიგნი ითვალისწინებს ასევე პასუხისმგებლობას სხეულის დაზიანებისათვის.

ორი თვალის ან ორი ხელის დაზიანება - სრული სისხლი

45-ე მუხლის მიხედვით, ადამიანის აგებულების სისხლი სამ ნაწილად არის გაყოფილი. ე.ი თვალის, ხელის ან ფეხის სრული დასახიჩრებისას უნდა გადახდილიყო 1/3 სისხლი. თანხრადაა შეფასებული თითო და ერთი კბილი

ჭრილობის სიგრძით განისაზღვრებოდა მისი სიმძიმე. იზომებოდა ქერის მარცვლით. მაგალითად, გლეხს 1 ქერის მარცვალში მიეცემოდა 2 მინალთული, ანუ 1 ძროხა, მსახურს 4 მინალთული და ა.შ

თუ კაცი დაჭრილი იყო თოფით, ისრის, შუბით ან ჯიქურად, ეს ჭრილობაც უნდა გაზომილიყო ქერის მარცვლით და ორმაგად ანაზღაურებულიყო.

გათვალისწინებულია სხვა სახის დანაშაულებიც.

კაცის მიერ ცოლის მიტოვება უმიზეზოდ- უნდა მიერცა სრული სისხლი და მზითევი ქალის მიერ ქმრის მიტოვება- სრული სისხლი

კაცს ცოლი არ უნდა მიეტოვებინა უშვილობის გამო და თუ ამას იზამდა უნდა მიეცა მისთვის სრული სისხლი

აღნიშნულია ქალის მოტაცების საკითხიც. მომტაცებელს ქალი უნდა წაეყვანა ლაშქრით და ყოფილი ქმრისათვის მიეცა 2 სისხლი. ერთი მიხვდომისათვის და ერთი ძალად წართმევისათვის

სხვისი ცოლის მოტაცება და გაყიდვა- 3 სისხლი.

დიდი ადგილი უჭირავს ასევე ქონებრივ დანაშაულებსაც.

ქურდობისათვის გადასახდელი იყო მოპარულის შვიდმაგი ოდენობა. მაგალითად, თუ ქურდი შევიდოდა ოჯახში, სადაც ცოლ-ქმარს ეძინა, იქ ჩადენილი ქურდობა ისჯებოდა არა მარტო ნაქურადლის 7- მაგი ანაზღაურებით, არამედ კიდევ ნახევარი სისხლით, უხამსი ქმედების გამო. ქალისთვის თმის მოჭრა ან სამკაულის მოხსნა უნდა ანაზღაურებულიყო როგორც შვიდეულის წესით, ასევე სისხლის ნახევრითაც.

155-ე მუხლი ეხება საყდრის გატეხვას, ჯვრისა და ხატის დამტვრევას, სახელმწიფოს საღაროს გატეხვას. აღნიშნულის შესახებ კანონმდებელი წერს, რომ ეს საქმე უნდა გადაეწყვიტათ მეფესა და კათალიკოსს.

2. სასამართლოების პირვანდელი ფორმები

საქართველოში. სასამართლო ორგანიზაცია გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში.

ქართული სამართალი სასამართლო ორგანიზაციისა და პროცესის საკითხებს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა, თუმცა აღსანიშნავია, რომ ძველი ქართული სამართალი საკანონმდებლო წესით ერთმანეთისგან არ მიჯნავდა სამოქალაქო და სისხლის სამართლის პროცესებს, მატერიალურ და პროცესუალურ ნორმებს. ძველი ქართული სასამართლო ორგანიზაციისა და პროცესის საკითხების შესწავლაში

- საქართველოში სასამართლოთა ორ უძველეს ფორმას ვხვდებით: **სამედიატორო სასამართლოსა და სახალხო კრებას.**

სამედიატორო სასამართლო მოქმედებდა გვაროვნული წყობილების პერიოდში. გვარში წარმოშობილ კონფლიქტებს წყვეტდა გვარის უფროსი, ხოლო გვარებს შორის უთანხმოების მოსაგვარებლად მიმართავდნენ მედიატორებს, რომლებსაც მხარეები ირჩევდნენ.

სამედიატორო სასამართლოს ძირითადი დანიშნულება მხარეთა მშვიდობიანი მორიგება, მოსალოდნელი სისხლისღვრის თავიდან აცილება იყო. სასამართლო საქმეს ასევე განიხილავდნენ სახალხო კრებები (ე.წ. ყრილობები), რომელთა ფუნქციებიც მრავალფეროვანი იყო. აქ განიხილებოდა საზოგადოებაში არსებული ყველა მწვავე პრობლემა, მათ შორის, სასამართლო დავებიც, რომელთა განხილვისას უპირატესი იყო მთელი საზოგადოების ინტერესის დაცვა.

ცნობილია, რომ სასამართლო ფუნქციები უმაღლესი ადმინისტრაციული უფლების მქონე პირებს გააჩნდათ, მათ შორის, უმაღლეს სამხედრო მთავარსარდალს. სტრაბონის მითითებით, იბერიაში მეფის შემდეგ მეორე პირი სამხედრო საქმესა და მართლმსაჯულებას ახორციელებდა, რაც არ გამორიცხავს იმას, რომ მართლმსაჯულების ფუნქცია მეფესაც ჰქონდა.

- სასამართლო ორგანიზაციამ უფრო დახვეწილი სახე მიიღო გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში. ივ. ჯავახიშვილის აზრით, საქართველოს მოსახლეობა ორ მთავარ სასამართლო უწყებას ექვემდებარებოდა : **სამეფო სასამართლო დაწესებულებებსა და საკათალიკოსო სასამართლო დაწესებულებებს.** ეს უკანასკნელი იხილავდა ქართული ეკლესიის ყველა დაწესებულებაში შემავალ პირთა საქმეებს, მათ შორის, სამონასტრო ყმების საქმეებსაც. ივ. ჯავახიშვილის აზრით, სამოსამართლო უწყებას ამ პერიოდში ერქვა „**სასჯულო სამრეზლო**“, რასაც ვხვდებით დავით აღმაშენებლის 1123 წლის ანდერძში შიომღვიმის მონასტრისადმი.

გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში მართლმსაჯულების განსახორციელებლად მწყობრი სასამართლო სისტემა არსებობდა.

უზენაეს მართლმსაჯულებას ახორციელებდა **მეფე**, რომლის სასამართლოსაც ეწოდებოდა „**სამართალი სამეუფეო**“. მოგვიანებით, ფეოდალური საქართველოს გაძლიერების შემდეგ, მეფე უშუალოდ ვეღარ განიხილავდა სასამართლოს ყველა საქმეს, ამიტომ მეფე მონაწილეობას იღებდა მხოლოდ განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე საქმეების განხილვაში. ცნობილია, რომ დავით აღმაშენებელმა ჩამოაყალიბა სპეციალური სასამართლო დაწესებულება, სადაც დანიშნა „**კაცნი მართლად მცნობელნი და განმკითხველნი**“. მათ უნდა განეხილათ ის საჩივრები, რომლებიც მეფესთან შევიდა და განსახილველად მათ გადასცა. ივ. ჯავახიშვილის მითითებით, ასეთ სასამართლოებს „**სამსჯავრო სახლი**“, „**საბჭო**“ და „**სააჯო კარი**“ ეწოდა.

ივ.ჯავახიშვილის მოსაზრებით, **სააჯო კარი** დავით აღმაშენებლის მიერ შექმნილი უზენაესი სასამართლო ფუნქციების მქონე დაწესებულება იყო. ამ ორგანოს შესახებ „ხელმწიფის კარის გარიგებიდან“ ვიგებთ, რომლის მიხედვით, მეფის შემდგომ პირველი

პირი, მწიგნობართუხუცეს-ჟყონდიდელი კოლეგილურად, საწოლისა და ზარდახნის მწიგნობრებთან ერთად, ორშაბათ დღეს განიხილავდა ქვრივ-ობოლთა და მიმძლავრებულთა (გაჭირვებულთა) სარჩელებს, აჯას. ეს უკანასკნელი არაბული სიტყვაა, რომელიც ძველ საქართველოში ხელისუფლებისადმი მიმართულ თხოვნას აღნიშნავდა. „ხელმწიფის კარის გარიგების“ ამ მონაკვეთში საგულისხმოა, რომ ზარდახნის მწიგნობარი მეფეს „მოახსენებს“ სარჩელს და სწორედ მას გამოაქვს გადაწყვეტილება, ზოგჯერ კი თავად მწიგნობართუხუცეს-ჟყონდიდელი მიდიოდა მეფესთან და არა- მოსარჩელესთან, როგორც ამას ზოგიერთი მეცნიერი განიხილავს.

სავარაუდოა, რომ სხვა დღეებში სხვა მოსამართლეები ახორციელებდნენ მართლმსაჯულებას, ასევე, შესაძლოა, რომ სააჯო კარი მხოლოდ გაჭირვებულთათვის შექმნილიყო.

გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში სასამართლო ფუნქციები **ჰქონდა სახელმწიფო საბჭოს ანუ დარბაზსაც**. მეფე მეტად რთული საქმეების განსახილველად დარბაზის სხდომას იწვევდა, სადაც იხილავდა და წყვეტდა ამ მეტად რთულ საქმეებს სამართლის სპეციალისტების, ანუ *“მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანის”* მეშვეობით, როგორც ამას ოპიზის სიგელიდან ვიგებთ.

აგრეთვე, საქართველოში არსებობდა სპეციალური სასამართლოებიც. მათ შორის **„სამპარავთმძებნელო“ სასამართლოც**. გიორგი III-ის 1170 წლის სიგელით ირკვევა, რომ ამ ორგანოს დანიშნულებას ქურდების ძებნა, მათი აღმოჩენა და გასამართლება წარმოადგენდა. ქურდ დამნაშავეთა გამოაშკარავება სპეციალურ მოხელეთა - „ჩენილთა“ კომპეტენცია იყო. მათ მიერ ხდებოდა ქურდების გასამართლება, ზოგჯერ ჩამოხრჩობა ანუ „განპატიჟება“. ივ. ჯავახიშვილის აზრით, მპარავთმძებნელნი უფროსი მოხელები იყვნენ, ჩენილნი კი მათი ხელქვეითნი.

საქართველოში არსებობდა **წოდებრივი სასამართლოებიც** რაც ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის მე-100 მუხლიდან ჩანს, რომლის მიხედვითაც, მოსამართლე (ბჭე) უნდა ყოფილიყო ან მოძღვარი, ან მეფესთან ზრდილი; კარგი დიდვაჭარი ან სოფლის მამასახლისი. საინტერესოა გრიგოლ ერისთავთერისთავის 1250 წლის დაწერილი, რომლის მიხედვით, თუ დავა იქნებოდა სხვადასხვა წოდების მქონე, სასულიერო და საერო პირს შორის, საერო და სასულიერო მოსამართლეებს ერთობლივად გამოჰქონდათ გადაწყვეტილება.

პროფ. ივ. სურგულაძის აზრით, საქართველოში **არსებობდა ცალკეულ ფეოდალთა სასამართლოები**, სადაც ფეოდალი უშუალოდ ან მოხელების მეშვეობით ასამართლებდა თავის ყმებს.

ამრიგად, გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში არსებობდა შემდეგნაირი სასამართლო სისტემა:

1. უმაღლესი მოსამართლე იყო **მეფე**, რომელიც თვითონ ან სპეციალურ პირთა („კაცნი მართლად მცნობელნი და განმკითხავნი“) მეშვეობით განიხილავდა საქმეებს. (*წყარო: „ქართლის ცხოვრება“*);
2. სასამართლო ფუნქციით აღჭურვილი იყო **დარბაზი**. *(1027-1072 ოპიზის სიგელი)*;
3. არსებობდა **„სააჯო კარი“** ანუ უმაღლესი ინსტანციის სასამართლო, რომელსაც მწიგნობართუხუცეს-ჟყონდიდელი ხელმძღვანელობდა („*ხელმწიფის კარის გარიგება*“);
4. **საკათალისოსო (საეკლესიო) სასამართლო** *(დავით აღმაშენებლის 1123 წლის ანდერძი შიომღვიმის მონასტრისადმი)*;
5. **„სამპარავთმძებნელო“ სასამართლო** *(გიორგი III-ის 1170 წლის სიგელი)*;

6. წოდებრივი სასამართლოები (ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის მე-100 მუხლი);
7. ფეოდალთა სასამართლოები.

3. მეფე, დედოფალი, ფეოდალი, როგორც მოსამართლე გვიანფეოდალურ ქართლ-კახეთში.

მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში ქართლი და კახეთი ერთიანი სამეფოა, ამიტომ სასამართლო ორგანიზაცია აღმოსავლეთ საქართველოში საერთო ნიშნებით ხასიათდება.

მეფე, როგორც მოსამართლე

მეფე, როგორც სახელმწიფოს მეთაური, გვიანფეოდალურ საქართველოშიც უმაღლესი მართლმსაჯულების განმახორციელებელია. მეფე მასთან შეტანილ საჩივარს ან თვითონ არჩევდა ან გადაუზღავნიდა სასამართლოს, ან კიდევ სპეციალურად ავალებდა ვინმეს მის განხილვას. მეფე განიხილავდა ყოველგვარ საქმეს, რომელსაც თავად მოისურვებდა. ძეგლებში არსადაა მითითებული მეფის მიერ გამოტანილი განაჩენის გასაჩივრების წესი, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს იმას, რომ მონარქს განუსაზღვრელი უფლებები ჰქონდა. იგი ხელმეორედ არჩევდა საქმეს ან სხვას ავალებდა მის განხილვას, ერეოდა პროცესში იმ დროს, როცა საჭიროდ მიიჩნევდა და სხვა. ინსტანციები, როგორც ასეთი, არ არსებობდა და საქმეს არჩევდა სასამართლო, მაგრამ მეფესთან შეიძლება სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის გასაჩივრება. საჩივრით შესაძლოა, ბატონიშვილებისთვისაც მიემართათ.

ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნი აზუსტებს მხოლოდ ერთ შემთხვევას, რომელიც მხოლოდ მეფის კომპეტენციას განეკუთვნებოდა. ეს იყო წართმეული და განადგურებული სიგელების აღდგენა. ეს ერთადერთი საქმე იყო, რომელიც აუცილებლად მეფეს უნდა გადაეწყვიტა,

ამასთანავე, ძეგლში მოხსენიებულია რამდენიმე საქმე, რომლებიც, როგორც მეფის, ისე კათალიკოსის იურისდიქციას ეკუთვნოდა. ესენია: მეფისადმი ორგულობა, მეფის სალაროს გატეხვა, საყდრის გატეხვა, ცოლის ტანჯვა ქმრის მიერ და სხვა. ივანე სურგულაძის მიხედვით, მეფის განსაკუთრებულ კომპეტენციაში შედიოდა ასევე ომის დროს მეფის მოლაღატის საქმის გარჩევა. ყველა მნიშვნელოვანი და საჭირობო საქმე მხოლოდ მეფის იურისდიქციაში შედიოდა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ასეთი საქმეები უექველად მეფეს უნდა გაერჩია. “დიდ საქმეს” იხილავდა მეფე და მისი დარბაზი, ხოლო მდივანბეგი მეფის უკითხავად ასეთ მნიშვნელოვან და საჭირობო საქმეებს ვერ გაარჩევდა.

მეფე კვირაში ორ დღეს იჯდა სამდივნო სახლში, ანუ სასამართლოში. მაგალითად, ვახტანგ მე-6 ოთხშაბათსა და პარასკევს იმყოფებოდა სამდივნო სახლში, თუმცა მეფეს ხშირად უწევდა საქმეების განხილვა სამდივნო სახლის გარეთ, ანუ იქ, სადაც დროებით უხდებოდა ყოფნა.

მ. კეკელიას აზრით, მეფის მიერ მართლმსაჯულების განხორციელება მიზნად ისახავდა მეფის მეფის ხელისუფლების განმტკიცებას და საუკეთესო საშუალება იყო ფეოდალთა შესაზღუდავად. ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში ყოფნისას მეფე განიხილავდა ყოველგვარ დავას, მათ შორის ისეთ დავასაც, რომელიც ადგილობრივი ფეოდალის იურისდიქციაში შედიოდა. მეფის განაჩენს ვერცერთი ფეოდალი ვერ შეეწინააღმდეგებოდა.

ხაზგასასმელია, რომ მეფის გადაწყვეტილება იყო საბოლოო და თვით მეფის გარდა მისი გადასინჯვის უფლება არავის ჰქონდა. მეფე კი უფლებამოსილი იყო, გადაესინჯა ნებისმიერი სასამართლო განაჩენი ან შეეჩერებინა მისი აღსრულება.

დედოფალი, როგორც მოსამართლე

საქართველოში სასამართლო ხელისუფლებას დედოფალი არასდროს ახორციელებდა. ამგვარ ფაქტს ისტორიაში მხოლოდ მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში ჰქონდა ადგილი. აქ მხედველობაშია ერეკლე მეორის მეუღლე დედოფალი დარეჯანი, რომელიც მეფის შემდგომ რანგით მეორე მოსამართლედ ითვლებოდა.

დედოფალი მოსამართლეობდა, როგორც პირადად, ისე სხვა პირებთან ერთად.

მდივანბეგთა სასამართლოც არცთუ იშვიათად განიხილავდა საქმეს დედოფლის თავმჯდომარეობით. მხოლოდ მეფეს ჰქონდა უფლება, დაევალებინა დედოფლისთვის სასამართლო საქმის განხილვა.

დედოფალი საქმეებს არჩევდა თავისი ინიციატივითაც. თავის მხრივ, მას შეეძლო, საქმის წარმოება გადაეცა ბატონიშვილისათვის, მდივანბეგისა და ცალკეული ფეოდალებისთვის.

დედოფალს ექვემდებარებოდა თავის საფეოდალო-საგამგებლოში, სახასოში წამოჭრილი საქმეები, თუმცა ასეთ შემთხვევაში მისი სახლთუხუცესები მოსამართლეობდნენ.

დედოფლის სახლთუხუცესის სასამართლო კომპეტენცია შემოიფარგლებოდა დედოფლის სახასოს საჩივრების განხილვით. დედოფალს ორი სახლთუხუცესი ჰყავდა, ერთი - ქართლი, მეორე - კახეთში.

დედოფლის სასამართლო საქმიანობა მთელ სამეფოში ვრცელდებოდა, თუმცა მის უფლებამოსილებებში არ შედიოდა სისხლის სამართლის საქმეების განხილვა. მის იურისდიქციაში შედიოდა ყველა სამოქალაქო დავა სამეფოს მთელ ტერიტორიაზე.

ფეოდალი, როგორც მოსამართლე

ფეოდალი მოსამართლედ, ბუნებრივია, მხოლოდ მის სამფლობელოში გვევლინებოდა. იგი განიხილავდა მის სამფლობელოში მომხდარ, როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო სამართლის შედარებით ნაკლებმნიშვნელოვან საქმეებს. “დიდი საქმეების” გადაწყვეტა ფეოდალის კომპეტენციაში არ შედიოდა.

მე-18 საუკუნის დოკუმენტები ცხადყოფს, რომ სამეფო ხელისუფლება ცდილობდა, განეგრძო თავისი იურისდიქცია მდივანბეგთა ინსტიტუტის ხარჯზე. მიუხედავად ამისა, ფეოდალურ საზოგადოებაში ფეოდალს რჩებოდა სასამართლო ფუნქციები, რომლებიც შეზღუდული იყო ცენტრალური ხელისუფლების მიერ დადგენილი “ბატონყმობის რიგით”. იმ დროისთვის ფეოდალებს აღარ ჰქონდათ განუსაზღვრელი უფლებები ყმებზე. ეს უკანასკნელნი ხშირად მიმართავდნენ მეფეს ან მისი ოჯახის წევრებს საჩივრებით თავიანთ ბატონზე.

მ. კეკელიას განმარტებით, მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში ფეოდალები განიხილავდნენ სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებს, გარდა მკვლელობისა და იმ “დიდი საქმეების” გარდა, რომლებიც ცენტრალური ხელისუფლების ინტერესს წარმოადგენდა. ზოგიერთი ფეოდალი განიხილავდა ისეთ საქმეებს, როგორებიცაა: დაჭრა, ტყვედ შეპყრობა, გაუპატიურება და ციხეები დაქცევა. ასევე არჩევდნენ სამამულო და სამიჯნო დავებს ყმებს შორის.

მეფისა და მისი ოჯახის წევრების განკარგულებით, ფეოდალი არჩევდა დავებს სხვა ფეოდალებს შორის, რომლებიც იერარქიულად მასზე დაბლა იდგნენ.

4. მდივანბეგთა სასამართლო გვიანფეოდალურ ქართლ-კახეთში.

გვიანფეოდალურ საქართველოში სასამართლო დაწესებულებას “დივანს” უწოდებდნენ, რაც სპარსული სიტყვაა და სახელმწიფო კრებას, კანცელარიას, დაწესებულებას ნიშნავს. ამ სიტყვიდან წარმოდგა მდივანბეგისა და მდივნის სახელწოდება. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ სასამართლო დაწესებულებას ეწოდებოდა “სამდივნო სახლი”. გვიანფეოდალური საქართველოს სამეფო-სამთავროებში სასამართლო ორგანიზაციის ძირითადი, სპეციალიზებული დაწესებულება იყო ცენტრალური ხელისუფლების მდივანბეგების სასამართლო. მიუხედავად იმისა, რომ მართლმსაჯულებას მაშინდელ საქართველოში სხვა პირებიც ასრულებდნენ (მათ შორის სახელისუფლებო და მმართველობითი ფუნქციების მატარებელნიც), ამ მხრივ მთავარ ფიგურად მაინც მდივანბეგი გვევლინება. ის გახლდათ სპეციალიზებული სასამართლო მოხელე, მხოლოდ სასამართლო ფუნქციებით აღჭურვილი. მდივანბეგობის სახელო, ანუ ხსენებული თანამდებობა, საქართველოში XVII საუკუნეში შემოვიდა.

მდივანბეგის სასამართლო გახლდათ კოლეგიალური ორგანო. არსებობს მოსაზრება, რომ ვახტანგ VI-ის კანონების მიხედვით მდივანბეგი ეწოდებოდა სასამართლოს უფროსს, უფროს მოსამართლეს.

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს შემადგენლობა ზუსტად არ იყო განსაზღვრული, სავარაუდოდ ის 3 კაცზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. ვალერიან გაბაშვილის განმარტებით მდივანბეგთა სასამართლოში შედიოდნენ:

1. მდივანბეგი- უფროსი მოსამართლე;
2. მსაჯულები, ანუ მოსამართლეები;
3. მდივანი - რომლის ფუნქციაც ორივე მხარის ჩვენებების ჩაწერა, აგრეთვე სამართლის წიგნის იმ მუხლების წაკითხვა, რომლებიც ეხებოდა განსახილველ საქმეს;
4. იასაულნი- რომლებიც ორ ჯგუფად იყოფოდნენ -
 - ა) “მართლის მთქმელნი უქრთამო იასაულნი” - მათ საგამომიებო ფუნქცია ეკისრათ;
 - ბ) “გაწყრომისა და დაჭერის იასაულნი” - ევალეობდათ დამნაშავეების შეპყრობა და განაჩენის სისრულეში მოყვანა.

ისტორიკოსთა აზრით XVII საუკუნის ქართლის სამეფოში რამდენიმე მდივანბეგი არსებობდა, XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში მინიმუმ სამი მდივანბეგი იყო, ხოლო მეორე

ნახევარში ეს ინსტიტუტი განსაკუთრებულად გაძლიერდა. 60-იან წლებში მდივანბეგთა რაოდენობა სულ 28 იყო.

მდივანბეგი მხოლოდ მეფის, ე.ი კარის მოხელეა. მდივანბეგი არ ჰყავდა არც ერთ საფეოდალოს, ამიტომ მისი კომპეტენცია მეფის ხელისუფლების სიძლიერით განისაზღვრებოდა. მდივანბეგს ხელი მიუწევდებოდა როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო ხასიათის საქმეთა განხილვაზე. სისხლისა და სამოქალაქო სამართლის მნიშვნელოვანი და რთული საქმეები ამოღებული იყო ადგილობრივი მოხელეებისა და ფეოდალების იურისდიქციიდან და ისინი მდივანბეგს, ან მეფესა და დარბაზს ექვემდებარებოდა. მეფის ხელისუფლება თავად ცდილობდა ადგილობრივი მოხელეებისა და ფეოდალების კომპეტენციიდან ამოეღო განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საქმეები.

არსებობდა ე.წ სპეციალური კომპეტენციები. მაგალითისთვის, მკვლელობის საქმე უნდა გარჩეულიყო მდივანბეგის მიერ, ასევე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სისხლის სამართლის საქმეები-ღალატი, სალაროსა და ეკლესიის მარცვა-მეფისა და დარბაზის იურისდიქციაში შედიოდა. თუმცა, შესაძლებელი იყო მისი თავისებურებისა და გამო, მკვლელობის საქმე აგრეთვე დარბაზისა და მეფის გასარჩევი ყოფილიყო.

სისხლის სამართლის ზოგიერთი სხვა საქმე ექვემდებარებოდა ადგილობრივ ფეოდალს ან მოხელეს, ანდაც ხევსთავს. მაგალითად “დასტურლამალისა” და სხვა წყაროების მიხედვით, მსგავსი საქმეები გახლდათ: თავის გატეხა, ხელის მოტეხა, კბილების ჩამომტვრევა და სხვა.

ასევე მდივანბეგის განსაკუთრებულ კომპეტენციას მიეკუთვნებოდა ე.წ “დიდი საქმე” ეს შეიძლება როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო სამართლის საქმე ყოფილიყო. “დიდი საქმეების” ნაწილი მეფესა და დარბაზს ექვემდებარებოდა, ხოლო ნაწილი- მდივანბეგს. ხაზგასასმელია რომ ის ფაქტი, მდივანბეგი განიხილავდა მკვლელობის საქმეს, სულაც არ ნიშნავს მისი კომპეტენციის მხოლოდ მსგავსი საქმეებით შემოფარგვლას. მდივანბეგს შეეძლო მკვლელობაზე უფრო მცირე მნიშვნელობის საქმეებიც გაერჩია.

მდივანბეგს ასევე ის საქმეებიც ექვემდებარებოდა, რომელთა მონაწილე მხარეები პირადად მას მიმართავდნენ. კანონმდებლობის მიხედვით, მოქალაქეთა საჩივარი მოურავს უნდა გაერჩია, სადედოფლო სასამართლო საქმეები- დედოფლის სახლთუხუცესს, მაგრამ თუ მხარეები თავისი სურვილით მიმართავდნენ მდივანბეგს, იგი უფლებამოსილი იყო გაერჩია საქმე.

5. დიკასტერია გვიანფეოდალურ ქართლ-კახეთში

დიკასტერია ქართ-კახეთში დააარსა ანტონ I-მა (ერისკაცობაში თეიმურაზ იესეს ზე ბაგრატიონი) XVIII საუკუნის 70- იან წლებში, რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ. დიკასტერიის დაარსება უკავშირდება საბერძნეთს, კერძოდ კლისთენეს რეფორმების შედეგად, შეიქმნა ჰელიკა, რომელიც იყოფოდა დიკასტერიებად. სულ იყო 10 დიკასტერია, რომელშიც მოღვაწეობდა 500 ნაფიცი მსაჯული.

საქართველოში დიკასტერია წარმოადგენდა საეკლესიო მმართველობის უმაღლეს ორგანოს, რომელიც ახორციელებდა სასამართლო ფუნციებს.

მ. კეკელიას განმატებით, სასულიერო ხასიათის დავებს განიხილავდა არა მხოლოდ დიკასტერია, არამედ მეფე, კათოლიკოსი, ბატონიშვილები, მდივანბეგი და ის, თუ ვის უნდა განეხილა საქმე, დამოკიდებული იყო საქმის შინაარსსა და მასში მონაწილე სუბიექტებზე. აღსანიშნავია, რომ სასამართლო ფუნქციები ჰქონდა ასევე მონასტრის წინამძღვარს(ილუმენს), შემდგომ ინსტანციას წარმოადგენდა ეპისკოპოსი, შემდეგ კათოლიკოსი დიკასტერიასთან ერთად და ბოლოს საეკლესიო კრება.

თავად კათალიკოსი იშვიათად მონაწილეობდა დიკასტერიის მუშაობის პროცესში, იგი ამტკიცებდა მის განაჩენებსა და გადაწყვეტილებებს. დიკასტერიის წევრთა რაოდენობა განისაზღვრებოდა 3-5 წევრით. 1801 წლამდე ჯამში გვხვდება მონაწილე 14 პირი, აქედან 2 კათოლიკოსი (ანტონ I და ანტონ II), ეპისკოპოსები, მღვდლები. დიკასტერია საქმეს განიხილავდა კათოლიკოს პატრიარქის რეზიდენციაში.

მის კომპეტენციას განეკუთვნებოდა: ყოველგვარი დავის განხილვა მონასტრებსა და ეკლესიებს შორის; ეკლესიებისა და მონასტრების ყმათა ქონების ხელყოფის საკითხები; საჩივრები ეკლესია-მონასტრების მიწებისა და ყმების მიმტაცებელთა წინააღმდეგ; სასულიერო პირების ყოველგვარი უღირსი საქციელს როგორც ყოფაში, ისე მღვდელთმსახურებაში; სასულიერო პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულები; შვილად აყვანისა და განქორწინების საკითხები უკანონო ქორწინებასთან დაკავშირებულ საკითხები; ყოფითი დავები ოჯახის წევრთა შორის.

საჩივარი იწერებოდა დიკასტერიის სახელზე, თუმცა საქმის განხილვა შეიძლება დაევალებინა მეფეს, კათოლიკოსს, დედოფალს ან ბატონიშვილს. პრაქტიკაში არსებობდა ასევე საერო სასამართლოს მიერ სასულიერო პირისათვის სასჯელის დაკისრება. რუსული მმართველობის დამყარებასთან ერთად, დასრულდა დიკასტერიათა მოქმედება.

6. სასამართლო პროცესი ძველქართულ სამართალში.

მეხუთე საუკუნიდან XIX საუკუნემდე საქმის გამრჩევი ყველა პირი იწოდებოდა **მსაჯულად, ბჭედ ან მოსამართლედ**. უფრო კონკრეტულად, V- X საუკუნეებში სადავო საქმის გამრჩევი პირის მნიშვნელობით იხმარებოდა **მსაჯული** და **ბჭე**. უკვე XI საუკუნიდან ჩნდება ტერმინი **მოსამართლე**, რომელიც გვხვდება ბჭესთან და მსაჯულთან ერთად. ბაგრატ კურაპალატის, ბექა-აღბუღას სამართლის წიგნები ტერმინებს “მსაჯული”, “მოსამართლე” - არ იცნობენ. მათ ადგილას დგას “ბჭე”, რომელიც გახლდათ **ხელისუფლების მოსამართლე**. ვახტანგის სამართლის წიგნში სადავო საქმის გამრჩევი პირი იხსენიება როგორც “მსაჯულად”, ისე “ბჭედ”, “მოსამართლედ”, “მდივანბეგად”, “შუაკაცად”. აქ მდივანბეგი, მსაჯული, მოსამართლე, ბჭე ხელისუფლების წარმომადგენელი მოსამართლეა. ტერმინ “ბჭესთან” დაკავშირებით სურათი იცვლება XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. ამ პერიოდში “**ბჭეს**” აღმოსავლეთ საქართველოში თანდათან ჩამოშორდა ხელისუფლების მოსამართლის შინაარსი და, ძირითადად, ჩვეულებითი სამართლის ინსტიტუტის მოსამართლედ იქცა, როგორც მოდავე მხარეების მიერ არჩეული საქმის განმხილველი პირი. იმერეთის სამეფოში კი XIX საუკუნემდე საქმის გამრჩევი ყველა პირი, ხელისუფლების მოსამართლე თუ მხარეთა მიერ არჩეული, ბჭედ იწოდებოდა.

ქართული სამართლის ძეგლებში დიდი ადგილი უჭირავს მოსამართლისათვის აუცილებელი თვისებების ჩამოთვლას. მაგალითად:

- **ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის** მიხედვით - მოსამართლე უნდა იყოს ღვთისმოსში, სამართლიანი, მოუსყიდველი, მიუდგომელი, რომელიც არც ბატონის, არც მშობლების, არც ძმისა და მოყვასთა ხათრით უსამართლობას არ ჩაიდენს და მართალ სამართალს გააჩენს;
- **ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის** მიხედვით კი - მოსამართლე უნდა იყოს დიდად მჩხრეკელი, მიმხუდარი, გამომძიებელი, გონება-აუჩქარებელი, დაწყნარებული, გამგონე, საჩივრის ყურის მიმგდები, გამსინჯავი, მოწმის მამებარი, უქრთამო, ღვთისმოსში. თუმცა ზოგ შემთხვევებში მოსამართლის გაწყრომაც დაიშვებოდა, რათა ქურდი, ავაზაკი, ტყუილად მთხრობელი ან მოწმე გამოეტეხა, პირისთვის არ მიეცა ტყუილის თქმის საშუალება. ასევე დადგენილი გახლდათ, რომ მოსამართლე **40 წელილიწადს გადაცილებული, ღვთისმოსში** უნდა ყოფილიყო. არსებობდა გარკვეული ნეგატიური კრიტერიუმიც, კერძოდ, მოსამართლე არ უნდა ყოფილიყო ღარიბი.

სასამართლო პროცესის განხილვისას მნიშვნელოვანია რამდენიმე ტერმის აღნიშვნა:

- **მოსამართლის მიერ საქმის გარჩევას** ეწოდებოდა : “სამართლის ქნა”; “გასამართლება”; “განკითხვა”; “ბჭობა”; “განბჭობა”; “გაბრჭობა”;
- **სასამართლო პროცესში მონაწილე მხარეებს** “მოდავეები” ეწოდებოდათ. დაჯარალეზულ, მოსარჩელე, მხარეს “მოჩივარს” უწოდებდნენ, ხოლო მოპასუხეს - “მოადს”;
- **დანაშაულში ბრალდებას** “შეწამება ერქვა”; ბრალმდებელს “შემწამებელი”, ბრალდებულს კი- “შეწამებული”.
- **როდესაც ბრალდება დასმენის საფუძველზე ხდებოდა**, ამას “შესმენა” ეწოდებოდა, აქედან ბრალდებულს “შესმენილი” ერქვა, ბრალმდებელს კი- “შემსმენელი”;
- **მოძივანის მიერ მოთხოვნას**, სასამართლოსათვის მოხსენებას, ეწოდებოდა “სარჩელი” ან “საჩივარი”;
- **მხარეთა შორის ურთიერთდავას** ერქვა “სარჩვლა”, “ცილება”, “ჩივილი”. თუ ბრალდებული უარყოფდა მის მიმართ წაყენებულ ბრალდებას, “ამოროს”, “ამას” ეტყოდა ბრალმდებელს;
- ივანე ჯავახიშვილის ვარაუდით, **დამცველს** ეწოდებოდა “მეოხი”.

სასამართლო პროცესის განხილვისას მნიშვნელოვანია გამოიყოს აგრეთვე პროცესის ხასიათი, ფორმა, რომლის მიხედვითაც სამი მნიშვნელოვანი სახესხვაობა არსებობდა:

- **საბრალდებო პროცესი**;
- **ინკვიზიციური, ანუ სამძებრო პროცესი**;
- **შერეული პროცესი**.

ფეოდალურ საქართველოში ფიქსირდება პირველი ორი, უმთავრესად კი საბრალდებო პროცესი.

საბრალდებო პროცესის ძირითადი მახასიათებლები იყო: შეჯიბრებითობის პრინციპი, მხარეთა თანასწორი უბედებები საქმის წარმოებისას, მათი მხრიდან ინიციატივა, მხარეების მიერ მტკიცებულებათა შეგროვება, მოსამართლის პასიური როლი, არავითარი წინასწარი გამოძიება, ზეპირობა, საჯაროობა;

ინკვიზიციური, ანუ სამძებრო ფორმა კი საბრალდებო პროცესის სრული ანტიპოდი. მას ახასიათებდა - სისხლის სამართლის საქმის აღძვრა სახელმწიფო მოხელეთა ინიციატივით, შეჯიბრებითობის პრინციპის არარსებობა, მხარეთა ფუნქციების სასამართლოს მიერ შესრულება, მის მიერ მტკიცებულებათა მოგროვება, ანუ სასამართლოს აქტიური როლი, საჯაროობის პრინციპის უარყოფა, პროცესის წერილობითი, საიდუმლო ფორმა, წინასწარი საგამოძიებო სტადიის არსებობა.

მიუხედავად იმისა, რომ ფეოდალურ საქართველოში პროცესის ძირითადი სახე საბრალდებო იყო, რამდენიმე სამართლებრივ წყაროში უშუალოდ მითითებაა სამძებრო პროცესის არსებობაზე. მაგალითისთვის, ამის მამტიკიცებელია “ვახტანგის სამართლის წიგნი”, რომელშიც იასაულზეა საუბარი, უფრო ადრეულ პერიოდში კი მნიშვნელოვანია გიორგი III-ის 1170 წლის სიგელი, რომელშიც გადმოცემულია “სამპარავთმძებნელო” სასამართლოს შესახებ. აგრეთვე “დასტურლამალიც” განასხვავებდა “**დანისტრად**”, ანუ წინასწარი გამოძიებით, და “**უდანისტროდ**”, მსგავსი გამოძიების გარეშე, საქმეთა განხილვას, რაც აგრეთვე მიანიშნებს სამძებრო პროცესის არსებობაზე.

სასამართლო პროცესი თავის მხრივ ძირითადად 3 ეტაპისაგან შედგებოდა. ესენი იყო:

- **საქმის აღძვრა და განხილვა;**
- **განაჩენის გამოტანა და გასაჩივრება;**
- **განაჩენის აღსრულება.**

განვიხილავ თითოეულ მათგანს-

ა) საქმის აღძვრა და განხილვა. საბრალდებო პროცესის ბატონობის პერიოდში არავითარი განსხვავება არ არსებობდა სისხლისა და სამოქალაქო საქმეების აღძვრისა და არსებითი განხილვის წესებში. საქმეს აღძრავდა დაზარალებული მხარე. სახელმწიფო ორგანოს მიერ საქმის აღძვრა მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში ხორციელდებოდა. საჩივარი მიმართული იყო მეფის ან მოსამართლეებისადმი. შემდეგ მეფე განსაზღვრავდა, თუ ვის უნდა განეხილა საქმე და მას კონკრეტულ მოსამართლეს გადასცემდა.

გვიანფეოდალური ხანის სასამართლო პროცესზე შეიძლება თითოეულ მხარეს რამდენიმე ბრალმდებლისა და მოპასუხის არსებობა. ხდებოდა ისიც, რომ მთელი სოფელი გამოდიოდა მოდავე მხარედ. თუ მოპასუხე არ ცხადდებოდა სასამართლო პროცესზე, მოსამართლე იღებდა ზომებს მის მოსაყვანად.

საქმის განხილვა სასამართლოში იწყებოდა დაზარალებულის სარჩელის მოსმენით. პროცესი ძირითადად ზეპირად მიმდინარეობდა. მოსარჩელეს შეეძლო ერთი სარჩელით ედავა მრავალ სხვადასხვა საგანზე, თუ დავა მიმართული იყო ერთი

კონკრეტული პირის ან პირების წინააღმდეგ.თუ მოპასუხე მხარესაც რაიმე სადავო ჰქონდა მოსარჩელესთან,მასაც შეეძლო ბრალდების წაყენება.მხარე პროცესზე შესაძლოა მომჩივანიც ყოფილიყო და მოპასუხეც.მოპასუხეს უფლება ჰქონდა გასცნობოდა მის მიმართ წაყენებულ საჩივარს და პროცესზე თავი ემართლებინა.სასამართლოს შეეძლო რამდენჯერმე მოესმინა მხარეებისთვის.მოსამართლე უშუალოდ უსმენდა მხარეებს,მათ მოწმეებს და აფასებდა მტკიცებულებებს.თუ სასამართლო საჭიროდ ჩათვლიდა,შეეძლო ჩაეტარებინა ადგილობრივი დათვალიერება.

ბ) განაჩენის გამოტანა და გასაჩივრება.სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას “განაჩენი” ერქვა როგორც სისხლის,ისე სამოქალაქო სამართლის საქმეზე.სასამართლო თავის გადაწყვეტილებას წერილობითი სახით ორივე მხარეს აძლევდა.

ვახტანგის სამართლის წიგნი აღწერს,თუ როგორ უნდა მომხდარიყო განაჩენის გაფორმება.აქ აღნიშნულია,რომ სხდომის დაწყების შემდეგ უნდა გამოეტანათ სათანადო წესით შენახული სამართლის წიგნი,რომელსაც გახსნიდა მდივანბეგი.მას მდივანი კითხულობდა,როდესაც მოსამართლეები განაჩენის დასაწერად დასხდებოდნენ.განაჩენში უნდა მიეთითებინათ სამართლის წიგნის ის თავი,მუხლი,რომელიც კონკრეტულ შემთხვევას შეუფარდეს,რომ გამტყუნებულ მხარეს თავი დაჩაგრულად არ ეგრძნო. თუმცა გვხვდება განაჩენებიც შესაბამისი მუხლის მითითების გარეშეც.

გავრცელებული იყო გასაჩივრება. მას აღნიშნავდნენ შემდეგი სიტყვებით: „სასამართლოში მეორედ შესვლა“. არსებობდა ჯარიმა დაუსაბუთებელი გასაჩივრებისთვის.საჩივარს უნდა ჰქონოდა რაიმე საფუძველი. ასეთ საფუძველად მიიჩნეოდა საქმესთან დაკავშირებული ახალი გარემოება. მეფე იყო უზენაესი მოსამართლე და ხშირად თავად განიხილავდა საჩივრებს. მას ყოველთვის შეეძლო გამოტანილი განაჩენის გაუქმება. მეფეს შეეძლო დაევალებინა საქმის ხელახალი განხილვა ბატონიშვილების, მდივანბეგებისთვის. შეეძლო უარის თქმა,თუ დარწმუნდებოდა საჩივრის უსაფუძვლობაში. მეფის გადაწყვეტილების შეცვლა მის გარეშე შეუძლებელი იყო. საქმის გასაჩივრებისათვის საჩივრის მიღების უფლება ჰქონდათ ბატონიშვილებსა და დედოფალსაც, საეკლესიო დავებზე კი კათალიკოსსაც. ისინი ან თავად განიხილავდნენ საქმეს ან გადასცემდნენ სხვა პირებს განხილვისთვის იერარქიის პრინციპის დაცვით. განმეორებით საქმეებს ძირითადად მდივანბეგთა სასამართლო განიხილავდა ზემოთჩამოთვლილ პირთა ნებართვით. გასაჩივრების შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის აღსრულების შეჩერება ხდებოდა.

სასამართლოთა მიერ გამოტანილი განაჩენი უნდა დამტკიცებულიყო იმ პირების მიერ, რომელთა დავალებითაც ხდებოდა საქმის განხილვა(მეფე, დედოფალი, ბატონიშვილი, კათალიკოსი, ცალკეული ფეოდალები). მხოლოდ დიკასტერიის გადაწყვეტილებას ამტკიცებდა კათალიკოსი.

გ) განაჩენის აღსრულება. მთავარი სასამართლო აღმასრულებელი იყო **იასაული**. მისი ვალდებულებები შეიძლება დაკისრებოდა რომელიმე სახელმწიფო მოხელეს ან რიგით ადამიანს (იმ შემთხვევაში, თუ საკუთარი ავტორიტეტის მეოხებით შეეძლო ამ დავალებათა შესრულება). იასაული კონკრეტული საქმის აღმასრულებლად ინიშნებოდა და აღსრულების შემდეგ კარგავდა ფუნქციას. ის იღებდა გასამრჯელოს.

საქმის სირთულიდან გამომდინარე შეიძლება დანიშნულიყო ორი,სამი ან მეტი იასაული. არსებობდნენ სახელმწიფო კარზე მომუშავე სპეციალური იასაულები, რომლებიც

ჩვეულებრივი იასაულებრისგან განსხვავებით ახორციელებდნენ მეფისა და სხვა უფლებამოსილი პირების ბრძანებას.

XVIII ს-ის II ნახევრიდან სასამართლო აღმასრულებლებად ინიშნებიან ეშიკადასბაში და ნასაღჩიბაში.

ეშიკადასბაში - პოლიტიკურ-ადმინისტრაციული აპარატის ხელმძღვანელი. აღმოსავლეთ საქართველოში ძირითადად ის და მისი ხელქვეითები აღმასრულებდნენ სასამართლო გადაწყვეტილებას. იყვნენ ოცამდე. ისინი ჰყავდა მეფეს, დედოფალს, ბატონიშვილებს და კათალიკოსსაც.

ნასაღჩიბაში - ევალეზოდა დამასახიჩრებელი სასჯელის აღსრულება.

7. *ფიცი, როგორც მტკიცებულება ძველქართულ სამართალში.*

ფიცი, როგორც სამართლის მტკიცებულება, თითქმის ყველა ხალხის სამართლისთვისაა ცნობილი. გამოწვევისი არც საქართველოა. მას ქართული სამართლის არაერთ ძეგლში ვხვდებით. ვახტანგის სამართლის წიგნი მას პირველხარისხოვან მტკიცებულებად ასახელებს. ხაზგასასმელია, რომ ფეოდალურ საქართველოში ფიცის გამოყენება სხვა მტკიცებულებებთან შედარებით უფრო ინტენსიური იყო. თუმცა ვახტანგის სამართლის წიგნში კანონმდებელი მოუწოდებს მოსამართლეებს მოერიდონ ფიცით საქმის გადაწყვეტას. მას მხოლოდ მაშინ მიმართავდნენ, როცა სხვა მტკიცებულება სახეზე არ იყო.

ფიცს ძირითადად აკისრებდნენ მოპასუხეს, ბრალდებულს, ქონებაზე დავისას კი იმ პირს, რომელიც ფლობდა ამ ქონებას.

„ფიცის დადებას“ თავისი რიტუალი ჰქონდა. სიტყვებს, რომელიც დამფიცებელს უნდა წარმოეთქვა, სასამართლო განსაზღვრავდა. ფიცის შინაარსი გამოდიოდა საქმიდან, დამფიცებელი კონკრეტულ ფაქტს უარყოფდა ან ადასტურებდა ფიცით, მაგრამ ისე, რომ არ ყოფილიყო სიტყვების თამაში. უმეტესად იფიცებდნენ ოჯახის წევრებს, ჩამომავლობას, მშობლებს. რიტუალი ძირითადად ტარდებოდა ეკლესიაში (გამონაკლისი იყო მიჯნაზე დავა). ხატსა და ეკლესიას არჩევდა მომჩივანი ან მოსამართლე. თანამოფიცრებს უნდა დაედასტურებინათ: „მართლა ფიცა, მაგისმა მადლმანო“. მამულზე დავისას სადავო მამულის შემოვლით ხდებოდა დაფიცება.

ხალხის რწმენით ტყუილად დამფიცებელს დაატყდებოდა ღვთის რისხვა. კანონმდებელი განსაზღვრავს იმ ხალხის წრეს, რომელსაც დაფიცება არ შეეძლო, მაგალითისთვის, ასეთი პირები იყვნენ: ჭკუასუსტნი, უსაკონი, ფიცის ურწმუნონი. ვახტანგის სამართლის წიგნი ასევე გამორიცხავს ქალის ფიცსაც. მის ნაცვლად იფიცებდა მოსამართლის მიერ არჩეული ახლობელი მამაკაცი. მძიმე დანაშაულად მიიჩნეოდა ცრუ ფიცი.

მოფიცართან ერთად უნდა დაეფიცა თანამოფიცარსაც. თანამოფიცარი იფიცებდა ძირითადი მოფიცრის კეთილსინდისიერებაზე. ასევე შეეძლო ფიცით დაედასტურებინა ის, რაც იცოდა საქმესთან დაკავშირებით.

თანამოფიცარი არსებობდა ორი სახის: „შეგდებული“ და „შეუგდებული“ (ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი); „დასახელებული“ და „დაუსახელებელი“ (ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი). „შეგდებული“/ „დასახელებული“ - სახელებს მომჩივანი, სავალდებულოა ბრალდებულისთვის. ისინი შეიძლება ყოფილიყვნენ: აზნაური, მსახური ან გლეხი. მათი დაყოლიება დაფიცებაზე მოპასუხის მოვალეობა იყო. თუ ისინი განუცხადებდნენ, რომ ვერ

დაიფიცებდნენ, მოპასუხე საქმეს აგებდა. „შეუგდებელი“/ „დაუსახელებელი“- ირჩევს ბრალდებული.

ვახტანგის სამართლის წიგნში ბრალის დადების ორი ფორმაა: **მთხრობელითა და ცილით** (უმთხრობლად). მთხრობელის ბრალდება უფრო საფუძვლიანია ვიდრე ცილობა.

უმთხრობლად შეწამებისთვის შეუგდებელი თანამოფიცარია აუცილებელი, მთხრობელით შეწამებისას კი შეგდებული. შეგდებული თანამოფიცარის დანიშვნა დამოკიდებულია დანაშაულის სიმძიმეზე. სასამართლო წყვეტდა რომელს დანიშნავდა.

სოციალურად თანამოფიცარი შეიძლება ყოფილიყო მოფიცრის ახლობელი, მისდამი დაქვემდებარებული პირი. არსებობდა წოდებობის პრინციპი. უფრო დაბალი წოდების პირს არ შეეძლო ფიცით ემართლებინა თავი,თუ ბრალდებული იყო უფრო მაღალი წოდების პირის მკვლელობაში. მაშინ მას ორდალით უნდა ემართლებინა თავი.

ზოგ შემთხვევაში აუცილებელი იყო,რომ თანამოფიცარი ყოფილიყო გარეშე პირი. გარეშე თანამოფიცარი უნდა ყოფილიყო დამფიცებლის საკადრისი, ტოლი, არც მტერი და არც მოყვარე, არცერთი მხარის ბატონის ყმა, მისივე ხეობის მცხოვრები. ზოგ შემთხვევაში, მაგ. მამულზე დავისას, თანამოფიცარი ვერ იქნებოდა გარეშე პირი, რადგან მას ვერ ეცოდინებოდა სადავო მამულის,მისი საზღვრების შესახებ.

ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით თანამოფიცართა რაოდენობა დამოკიდებული იყო საქმის მნიშვნელობასა და თანამოფიცართა სოციალურ მდგომარეობაზე, ასევე სადავო ქონების ღირებულებაზე. სავალო საქმეებზე მათი რაოდენობა განისაზღვრებოდა ვალის ოდენობითა და სოციალური მდგომარეობით. ორი დიდებული თავადის ფიცი გათანაბრებული იყო 20 შუა თავადისა და 60 უმცროსი თავადის ფიცთან.

თანამოფიცართა ინსტიტუტი ნელ-ნელა ძალას კარგავს. ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით, ქალაქში თანამოფიცართა ინსტიტუტი არ არსებობდა, ხოლო მოსამართლეს თანამოფიცართა შემცირების უფლებას აძლევდა.

ფიცისა და თანამოფიცარის ინსტიტუტის კრიზისი საქართველოში ნამდვილად იყო, ამაზე მეტყველებს:

- ფიცი,როგორც მტკიცებულება, გამოიყენებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც სხვა მტკიცებულება არ იყო;
- თანამოფიცართა რიცხვის შემცირების ტენდენცია;
- ამ რიცხვის განსაზღვრის უფლების მოსამართლეებისთვის მინიჭება;
- ქალაქში თანამოფიცრის ინსტიტუტის არარსებობა.

ნელ-ნელა ყალიბდებოდა სასამართლო მტკიცებულებათა უფრო მაღალგანვითარებული სისტემა,რომლის მიხედვითაც ფიცი და თანამოფიცარი თანდათან კარგავდა პირველხარისხოვანი მტკიცებულების მნიშვნელობას.

8. მოწმის ჩვენება ძველქართულ სამართალში.

საპროცესო სამართალში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასამართლო მტკიცებულებებს. ქართულ მტკიცებულებით სამართალში მტკიცებულებას ზოგადად **საბუთი** ეწოდებოდა, მიუხედავად იმისა, იგი ფიცი იქნებოდა, წერილობითი დოკუმენტი თუ მოწმის ჩვენება.

ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის მე-6 მუხლში ჩამოყალიბებულ დამამტკიცებელ საბუთთა სისტემა 6 მტკიცებულებისაგან შედგება: ფიცი, შანთი, მდულარე, ხმალი, მოწმე, ცოდვის მოკიდება.

მოწმის ჩვენება მტკიცებულებებს შორის ერთ-ერთი საბუთი იყო. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ მე-9-14 საუკუნეებში, როდესაც ქართული სახელმწიფოებრიობა განვითარების მაღალ საფეხურზე იდგა და სამართლებრივი კულტურაც მისი ადევკატური იყო, მოწმის ჩვენებასა და წერილობით საბუთებს დიდი პროცესუალური მნიშვნელობა ენიჭებოდა. თუმცა შემდგომ საუკუნეებში მოწმის ჩვენება, როგორც სასამართლო მტკიცებულება, საკმაოდ დაკნინებულია, რაც ქართულის სახელმწიფოს დაცემის კვალდაკვალ ქართული სამართლებრივი კულტურის დაქვეითების შედეგი უნდა იყოს. ეს კარგად ჩანს ვახტანგის სამართლის წიგნში. მეფე მოწმის ჩვენებას სასამართლო მტკიცებულებათა სისტემაში მხოლოდ მხოლოდ მეხუთე ადგილს მიუჩენს ფიცისა და ორდალების შემდეგ, ხოლო მე-13 მუხლში, რომელიც ასევე მოწმის ჩვენებას ეხება, უკიდურესად ამცირებს მტკიცებულების ამ სახის როლსა და მნიშვნელობას ქართულ სინამდვილეში. იგი წერს, რომ მოწმე სწამთ და იციან ბერძნებმა, ფრანგებმა და რუსებმა, “მაგრამ აქ ქართლში, უფრო არ განუწყესებიათ...”.

ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის სხვა მუხლებში არაერთხელ იხსენიებს მოწმის ჩვენებას, როგორც მტკიცებულებას და ამ მუხლების მიხედვით, ეს სასამართლო მტკიცებულება არ ჩანს ისე უმნიშვნელოდ, როგორც მე-13 მუხლის მიხედვითაა. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა მე-3 მუხლი, რომლის შესაბამისად მოსამართლე უნდა იყოს მოწმის მამებარი და **მოწმის მეშვეობით** უნდა ეცადოს სამართლის დადგენას. სასურველია ფიცის გარეშე.

მოწმის ჩვენების უპირატესობაზე მეტყველებს, მაგალითად, 157-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც პირუტყვზე დავის დროს მოსამართლემ მესაკუთრე **მოწმის მეშვეობით** უნდა უნდა დაადგინოს და თუ იგი ვერ გამოინახება, მხოლოდ მაშინღა მიმართოს ფიცის მეშვეობით საქმის გადაწყვეტას.

ამგვარად, შეინიშნება ერთგვარი წინააღმდეგობა ვახტანგის სამართლის წიგნის მე-13 მუხლსა და სხვა მუხლებს შორის, რომლებიც მოწმის ჩვენებას შეეხება. ეს არაა გასაკვირი, რადგან ვახტანგის სამართლის წიგნი კლასიკურ კოდექსებს არ მიეკუთვნება, იგი კაზუსტური ხასიათისაა. **ამიტომ ზოგიერთი დავის გადაწყვეტისას მოწმის ჩვენებას შესაძლოა, მეტი მნიშვნელობა მიენიჭოს, ზოგი დავის გადაწყვეტისას კი ნაკლები.**

ვახტანგის სამართლის წიგნის მე-13 მუხლით განსაზღვრულია მოწმეთა თვისებები. “სარწმუნო” მოწმე უნდა იყოს ღვთისმოშიში, ჭკვიანი, სანდო, მართალი კაცის სახელი ჰქონდეს და სხვა. ასეთი მოწმე ორიც რომ ყოფილიყო, მოსამართლემ მათ ჩვენებას უნდა დაუჯეროს, ისე, რომ არც კი დააფიცოს ისინი. მაგრამ თუ მოწმე ასეთი თვისებების არაა, მაშინ საჭირო ხდება ათი, ოცი და ზოგჯერ მთელი სოფლის ერთპირი მოწმობა.

ეს მუხლი(მე-13) საინტერესოა იმიტომაც, რომ მასში განსაზღვრულია მოწმეთა მინიმალური რაოდენობა, რომლის მიხედვით, ერთი მოწმის ჩვენებას მოსამართლე არ დასჯერდებოდა, რაც არ უნდა ღირსეული ყოფილიყო იგი. მინიმუმ ორი მოწმე მაინც უნდა ყოფილიყო სახეზე.

ძველი ქართული სამართალი კრძალავს **ქალის მოწმობას**, ეს კარგად ჩანს ვახტანგის სამართლის წიგნშიც, თუმცა მე-18 საუკუნის 70-იანი წლებიდან უკვე ვხვდებით ქალ მოწმეს, რაც ქალისადმი სასამართლოს დამოკიდებულების შეცვლაზე მეტყველებს.

მოწმეთა დაკითხვა, ძირითადად, სასამართლო პროცესზე ხდებოდა. სასამართლოს შეეძლო, ვადა განესაზღვრა მხარეებისათვის მოწმის მოსამძებნად და სასამართლოში მისაყვანად. თუ ამ ვადაში ვერ შეძლებდნენ ისინი მოწმის მოყვანას, სასამართლო ფიცს მიმართავდა. თუმცა სასამართლოს შეიძლებოდა, მხედველობაში მიეღო მოწმეთა წერილობითი ჩვენებაც - **“მოწმის წერილი”**, **“მოწმის წიგნი”**. მას მოწმის ხელმოწერა და ბეჭედი უნდა ჰქონოდა, ხოლო თუ წერა არ იცოდა, ან ბეჭედი არ ჰქონდა, ჩამწერს უნდა დაედასტურებინა ჩვენების სინამდვილე. ბუნებრივია, ეს მაშინ ხდებოდა, როცა მოწმეს არ შეეძლო სასამართლო პროცესზე გამოცხადება. უმეტესად მოწმეები პროცესზე მხარეებს მოჰყავდათ. ისინი თვითონ ასახელებდნენ მოწმეებს ან წარადგენდნენ მათ წერილობით ჩვენებას, თუმცა შესაძლოა, თვით სასამართლოს გამოეძახებინა მხარეების მიერ დასახელებული მოწმეები მოხელეების მეშვეობით.

მოწმის ინსტიტუტთან დაკავშირებით უნდა განვიხილოთ “მთხრობელის” ინსტიტუტი. იგი ცნობილია ქართული სამართლის ძეგლების მიხედვით და იურიდიული თვალსაზრისით, მოწმის ჩვენების ბუნების მატარებელია, თუმცა მოწმისაგან განსხვავებულ ინსტიტუტს წარმოადგენს.

მთხრობელი, როგორც ფაქტის თვითმხილველი, ახლოს დგას თვითმხილველ მოწმესთან, მათ შორის ის განსხვავებაა, რომ მთხრობელი მეტ აქტივობას იჩენს დამნაშავეს მხილებაში. ასევე, **უნდა აღინიშნოს, რომ თვითმხილველი მოწმე გასამრჯელოს არ იღებს, ხოლო მთხრობელი დამნაშავეზე ცნობის მიწოდებისათვის იღებს ე.წ. “სამთხრობლოს” საზღაურის სახით.** ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით, საჭიროებისას მთხრობელი პირზე უნდა დაადგეს მის მიერ დანაშაულში ბრალდებულ პირს სასამართლო პროცესზე.

ვახტანგის სამართლის 236-ე მუხლის მიხედვით, **სახელმწიფო დანაშაულის ჩადენის განუცხადებლობა დანაშაულად ითვლება**, მისი ჩამდენი ისევე აგებს პასუხს, როგორც დამნაშავე, ხოლო სხვა სახის დანაშაულის ჩადენა არ უნდა ითვლებოდეს დანაშაულად. **მთხრობელად ჩაითვლება მხოლოდ ფაქტის თვითმხილველი** და არა მისი უბრალოდ გამგონი. ამასთანავე მთხრობელს მტრული დამოკიდებულება არ უნდა ჰქონდეს ბრალდებულთან და ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს სასამართლომ. **მატყუარა მთხრობელი** ისეთივე სიმკაცრით უნდა დაისაჯოს, როგორადაც დაისჯებოდა მის მიერ ბრალდებული პიროვნება, თუ მთხრობელი დაუმტკიცებდა მას დანაშაულის ჩადენას. **თუ მთხრობელი დაუმტკიცებდა ბრალდებულს**, რომ ამ უკანასკნელმა, მართლაც, ჩაიდინა დანაშაული, ანუ თუ თავის საქმიანობას წარმატებით დაასრულებდა, მიიღებდა კუთვნილ “სამთხრობლოს”(გასამრჯელოს).

9. დოკუმენტი, როგორც მტკიცებულება ძველქართულ სამართალში.

ვახტანგ VI სასამართლო მტკიცებულებათა სისტემაში წერილობით საბუთს არ იხსენიებს,თუმცა სამართლის წიგნის სხვა მუხლებითაც და სასამართლო დოკუმენტებითაც აშკარაა,რომ წერილობითი დოკუმენტი მნიშვნელოვანი მტკიცებულება იყო ქართულ სამართალწარმოებაში,გვიანი შუა საუკუნეების პერიოდში.ეს არცაა გასაკვირი.ამ პერიოდის საქართველოში ძალზე განვითარებული ყოფილა კერძო საკუთრების ინსტიტუტი,რის საფუძველზე გაცხოველებულია ეკონომიკური ურთიერთობანი,ვაჭრობა,აღებმიცემობა და სხვა.ყოველივე ამის იურიდიული გამოხატულება კი სახელშეკრულებო ურთიერთობების განვითარებაა.ხელშეკრულების დადების ფაქტის დასადასტურებლად ყველაზე უფრო ძლიერი გარანტი კი სათანადოდ შედგენილი წერილობითი დოკუმენტი,ანუ “**წიგნი**” გახლდათ.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის არაერთ მუხლშია მოხსენებული წერილობითი დოკუმენტი.თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ვახტანგი დოკუმენტს სასესხო ურთიერთობისას,კარგად ჩანს სამართლის წიგნის ერთ-ერთ მუხლში,რომლის მიხედვითაც როდესაც კრედიტორი ვალის გადახდას ითხოვდა,მას სასამართლოსათვის სათანადო წესით შედგენილი თამასუქი უნდა წარედგინა.ასევე ხსენებული დოკუმენტითაა ცნობილი,რომ ბატონისაგან გათავისუფლებულ ყმას თავისი ყოფილი ბატონი აძლევდა “**წიგნს**”,ანუ წერილობით დოკუმენტს,მოწმების მიერ ხელმოწერილს,რაც ადასტურებდა ყმის თავისუფლებას.

წერილობით დოკუმენტს ასევე ითვალისწინებს **ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი** და მასში შემავალი **ბაკრატ კურაპალატის სამართლის წიგნის** ფრაგმენტიც.

ხელშეკრულების დადებისას მნიშვნელოვანი იყო დოკუმენტის არსებობა,ასევე მამულის ნასყიდობისას სახეზე უნდა ყოფილიყო წერილობითი ფორმა ხელშეკრულებისა.

თავის მხრივ,წერილობითი დოკუმენტის,წიგნის შედგენა გამორიცხავს შემდგომში ხელშეკრულების მოშლის შესაძლებლობას რომელიმე მხარის მიერ.

ვახტანგის შემდგომი პერიოდის,განსაკუთრებით კი XVIII საუკუნის ბოლოდროინდელი სასამართლო ხასიათის დოკუმენტების მიხედვითაც,წერილობითი დოკუმენტი გვევლინება ერთ-ერთ პირველხარისხოვან მტკიცებულებად.სამოქალაქო დავების გადაწყვეტისას სასამართლო უპირველესად დოკუმენტს მოითხოვდა.კერძოდ : ნასყიდობის წიგნებს,თამასუქებს და სხვა.თუ დოკუმენტი სრულყოფილი იყო,ის საკმარისი გახლდათ გადაწყვეტილების მისაღებად,ხოლო თუ მას რაიმე ნაკლი ჰქონდა,ან თუ დოკუმენტი საერთოდ არ არსებობდა სასამართლო ამ შემთხვევაში მიმართავდა სხვა სასამართლო მტკიცებულებებს.

დოკუმენტი აუცილებლად **სათანადოდ გაფორმებული** უნდა ყოფილიყო,წინააღმდეგ შემთხვევაში მას სასამართლო არ გაითვალისწინებდა.დოკუმენტში,მაგალითად,ნასყიდობის წიგნში,აღნიშნული უნდა ყოფილიყო :

- მხარეთა ვინაობა;
- მხარეთა ხელმოწერები;
- ბეჭდები;
- დოკუმენტის შემდგენლის ვინაობა;
- დოკუმენტის შედგენის თარიღი;
- ხელშეკრულების საგნის აღწერილობა;
- დოკუმენტის შედგენის დამსწრე მოწმეთა ხელმოწერები.

თავის მხრივ, როდესაც წერილობითი დოკუმენტი პირველხარისხიდან მტკიცებულებად აღიარებული, ეს მაღალ პროცესუალურ და სამართლებრივ კულტურაზე მეტყველებს. როგორც ჩანს, XI-XIII საუკუნეების მაღალი პოლიტიკურ-კულტურული დონე ქვეყანაში სამართლებრივ კულტურაზეც აისახა. ამის დასაბუთებაა **ოპიზის სიგელი**, რომელიც სწორედ მეთერთმეტე საუკუნეში შეადგინა ბაგრატ IV-მ. ის ჩვენამდე მოღწეული უძველესი პროცესუალური მნიშვნელობის ძეგლია.

ცნობილია, რომ ოპიზის სიგელი სასამართლო გადაწყვეტილებაა, რომელიც ეხება ოპიზისა და მიძნაძორის მონასტრებს შორის მამულზე დავას. ამ დავის გადასაწყვეტად კი მეფემ დარბაზი მოიწვია. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ორივე მონასტრის წარმომადგენლები სიმაართლის დამტკიცებას წერილობითი დოკუმენტებით ცდილობდნენ. ბაგრატ IV-მაც გადაწყვეტილება მხოლოდ და მხოლოდ წერილობით დოკუმენტებზე დაყრდნობით გამოიტანა. სიგელი კი ცალსახად გვიჩვენებს იმდროინდელ ქართულ სამართალწარმოებაში წერილობითი მტკიცებულებების გადაწყვეტ, უპირატეს მნიშვნელობას.

10. *ორდალები ძველქართულ სამართალში.*

ორდალი ნიშნავს “ღვთის მსჯავრს”. მათი არსებობა სასამართლო მტკიცებულებათა სისტემაში კი დაბალი სამართლებრივი კულტურის მანიშნებელია. ორდალებს თითქმის ყველა ხალხის სამართალწარმოება იცნობს. ეს ინსტიტუტი დაფუძნებულია წარმოდგენაზე, რომლის მიხედვითაც ადამიანებს შორის წარმოშობილი დავების გადასაწყვეტად შესაძლებელია ღვთაების მონაწილეობა. ორდალი გახლდათ **მიმართვა ღმერთისადმი**, რომ ადამიანის გონისათვის რთული სამართლებრივი საკითხი მას გადაეწყვიტა. ადამიანებს ამოძრავებდათ ურყევი რწმენა იმისა, რომ მდუღარეთი, ცეცხლით, შანთით გამოცდისას უდანაშაულო კაცს ხელი არ დაეწვებოდა, ღმერთი ამას არ დაუშვებდა, ხოლო თუ პირიქით მოხდებოდა, ის მართლაც დამნაშავე იქნებოდა.

XVII-XVIII საუკუნეების ისტორიული თუ სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტების მიხედვით, ორდალები ქართული სამართალწარმოებისთვისაც არის ცნობილი. მათში ძირითადად სამი სახის ორდალი ჩანს:

- *მდუღარე*;
- *შანთი*;
- *ხმაღში გატანება*, ანუ *სასამართლო ორთაბრძოლა*.

სამივე მათგანს ასახელებს ვახტანგ VI სამართლის წიგნში. მაგალითად,

- *შანთსა და მდუღარეს* ეხება ვახტანგის სამართლის წიგნის მე-8 და მე-9 მუხლები, რომელთა თანახმადაც შანთი და მდუღარე ერთი არს, ვისაც მდუღარით ან შანთით გამოცდას დაუნიშნავენ შესაბამისი რიტუალის წინ ლოცვის საშუალება უნდა მიეცეს.

მდუღარე წყლით გამოცდა ტარდებოდა შემდეგნაირად: მოედანზე ან სადმე საჯარო ადგილას საზოგადოების წინაშე ქვაბში აადულებდნენ წყალს, და შიგნით რკინის, ვერცხლის

ან სპილენძის ჯვარს ჩაჰკიდებდნენ ძაფით. როგორც კი წყალი ადუღდებოდა, ქვაბს გადმოდგამდნენ ცეცხლიდან შემდეგ უკვე ბრალდებული მოვალე იყო ხელი ჩაეყო ქვაბში და ჯვარი ამოეღო. ამის შემდეგ ხელს უმაღ პარკში ჩაუდებდნენ და დაუბეჭდავდნენ. ის მსგავს მდომარეობაში მესამე დღემდე იქნებოდა შემდეგ კი გაუხსიდნენ. თუ ბრალდებულს ხელი დამწვარი არ ექნებოდა, მას გაამართლებდნენ, თუ პირიქით მოხდებოდა, გაამტყუნებდნენ.

შანთით გამოცდისას რკინას გაახურებდნენ და როდესაც ის გაწითლდებოდა, ბრალდებულს ხელზე ქაღალდს ადებდნენ, ხოლო ზემოდად იმ გაწითლებულ რკინას. როგორც კი რკინას ხელზე დაადებდნენ, მაშინვე სამი ნაბიჯი, ნახტომი უნდა გაეკეთებინა წინ და შემდეგ რკინა გადაეგდო. სამართლებრივი შედეგი კი მდულარე წყლით გამოცდის მსგავსი იყო.

მდულარე წყლისა და შანთის გამოყენება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების დროს ხდებოდა, მაგალითად, ბატონის ღალატის, ეკლესიისა და ხატის გატეხვის, მრუმობისა და სხვა მსგავსი რამის შეწამებისთვის.

ხმაღში გატანებას, ანუ სასამართლო ორთაბრძოლას ეხება ვახტანგის სამართლის წიგნის მე-7 მუხლი, რომლის მიხედვითაც თავის მართლების ეს საშუალება გამოიყენებოდა მძიმე სახელმწიფო დანაშაულში ბრალდებისას. კერძოდ, მეფის ღალატისათვის, მეფის სალაროს გატეხვისათვის, ეკლესიისა და ხატის გაძარცვისას და სხვა მსგავს შემთხვევებში. სასამართლო დუელში მონაწილეობა უნდა მიეღო ბრალდებულს, თუ ის უარყოფდა წაყენებულ ბრალდებას. მხარეებს 40 დღის განმავლობაში უნდა ელოცათ. თუ რომელიმე მხარე შეტაკებისას ცხენიდან გადმოვარდებოდა, მემთრახენი მიეხმარებოდნენ მას, რათა გამარჯვებულის მიერ მისი მოკვლა არ დაეშვათ და წარუდგენდნენ მეფეს. მის ბედს კი მეფე წყვეტდა. მეფე და ხალხი ორთაბრძოლას შორიდან უყურებდა, რათა არავინ დახმარებოდა მხარეებს. ცხენიდან ჩამოვარდნილი და გაქცეული, გამტყუნდებოდა. დამარცხებულის იარაღი ეკუთვნოდა გამარჯვებულ მხარეს, ხოლო ცხენი- მემთრახეს. თუ ორივე გადმოვარდებოდა ცხენიდან, ისინი უკვე ქვეითად ებრძოლებოდნენ ერთმანეთს.

საქართველოში ამ ორდალების არსებობდა სხვა ისტორიული დოკუმენტებითაც დასტურდება. მაგალითად, ვახუშტი ბატონიშვილი საუბრობს მათზე საკუთარ თხზულებაში *“აღწერა სამეფოსა საქართველოსა”*, ასევე იოანე ბატონიშვილი მიანიშნებს შანთისა და სასამართლო ორთაბრძოლის შესახებ *“კალმასობაში”*. ასევე როსტომ მეფის დროინდელ სასამართლო ორთაბრძოლის კონკრეტულ ფაქტს აღწერს XVII საუკუნის ისტორიკოსი, ფარსადან გოგირჯანიძე. ორდალების გამოყენებას საქართველოში ასევე უცხოელებიც ადასტურებენ. მაგალითად, ჟან შარდენი თუ არქანჯელო ლამბერტი.

XVIII საუკუნიდან ორდალთა გამოყენება სასამართლო პრაქტიკაში იზღუდება და ნელ-ნელა წყდება, მის ადგილს კი სხვა მტკიცებულებები იკავებს. მაგალითად, მ. კეკელია აღნიშნავს, რომ XVIII საუკუნის განმავლობაში აღმოსავლეთ საქართველოს სასამართლო პრაქტიკას ერთხელაც არ მიუმართავს ორდალისათვის. ამ პერიოდში დასავლეთ საქართველოში მაინც გვხვდება ორდალების გამოყენების შემთხვევები, თუმცა შეზღუდულად.

11. ქორწინება ძველქართულ სამართალში.

ქორწინება საოჯახო სამართლის კარდინალური ინსტიტუტია. ივანე ჯავახიშვილი, რომელმაც შეისწავლა ქორწინების ინსტიტუტი, აღნიშნავდა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით მცირე ცნობები მოიპოვება, ისიც ნაწყვეტ-ნაწყვეტი და სხვადასხვა წყაროში გაფანტული. ცოლქმრობისა და ქორწინების ინსტიტუტი განვითარებისა და ისტორიის სხვადასხვა საფეხურზე სხვადასხვანაირი იყო, რის გამოც მთლიანი სურათის აღდგენა არსებულ მასალებზე დაყრდნობით შეუძლებელია.

ქორწინებამ გარკვეული საფეხურები გაიარა. ივ. ჯავახიშვილის მითითებით, ქორწინების უძველესი წესი ყოფილა ქალის მოტაცებით ქორწინება, რომელმაც ამოწურა თავისი დრო და ადგილი დაუთმო მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით, ანუ ნიშნობის საშუალებით ქორწინებას. **ქორწინების წინაპირობად სწორედ ნიშნობა უნდა მივიჩნიოთ**, მაგრამ თვით ნიშნობასაც წინ უძღოდა ისეთი მოქმედებები, როგორიცაა: **საცოლის შერჩევა და “გაჩხრეკა”, “შეზვერვა”, მაქანკლობა, შუაგაცობა** და სხვა სახის ნიშნობამდელი მოქმედებები.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, უძველეს წარსულში საქართველოში არსებული ქალის მოტაცების წესი მშვიდობიანმა მოლაპარაკებამ ანუ ნიშნობამ შეცვალა, ამასთან, საცოლის მოძებნა-შერთვევინებაში მშობლები აქტიურობდნენ. ივ. ჯავახიშვილის მითითებით, არსებობდა ასევე მშვიდობიანი მოლაპარაკების ისეთი ფორმაც, როგორიცაა **აკვანში დანიშვნა**.

საქართველოში ქორწინების არსი და დანიშნულება ქრისტიანული მოძღვრებით იყო განსაზღვრული. ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში, საქართველოშიც ქორწინება იყო ქალისა და მამაკაცის კავშირი შთამომავლობისა და ოჯახის ერთად შექმნის მიზნით.

ივანე ჯავახიშვილის მითითებით, საქართველოში ქორწინების თავდაპირველი ფორმა ეგზოგამიური ქორწინება იყო, მას ეწოდებოდა **“მამამშუძეობა”**, რომლის მიხედვით, ვაჟი შედის ცოლის გვარის შიგნით შვილების გაჩენის მიზნით. მოგვიანებით უკვე წამოზრდილი ბავშვი კი შედის თავისი მამის სახლსა და საგვარეულოში.

ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში, საქართველოშიც ქორწინების ერთგვარი ფორმა უძველეს დროში იყო **ქალის მოტაცებით ქორწინება** სხვა ტომის ხალხებიდან.

ქორწინების ერთგვარი ფორმა სხვადასხვა ხალხებში **საცოლისათვის გამოსასყიდის გადახდა** იყო. ქორწინების ასეთი სახე დადასტურებულია საქართველოშიც. ამის შესახებ ივანე ჯავახიშვილი მიუთითებს იმ საყურადღებო გარემოებას, რომ საცოლისათვის პირველად სწორედ საქმროს უნდა მიერთმია სამკაული, საჩუქარი, ასევე ქონება.

ქრისტიანობის მიღების შემდგომ ქორწინების თავდაპირველი ფორმები უცბად არ გაუქმებულა, მაგრამ თანდათანობით კარგავდნენ ძალას და მკვიდრდებოდა ქორწინებისათვის უფრო ცივილიზებული მოთხოვნები და პრინციპები, ისეთი, როგორიცაა: **ნებაყოფლობითი ქორწინება, ნათესაობის არარსებობის პრინციპი, სოციალური და წოდებრივი თანასწორობის პრინციპი** და სხვა. ამასთან, ქორწინების დამაბრკოლებელი(გამომრიცხავი) გარემოებების რეგლამენტაცია ხდებოდა, როგორც საეკლესიო, ისე სამართლის ნორმების მეშვეობით.

ქორწინებისთვის აუცილებელი მოთხოვნები:

ნებაყოფლობითი ქორწინება, ანუ მხარეთა თანხმობა ქორწინებაში არ გულისხმობდა მექორწინე ქალისა და ვაჟის თანხმობას. საქართველოში შვილების დაქორწინების საკითხში უძველესი დროიდან გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნოდა მშობლებს.

ქალ-ვაჟის დაქორწინების საქმეში გარკვეული უფლებები ენიჭებოდათ ნათესავებს, ბიძებს, ქალის ძმებსა და სხვა ნათესავებს.

ქართული ეთნოგრაფიული მასალებით, წერილობითი საბუთებითა და სასამართლო დოკუმენტებით დასტურდება, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ქორწინებისას მხარეთა თანხმობის გარდა საჭირო იყო ეკლესიის თანხმობაც. ასევე ყმებისთვის მებატონეთა თანხმობაც.

ქორწინებისათვის აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენდა გარკვეული **საქორწინო ასაკი**.

1103 წელს რუის-ურბნისის საეკლესიო კრების დადგენილებით, საქართველოში დაწესდა საქორწინო ასაკი ქალებისთვის 12 წელი. რაც შეეხება ვაჟის საქორწინო ასაკს, ივ.ჯავახიშვილის მოსაზრებით, იგი განისაზღვრებოდა სქესპირივად მომწიფებით ანუ 15-16 წლით. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა საქორწინო ასაკი არსებობდა.

ქართლში ქალი 16-18 წლისა თხოვდებოდა, ვაჟი კი 20-30 წლისა შეიძლებოდა, დაქორწინებულიყო. ამრიგად, რუის-ურბნისის საეკლესიო კრების დადგენილება საქორწინო ასაკის თაობაზე ძალაში რჩებოდა მე-16-18 საუკუნეებშიც.

ფშავხევსურეთში და, ზოგადად, საქართველოს მთიანეთში შეინიშნება მაღალი საქორწინო ასაკი, რაც მთის ბუნებრივი პირობებითა და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებით იყო განპირობებული.

ქორწინების ერთ-ერთი პრინციპი იყო **ნათესაობის არარსებობა**, ანუ ნათესაობა, როგორც ქორწინების დამაბრკოლებელი პრინციპი. ივ.ჯავახიშვილის მითითების, ნათესაობა, როგორც ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოება, აღიარებულ იქნა ბასილი კესარიელის კანონებითა და მე-6 მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილებით. ამასთანავე, ზუსტად განისაზღვრა ნათესავთა ის წრე, რომელთა დაქორწინება გამორიცხული იყო.

ქრისტიანულმა რელიგიამ აკრძალა: მამის ძმისწულის ან დედის ძმისწულის შერთვა. აიკრძალა მამისა და შვილის დაქორწინება დებზე ან მამისა და შვილის დაქორწინება დედასა და მის ქალიშვილზე. ასევე არ დაიშვებოდა ორი ძმის დაქორწინება დებზე. მკაცრად აიკრძალა სისხლით ნათესავთა ქორწინება(მე-8 თაობამდე).

ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები:

ქრისტიანულმა რელიგიამ ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებად მიიჩნია ე.წ.

“სულიერი ნათესაობა”. ასევე აიკრძალა ქორწინება **შვილად აყვანილთან**.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, გარდა ზემოაღნიშნულისა, არსებობდა ქორწინების სხვა დამაბრკოლებელი პირობებიც. მაგალითად “გაფოცვა” ანუ ფიცის დადება, რომ მხარეთა შორის არ დაიშვებოდა ქორწინება. ასევე არ შეიძლებოდა სოფლის, თემის, ხევის შიგნით ქორწინება, ერთი სალოცავის მრევლთა შორის ქორწინება და სხვა.

ფშავში ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები იყო. ესენია: თანამოგვარეობა, თანამეთემეობა, ერთი ხატის ყმობა, ხორციელი, სისხლისმიერი ნათესაობა, სულიერი ანუ ნათელმძროვნული ნათესაობა და ა.შ.

ეთნოგრაფიული მასალებით დასტურდება, რომ საქართველოს ზოგიერთ კუთხეში ქორწინების ერთ-ერთ დამაბრკოლებელ ფაქტორად ითვლებოდა **ტერიტორიული პრინციპი**, ანუ ერთი სოფლის ან ერთი უბნის ფარგლებში ქორწინება.

ქართული სამართლის მიხედვით, ქორწინების პრინციპიდან გამომდინარე, ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებად ითვლებოდა ასევე სოციალური, წოდებრივი და თანამდებობრივი უთანასწორობა. ქართული სამართალი ასევე მკაცრად მოითხოვდა **მექორწინეთა ერთმორწმუნეობას**.

აღსანიშნავია, რომ ქართული სამართალი არეგულირებდა ე.წ. **“კიდით-კიდე” ქორწინება**, ანუ ისეთ ქორწინებას, როდესაც საქორწინო რიტუალს არ ესწრებოდა მექორწინე ან მექორწინეები. მსგავს პრაქტიკას ბოლო მოუღო 1103 წლის რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ, რომელმაც ასეთი ქორწინება უკანონო ქორწინებად გამოაცხადა.

ძველი ქართული სამართლის მიხედვით, ქორწინების დამაბრკოლებელი ფაქტორები ორ ჯგუფად შეიძლება, დავყოთ:

ქორწინების აბსოლუტური ანუ გამომრიცხავი გარემოებები:

1. სქესობრივი მოუმწიფებლობა;
2. მექორწინე მხარეთა შორის თანხმობის არარსებობა;
3. სისხლით ნათესაობა;
4. ქორწინებაში ყოფნა;
5. სულით ავადმყოფობა.

ქორწინების შეფარდებითი ანუ ხელისშემშლელი გარემოებები:

1. ნათესაობა;
2. რელიგიისადმი დამოკიდებულება;
3. სოციალური უთანასწორობა;
4. ტერიტორიული პრინციპი და სხვ.

12. განქორწინება ძველი ქართული სამართლის მიხედვით.

ქორწინების სიმტკიცის შენარჩუნება სახელმწიფოს პრიორიტეტს ოდითგანვე წარმოადგენდა. ქრისტიანული ეკლესია განქორწინებას ერთგვარ ანომალიად თვლიდა და ყოველგვარ ზომებს ატარებდა მის წინააღმდეგ. თუმცა ზოგჯერ განუქორწინებლობა ისეთ ვითარებას წარმოშობდა, რომ მეუღლეთა ერთად თანაცხოვრება წარმოუდგენელი იყო და არც ეკლესიას და არც სახელმწიფოს არ შეეძლო ოჯახის შენარჩუნება. მიუხედავად ამისა, ქრისტიანული მოძღვრება ქორწინების შეწყვეტის საფუძვლად მხოლოდ ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალებას ასახელებს, ამასთან, ფიზიკური სიკვდილის შემდეგაც მთლიანად არ ისპობა ქორწინება.

უძველეს პერიოდში, როცა ქორწინება საცოლის ყიდვით ხდებოდა, ბუნებრივია, მამაკაცის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული განქორწინება, რაც გამოიხატებოდა ცოლის მოშორებით. ამ მოვლენას სხვა ხალხებშიც ჰქონდა ადგილი, მაგალითად, ძველ რომში მას ეწოდებოდა repidium.

განქორწინების შესახებ ცნობები ქართული სამართლის წყაროების მიხედვით მხოლოდ ქრისტიანობის მიღების პერიოდიდან შეიძლება მოვიპოვოთ. განქორწინების საფუძვლების კლასიფიკაცია შეგვიძლია შემდეგნაირად მოვახდინოთ:

1. იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამების“ მიხედვით, განქორწინების ერთ-ერთი მიზეზად ვარსკენის მიერ **ქრისტიანული სარწმუნოების უარყოფა** და მაზდეანობის მიღება გვევლინება, რაც მიუღებელი აღმოჩნდა შუშანიკისთვის და აღმოჩნდა ოჯახის დატოვების, განქორწინების საფუძველი. მეორე მხრივ, ნაწარმოებში განქორწინების მიზეზად ჩანს ცოლის დაუმორჩილებლობა ქმრისადმი.
2. განქორწინების ერთ-ერთი საფუძველი იყო **მრუშობა**. უძველეს პერიოდში მრუშობა განიხილებოდა ცოლის მიერ ქმრის ქონების განიავებად, შემდგომ კი ქმრის ღირსების შეურაცხყოფად. საქართველოში, როგორც მართლმადიდებლურ ქრისტიანულ ქვეყანაში მტკიცედ მოქმედებდა პრინციპი - მრუშობისთვის არა მარტო განქორწინება, არამედ სხვა სახის სასჯელის შეფარდებაც, მაგალითად, კანონიკური სამართალი მრუშობისთვის 15 წლით უზიარებლობას აწესებდა. ამრიგად, ცოლის მრუშობისას მამაკაცს შეეძლო განქორწინება. აღსანიშნავია, რომ მამაკაცის მრუშობა განქორწინების საფუძველი ხდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი კავშირს დაიჭერდა გათხოვილ მეოჯახე ქალთან და არა-უქმროსთან. საქართველოში ქმარს მოღალატე ცოლის ადგილზე მოკვლის უფლებაც ჰქონდა. ქართული ადათობრივი სამართლის მიხედვით კი ქმარს უფლება ჰქონდა ცოლი ვირზე შეესვა და ისე გაეგზავნა თავის მშობლებთან, რაც უმკაცრეს გამაწილებელ სასჯელად მიიჩნეოდა.

3. ქორწინების შეწყვეტის საფუძველი იყო **ცოლის ავადმყოფობა ანუ დასნეულებაც**. ამის შესახებ საუბარია ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის 140-ე მუხლში. საყურადღებოა ის, თუ როდის მოხდა ქალის დასნეულება. თუ ქალი ქორწინებამდე დასნეულდა, ქმარი ძალზე იოლად გაეყრება, ხოლო თუ ქორწინების პერიოდში, მაშინ ქმარს უნდა დაემტკიცებინა, რომ ცოლს მხოლოდ და მხოლოდ დაავადების გამო ეყრებოდა და არა-სიძულვილით და ნახევარი სისხლის ფასი უნდა გადაეხადა. აღნიშნულ მუხლში ვკითხულობთ, რომ ამის დამტკიცებისთვის ქმარმა უნდა „შეფიცოს ნაზნითა“, ი.ე.ოლიძე ამ ტერმინს განმარტავდა, როგორც ხატის ნაბანი წყლის დაღევით დაფიცებას, თუმცა ორიგინალში ვკითხულობთ „შეფიცოს ნაშევიტა“, ამიტომ უფრო მართებულია მ.კეკელიას მოსაზრება, რომ აქ საუბარია შვილით დაფიცებაზე.

4. **ქორწინებამდე ორსულობა**. განქორწინების მიზეზს წარმოადგენდა გარდა სამი შემთხვევისა:

- თუ ქალი ქვრივი ან ნაქმარევი იყო და ერთ წელზე ნაკლები ხნის განმავლობაში ხელახლა გათხოვდა;
- თუ ქმარმა იცოდა ორსულობის შესახებ;
- თუ ქმარმა თავად დააორსულა ცოლი.

საქართველოში განქორწინების მიზეზად ასახელებენ:

5. **მეუღლისგან სამშობლოს დაღატაკ**
6. **საქორწინო თანაცხოვრებისთვის უვარგისობას, იმპოტენციას.**
7. **ერთ-ერთი მეუღლის მონაზვნად აღკვეცას**
8. **ერთ-ერთი მეუღლის მიერ მეორის მოწამვლით მკვლელობის მცდელობას**

9. განქორწინების საფუძვლად შეიძლება დავასახელოთ ზნეობის დამრღვევი დანაშაულები, **სოდომური ცოდვები**. ცნობილია, რომ თამარ მეფე თავის ქმარს სოდომური ცოდვების გამო გაეყარა, შეიწყალა და ექსორია უყო, განსხვავებით ბიზანტიური სამართლისა, რომლის მიხედვით სოდომური ცოდვებისთვის სიკდილით დასჯა იყო გათვალისწინებული. გნადარეიშვილი განქორწინების საფუძვლად, ასევე, ასახელებს ცოლის უცხო მამაკაცთან ქეიფს, ქმრის ნებართვის გარეშე საცირკო სანახაობებზე დასწრებას და სხვ. განქორწინების შესახებ მსჯელობას ვხვდებით ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნში:

- მეფე თავისი სამართლის წიგნის **63-ე მუხლში** განქორწინების საფუძვლად მხოლოდ „*ბოზობას*“ თვლის. ამასთან, **67-ე მუხლში** მეფე საზოგადოებრივი რისხვისაგან იცავს მოღალატე ცოლის ქმარს, რადგან ცოლის ღალატის შემთხვევაში ქმრის გადასაწყვეტია განქორწინების საკითხი და არა - რომელიმე „სოფლის“.
- **64-ე მუხლში** ცოლის ტანჯვა და შეურაცხყოფა არ გვევლინება განქორწინების მიზეზად. ასეთ შემთხვევაში მეფემ ეს კაცი უნდა „დააბას, დატუქოს, ავად მოეპყრას, და კათალიკოზმაც ასრე უყოს.“
- **66-ე მუხლის** მიხედვით, თუკი ცოლ-ქმარს ერთმანეთი სძულს, ისინი ამის გამო გერ გაეყრებიან, არამედ, ისინი კათალიკოსმა უნდა შეარიგოს.
- უშვილობის, როგორც განქორწინების საფუძვლად მსჯელობისას ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის **168-ე მუხლში** აღნიშნულია, რომ *უშვილობის გამო* კაცი ცოლს ვერ მიატოვებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სრული სისხლი უნდა მისცეს. რაც შეეხება მამაკაცს, *ცვედანობის* გამო მან უნდა დაუშვას განქორწინება. ხაზგასასმელია, რომ ცვედანობა არ არის განქორწინების საფუძველი იმ შემთხვევაში, თუ იგი მამაკაცს დაქორწინების შემდეგ დაემართება.
- ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის **87-ე მუხლში** განქორწინების ერთ-ერთ მიზეზად დასახელებულია მრუშობაში შესმენის, „*წაძახების*“ საფუძველზე განქორწინება. თუკი ქმარი არ გაუშვებს ცოლს, მოგვიანებით ამავე საფუძველზე განქორწინება „უდროო დროს გაშვება იქნება“
- *უმიზეზოდ* განქორწინებაზე საუბარია **72-ე მუხლში**, რომლის მიხედვით თუკი კაცმა ცოლი უმიზეზოდ დააგდო, მთელი სისხლი და მზითევი უკლებლივ უნდა მისცეს. ფაქტობრივად, უმიზეზოდ განქორწინება მკვლელობასთანაა გათანაბრებული. **74-ე მუხლში** კი ნახსენებია, რომ ცოლის მიერ ქმრის მიატოვება „არა ღირს და ნურც ჰკადრებს“, წინააღმდეგ შემთხვევაში ქალმა ქმარს სრული სისხლი უნდა მისცეს. უმიზეზოდ განქორწინებას ვხვდებით ზემოაღნიშნულ 168-ე მუხლშიც.
- განქორწინება შეიძლება მოხდეს ცოლის მოტაცებით, „*წაგვრით*“, ცოლის თანხმობის ან მისი თანხმობის გარეშე, იძულებით. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის **84-ე მუხლის** თანახმად, თუკი ცოლი თავისი ნებით მიჰყვება სხვა კაცს, ამ უკანასკნელმა ყოფილ ქმარს სისხლის ორი მესამედი, ანუ ორი წილი უნდა გადაუხადოს. თანაც, თუკი ქალმა პირველ ქმართან რაიმე მზითევი დატოვა, იგი კაცთან რჩება. **85-ე მუხლის** მიხედვით კი თუკი კაცს ცოლი იძულების მოსტაცეს, მომტაცებელმა პირველ ქმარს როგორც სისხლის ორი წილი, ისე ერთი მთელი სისხლიც უნდა გადაუხადოს - თავდასხმისა და ძალად წაყვანისთვის.
- საგულისხმოა, რომ ცოლის წაგვრისას სისხლის ფასის გადახდა ხდებოდა მხოლოდ მაშინ, თუ მხარეები მშვიდობიანად მოილაპარაკებდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ცოლის მოტაცებას შეიძლება ომი, შეტაკება მოჰყოლოდა.

საბოლოოდ, განქორწინების საკითხზე მსჯელობისას უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში განქორწინების საფუძვლები და წესი მართლმადიდებლური ქრისტიანული საქორწინო-საოჯახო წესების შესაბამისი იყო.

13. შვილების მემკვიდრეობა ძველქართულ სამართალში.

ქართული სამართლის ისტორია მემკვიდრეობის ორ ფორმას იცნობს: კანონისმიერ და ანდერძისმიერ მემკვიდრეობას. კანონისმიერი მემკვიდრეები მაშინ გამოდიან ასპარეზზე, როცა არ არსებობს ანდერძი ან არის, მაგრამ სრულიად უასმართლო, კანონსაწინააღმდეგოა. კანონისმიერი მემკვიდრეობა საფუძველს იღებს ზნეობისა და ადათობრივი ნორმებიდან.

ქართული სამართლის მიხედვით კანონით მემკვიდრეთა წრეში, უპირველ ყოვლისა, შედიოდნენ შვილები, ამასთან, უპირატესობა ენიჭებოდათ **ვაჟიშვილებს**. მემკვიდრეობაში ვაჟიშვილები მშობლების პირდაპირი მემკვიდრეები იყვნენ. ვაჟიშვილის უპირატესობა განპირობებული იყო იმით, რომ ისინი იყვნენ გვარის გამგრძელებლები, წინაპართა საკულტო წეს-ჩვეულებების შემსრულებლები, მეომრები, დამცველები, სისხლის ამღებნი და ა.შ. ამიტომაც მოიხსენებოდა უვაჟიშვილო ოჯახი „დავსებულად“ და „ამოწყვეტილად.“ მსოფლიოს სხვადასხვა ხალხში (ებრაელებში) უშვილოდ გარდაცვლილი ძმის ცოლი უნდა შეერთო ძმას, რათა არ გადაშენებულიყო გარდაცვლილი ძმის ოჯახი. ამ მოვლენას (ლევირატი) საქართველოს ზოგიერთ კუთხეშიც ჰქონია ადგილი.

რაც შეეხება ქალიშვილს, იგი აგრძელებდა სხვა გვარის სიცოცხლეს.

მშობლების ქონების მემკვიდრეობად გამოდიან ვაჟიშვილები. ამასთან, ქართული სამართალი შვილებს თანასწორად არ ანიჭებს მემკვიდრეობას და აწესებს „საუფროსოს“, „სასამუალოს“, „საუმცროსოს“, „საჭირნახულოს“.

1. საუფროსო / სახუცესო - დამატებითი წილი მემკვიდრეობაში უფროსი შვილისთვის. ზოგჯერ მას „საუხუცესოს“ უწოდებენ. საუფროსო კარგად ჩანს ქართული სამართლის ძეგლებში.

- ტახტის მემკვიდრეობის წესში, ბექას სამართალში, იგი იწოდება სახუცესოდ (მერვე მუხლი);
- ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის 153-ე მუხლის მიხედვით, აზნაურების გაყრისას, რომლებსაც გლეხები ჰყავთ, სახუცესო არის ერთი გლეხი. 154-ე მუხლის მიხედვით, დიდებულთა გაყრისას - სოფელი, ხოლო 155-ე მუხლში გლეხთა გაყრისას სახუცესოდ დასახელებულია „თავი სახლი“, ანუ ერთი ვენახი, უფროსნი ჭურნი;
- ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის მე-100 მუხლის თანახმად, დიდებულთა გაყრისას, ყოველი ოცი კომლიდან (ბოგანოების გარდა), უფროსი ერთს, უკეთესს თავად ირჩევს, ხოლო მეორეს, უარესს ძმები აძლევენ. 204-ე მუხლის თანახმად კი გლეხების გაყრისას უფროსისაა დარბაზი დერეფნით.

საუფროსოს არსებობა ქართული სამართალით უნდა აიხსნას იმით, რომ უფროსი წინაპართა კულტის სამსახურის მოთავეა, შესაფერისი ხარჯები მას აწვებოდა. საუფროსოს საფუძველი ბიბლიიდან მოდის.

2. **საუმცროსო** - უმცროსი ძმის დამატებითი წილი სამემკვიდრეო ქონებაში. არსებობს მოსაზრება, რომ ქონების დამტოვებლის გარდაცვალების დროისათვის უმცროსი ძმა ხელმოკლეა უფროს ძმასთან შედარებით, რაც ხდება საუმცროსოს წარმოშობის მიზეზი.

- ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით, საუმცროსოდ გათვალისწინებულია სასახლე (103-ე მუხლი), გაყრისას კალო-საბძელი უმცროსს ეძლეოდა. (204-ე მუხლი).

3. **სასაშუალო** - შუათანა ძმის წილი მემკვიდრეობაში. იგი შედარებით გვიან, გიორგი XI-ის მიერ იქნა შემოღებული. ვახტანგის სამართლის წიგნის 102-ე მუხლის მიხედვით, შუათანას ერთი მაინც რამეს აძლევდნენ.

4. **საჭირნახულო** - ჭირნახულისთვის, გარჯილობისთვის განკუთვნილი წილია. იგი შეიძლება მიეღო როგორც უფროსს, ისე საშუალო ან უმცროს ძმას. დავით ბატონიშვილის სამართალი ითვალისწინებს წილს გარჯილობისთვის, რაც იგივე საჭირნახულოა.

ქართული სამართალი იცნობს **ავადმყოფი შვილის წილს** მემკვიდრეობაში, რაც წესრიგდებოდა ვახტანგ VI-ის კოდიკოში შეტანილი ბერძნული სამართლის 295-ე მუხლით. ცხადია, ქართული სამართალი **ქალიშვილის მემკვიდრეობის** საკითხსაც არეგულირებს.

ქართული კანონმდებლობა ქალიშვილს, მართალია, ცნობს მემკვიდრედ, მაგრამ არ უთანაბრებს ვაჟიშვილს. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“ ჩანს, რომ გაუთხოვარი ქალიშვილი მემკვიდრეა. რაც შეეხება გათხოვილს, მისი სამემკვიდრეო უფლებები მხოლოდ მზითევით შემოიფარგლება. თუმცა იმ შემთხვევაში, თუკი მას ძმები არ ჰყავს, გათხოვილია და ქმარი მოყვანილი ჰყავს ზედსიძედ, მაშინ ქალიშვილი ხდება მშობელთა ქონების სრული მემკვიდრე. აღბუღას სამართლის 72-ე და 73-ე მუხლებში ზედსიძეობის ორი წესია დაფიქსირებული: „წიგნით შესვლა“ ანუ „თავის დაწერა“ და „უწიგნოდ შესვლა“ ანუ „თავდაუწერლობა“. პირველი მამულის უფლებას იძენდა.

ნაშვილები, როგორც მემკვიდრე გათანაბრებულია ღვიძლ შვილებთან. ნაშვილები ძირითადად ქმრის ნათესავია, მაგრამ ეს არ წარმოადგენდა აუცილებლობას. ნაშვილებს ქონება ეძლეოდა ღვიძლი შვილების თანაბრად როგორც კანონით, ისე ანდერძით. ბექას სამართლის 59-ე მუხლის მიხედვით, ნაშვილები კარგავს მემკვიდრეობის უფლებას, თუ იგი გაძევებულია ოჯახიდან.

უკანონოდ შობილთა სამემკვიდრეო უფლებები ქართულ სამართალში იწოდება როგორც „ნაბიჭვართა მემკვიდრეობა“. მათ უაღრესად შეზღუდული უფლებები ჰქონდათ, ვახტანგის სამართლის წიგნის 110-ე მუხლში პირდაპირაა მითითებული, რომ „ნაბიჭურის წილი არ არის მამულში“, თუმცა, ამავე მუხლში აღნიშნულია, რომ თუ უკანონო შვილი ძმებს ეყმობა, ძმებმა „ერთი ყმის ალაგს უნდა არჩინონ“, ხოლო თუ ძმები დაილუპებიან და ბუშის მეტი არავინ დარჩება, ბიძებმა მას ერთი ყმის მამულის მიწა უნდა მისცენ. ასევე ედება წილი საქონელშიც. აღსანიშნავია, რომ სასამართლო პრაქტიკაში ბუშის მემკვიდრეობის განსაზღვრისას ითვალისწინებენ მის პიროვნულ თვისებებს, რამდენად გამრჯე იყო იგი, რა დამოკიდებულება ჰქონდა ძმებთან და სხვ.

14. *ანდერძით მემკვიდრეობა ძველქართულ სამართალში.*

ქართული სამართალი იცნობს **ანდერძით მემკვიდრეობის** სახეს. ანდერძი იყო სამკვიდროს დამტოვებლის (ზოგჯერ მომაკვდავის) სიტყვიერი ან წერილობითი მითითება, ნების გამოცხადება, მისი ქონების ბედის შესახებ, თუ ვის უნდა მიკუთვნებოდა ეს ქონება. ტერმინი „ანდერძი“ სპარსული ენიდანაა ქართულში შემოსული და დამკვიდრებული. ამ ტერმინის

დამკვიდრებამდე ანდერძის ნაცვლად გამოიყენებოდა ტერმინი “*ალუთქმაი*”, ზოგჯერ “*დაწერილი*”.

აღსანიშნავია, რომ მთელი რიგი ხალხების ძველი კანონმდებლობა არ იცნობს ანდერძით მემკვიდრეობას. მაგალითად, ძველ გერმანელებში გარდაცვლილი პირის ქონება რჩებოდა გვარს. სომხეთშიც შედარებით მოგვიანებით ჩამოყალიბდა ანდერძის ინსტიტუტი, თანაც ბიზანტიური თუ სირიულ-რომანული სამართლის გავლენით.

ქართული წყაროების ანალიზით ირკვევა, რომ ანდერძის ინსტიტუტი ადრეფეოდალიზმის ხანაში იყო ცნობილი. სოფელ წყისის წარწერის მიხედვით ანდერძის განვითარებული ინსტიტუტიც ივარაუდება. ანდერძის შესახებ ასევე ცნობებს გვაწვდის “ქართლის ცხოვრება”. მნიშვნელოვანია, აგრეთვე “დიდი სჯულის კანონი”, დავით აღმაშენებლის 1123 და 1125 წლების ანდერძები. თავის მხრივ, გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ “გიორგი ბრწყინვალის სამართალი” ანდერძის შესახებ დუმს. არც ბექას სამართალი გამოირჩევა ამ მხივ, რადგან მხოლოდ ერთ მუხლშია საუბარი ანდერძის შესახებ. ვახტანგ VI-ის სამართალიც არ იძლევა საკმარის ცნობებს ანდერძის შესახებ, თუმცა ამ ხარვეზს ავსებს ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულში შეტანილი უცხოური სამართლის ძეგლები, სადაც ანდერძით მემკვიდრეობა საკმაოდ სრულყოფილადაა გადმოცემული.

ფეოდალური ხანის ქართული ანდერძები შედარებით კომპლექსური ხასიათისაა, რადგან მათში მხოლოდ ქონების ბედზე არ არის საუბარი, არამედ ხშირად სხვა საკითხებიცაა განხილული, მიუთითებს ბ. ზოიძე.

ქართული სამართლის ძეგლებიდან და სხვა წყაროებიდან ირკვევა, რომ არსებობდა ანდერძის *შედარებითი* და არა აბსოლუტური თავისუფლება. ამ მხრივ ქართული სამართალი რომის სამართლის პოზიციას იმეორებს.

ანდერძის თავისუფლებასთან დაკავშირებით საინტერესოა საკითხი მემკვიდრეობაში სავალდებულო წილის შესახებ. იმის ფონზე, რომ ქართულ სამართალში ვერ ვხვდებით რაიმე ნორმას და მითითებას ამ საკითხზე და აგრეთვე ვახტანგის სამართლის წიგნში შესული უცხოური ნორმებიც არ იძლევა ზუსტ პასუხს თემასთან მიმართებით, სავარაუდოა, ქართული სამართალი არ იცნობს მემკვიდრეობაში სავალდებულო წილს.

ანდერძის მემკვიდრეობის საკითხის გარკვევისას მნიშვნელოვანია *ანდერძის სუბიექტები*, ანუ სამკვიდროს დამტოვებელი და მისი მიმღები პირები.

- მოანდერძე 14-15 წლის ასაკს მიღწეული პირი შეიძლება ყოფილიყო. დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნის მიხედვით ასაკი 18 წლით განისაზღვრა. ქალის, როგორც მოანდერძის ასაკი 12 წელი უნდა ყოფილიყო;
- გარდა გარკვეული ასაკისა, აუცილებელი იყო მისი შერაცხადობა. სულიერი ავადმყოფობა მოანდერძეს უფლებაუნარიანობის შემძღუდავი გარემოება იყო;
- მოანდერძეს ანდერძის შედგენისას ნების თავისუფლად გამოვლენა უნდა შეძლებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ანდერძი ბათილად ჩაითვლებოდა. დაუშვებელი იყო ანდერძის იძულებით, დაშინებით, მოტყუებით შედგენა.

ანდერძით მემკვიდრეობის საკითხის განხილვისას აუცილებელია აღინიშნოს *ანდერძის ფორმის* საკითხი. ქართული მემკვიდრეობითი სამართალი იცნობდა ანდერძის როგორც

ზეპირ, ისე **წერილობით** ფორმებს. ისტორიულად ჯერ ანდერძის ზეპირი ფორმა, ხოლო შემდგომ წერილობითი გაჩნდა.

ანდერძი შეიძლება დაეწერა მოანდერძეს ან სხვა პირს. საბუთებიდან ირკვევა, რომ ანდერძებს ძირითადად სასულიერო პირები ადგენდნენ. იმ შემთხვევაში, როდესაც ანდერძი დგებოდა სხვისი ხელით, მოანდერძეს მასზე ხელი უნდა მოეწერა ან რაიმე ნიშანი დაესვა, რითაც თავის ნება-სურვილს დაადასტურებდა. ანდერძის ნამდვილობისათვის ასევე **მოწმეთა დასწრება** იყო საჭირო. მოწმეთა რაოდენობა 7-ს აღწევდა. ქართული სამართალი რომანულ სამართალს მისდებოდა.

ანდერძის ფორმა ადერძის შინაარსის გამოხატულება იყო. ქართველი მეცნიერები ვარაუდობდნენ, რომ ჩვენი წმინდა ცივილური ხასიათის ანდერძები გვიანი შუა საუკუნეებიდან არის შემონახული. მანამდე კი ანდერძებში შეტანილია სხვადასხვა საკითხები და ამბები, რაც ანდერძის მოთხოვნას სცილდება. მაგალითად, ანდერძში მოანდერძის ბიოგრაფიული მონაცემები თუ ინტერესები გადმოცემული. ხშირად ანდერძში მოანდერძე გადმოსცემდა ქონების შეძენის კანონიერების მტკიცებას, რათა ნაანდერძევი სადავო არ გამხდარიყო.

სხვადასხვა ქვეყნების სამემკვიდრეო კანონმდებლობა იცნობს ე.წ. **“საანდერძო დანაკისრს”, “საანდერძო დავალებას”**. რომის სამართალი იცნობს საანდერძო დანაკისრის ორ ფორმას:

1. **ლეგატსა** და
2. **ფიდუკომისს**.

ლეგატი საანდერძო დანაკისრის იმგვარი სახე იყო, რომლის ძალითაც მემკვიდრეს ქონების გარკვეული ნაწილი უნდა გადაეცა მესამე პირისთვის, ხოლო **ფიდუკომისის** ძალით მემკვიდრეს უნდა შეესრულებინა ესა თუ ის მოქმედება. საანდერძო დანაკისრის არსებობა დასტურდება ქართულ სამართალშიც.

მოწესრიგებულია ასევე **ანდერძის შეცვლის** საკითხი - მოანდერძეს შეუძლია უკვე დადგენილი და მიცემული ანდერძის შეცვლა. ასეთ დროს ძველი ანდერძი კარგავს ძალას და მოქმედებას იწყებს ახალი. ანდერძის აღმსრულებლად მოანდერძე ასახელებდა პირს, რომელსაც ენდობოდა და შესაბამისად მისი სურვილსამებრ შეასრულებდა ანდერძს.

ანდერძის მოწმე - ანდერძის მოწმის ხელწერილის გარეშე ანდერძს ძალა არ ჰქონდა, ბათილი იყო. მოწმე შეიძლება ყოფილიყო სასულიერო ან რიგითი პირი. მოწმის რაოდენობა ადიოდა 7-მდე. არიყო განსაზღვრული ოდენობა. ქართული სამართალი მოითხოვს მოწმის მორალური მხარის გათვალისწინებას.

საბოლოოდ, ქართულ სამართალში არსებობს ანდერძის თავისუფლების გარკვეული, მაგრამ არა აბსოლუტური თავისუფლება. მემკვიდრეობის მოწესრიგების ძირითადი ფორმა მაინც კანონისმიერი მემკვიდრეობა იყო.

15. დიდი და მცირე სჯულისკანონი, ოპიზის სიგელი.

საქართველოში, როგორც მართლმადიდებლურ ქრისტიანულ სახელმწიფოში, მოქმედებდა ქრისტიანული საეკლესიო კანონები, როგორც უცხოური, ასევე ადგილობრივი. უცხოური საეკლესიო კანონებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „**დიდი სჯულისკანონი**“ და „**მცირე სჯულისკანონი**“ .

დიდი სჯულისკანონი - ნომოკანონი ბერძნულად ნიშნავს კანონს, წესს და მას ძირითადად უწოდებენ მართლმადიდებლური საეკლესიო სამართლის კრებულებს , რომლებიც შეიცავენ საეკლესიო შინაგანაწესს ყოფა-ცხოვრებისა და საოჯახო სამართლის დებულებებს . ნომოკანონი ქართულად სჯულისკანონია. დიდი სჯულისკანონი ქართულად **არსენ იყალთოელმა** თარგმნა XI საუკუნის დასარულს და XII საუკუნის დასაწყისში (თუმცა სადავოა იყო თუ არა ის არსენ იყალთოელამდე თარგმნილი). ეს ნომოკანონი ერთგვარი საეკლესიო შინაარსის კოდექსია და მასში შედის : მოციქულების კანონები , ასევე მსოფლიო და ადგილობრივი საეკლესიო კრებათა კანონები , ცნობილ სასულიერო პირთა კანონიკური ეპისტოლეები და განმარტებები ასევე საეკლესიო საკითხებთან დაკავშირებული სამოქალაქო კანონმდებლობა.

დიდი დჯულისკანონის წყაროები ოთხ ჯგუფად იყოფა. ესენია:

- I. „მოციქულთა“-ს სახელით ცნობილი 85 საეკლესიო კანონი, ეს ითვლება საეკლესიო კანონმდებლობის პირველ წერილობით ძეგლად.
- II. მსოფლიო საეკლესიო კრებათა კანონები
- III. ადგილობრივი საეკლესიო კანონები
- IV. ავტორიტეტულ საეკლესიო მოღვაწეთა ეპისტოლარული

კანონმდებლობა

ეს კოდექსი საბოლოოდ IX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ჩამოყალიბდა 14

ტიტულოვანი ნომაკანონის ე.წ 883 წლის რედაქციის სახით.

შინაარსობრივი შემადგენლობა ეპოქების მიხედვით თანმიმდევრულად იცვლებოდა III - დან IX-საუკუნემდე. საქართველოში როგორც სახვა ქრისტიანულ სახელმწიფოებში მას მოქმედი სამართლის ძალა ჰქონდა.

მცირე სჯულისკანონი ექვთიმე მთაწმინდელის მიერ თარგმნილი საეკლესიო სამართლის ძეგლია, რომელიც ოთხი ძირითადი ნაწილისგან შედგება:

I. მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრების კანონები- ეს კრება ცნობილია ტრულის საეკლესიო კრების სახელით (692წ.) ექვთიმე მთაწმინდელს გადმოქართულებული აქვს არა ორიგინალი, არამედ შემდგომი, შემცირებული ვარიანტი , რომელიც არ იყო ოფიციალური და შესაბამისად ექვთიმეს მეტ საშუალებას აძლევდა საკუთრი სურვილისამებრ დაემუშავებინა ტექსტი.

II. „კანონნი შეცოდებულთანი“ აღწერილი იოანე მმარხველის მიერ (იოანე მმარხველი კონსტანტინოპოლის პარტიარქი იყო, სავარაუდოა, რომ ეს კანონები მას არ შეუდგენია და მისი სახელი ამ კანონების გავლენის გასაზრდელად გამოიყენეს.

III. ნაწილის სრული სახელია- „კანონნი დღითი-დღეთა ცდომმათანი, ვითარცა წმინდამან მამამან ჩუენმა ბასილიმ განაწესნა“ (მოკლედ „კანონნი დღითი-დღეთა ცდომათანი) აღსანიშნავია, რომ მესამე ნაწილი მეორე ნაწილის გაგრძელებად მიიჩნეოდა

IV. ნაწილია „ძეგლის წერა სარწმუნოებისაი“ რომელიც VII საეკლესიო კანონებად მიაჩნდათ.

ეს ოთხი ნაწილი წარმოადგენდა ერთ კრებულს, რომელიც ექვთიმე მთაწმინდელმა თარგმნა და „მცირე სჯულისკანონი“ უწოდა, ის აღნიშნავს რომ ღვთისმოყვარე ხალხის და სულიერი ძმების სურვილით მოუწია ამ კრებულის შექმნა. ამ სახელით და შემადგენლობით ბერძნული სამართლის წყარო არ არსებობს, რაც ნიშნავს იმას, რომ ექვთიმე მთაწმინდელმა ეს შემადგენლობა თავად ამოკრიბა სხვადასხვა წყაროებიდან. ეს კანონი საკმაოდ კარგად არის მორგებული საქართველოს კულტურას, ტრადიციებს და იმდროინდელ ქართულ რეალობას ეს განპირობებულია იმით რომ ექვთიმე მთაწმინდელმა შეასრულა არა ზუსტი, არამედ თავისუფალი თარგმანი, ანუ თარგმნისას ამოაკლო ზედმეტი, ჩაამატა რაც აკლდა და განმარტა გაურკვეველი ნორმები. აღსანიშნავია რომ მას განმარტებული აქვს ასევე ნორმის შინაარსი, მიზანი და დასაბუთებული აქვს მისი მართლზომიერება მსჯელობით, რაც ბერძნულ წყაროებში არ გვხვდება. ექვთიმე მთაწმინდელის თვისებას თავად ჩაასწოროს და დაამუშავოს წყარო, ხაზს უსვამს ეფრემ მცირეც.

მცირე სჯულისკანონში ძირითადად საუბარია სისხლის სამართლის საკითხებზე, დანაშაულებზე, სასჯელზე, ბრალზე, დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებებზე, ამ ყველაფერს დაერთვის ექვთიმე მთაწმინდელის განმარტებები. მცირე სჯულისკანონი ქრისტიანულ სახელმწიფოებში მოქმედი სამართალი იყო, თუმცა სამწუხაროდ ჩვენ არ მოგვეპოვება წყაროები თუ როგორ გამოიყენებოდა ის საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში. აღსანიშნავია, რომ მცირე სჯულისკანონის ტექსტი მდიდარია იურიდიული ტერმინოლოგიით, ისევე როგორც დიდი სჯულისკანონი.

თარგმანის შესრულების ზუსტი თარიღი უცნობია, ექვთიმეს ის შესრულებული აქვს მამის გარდაცვალების შემდეგ, ანუ 1005 წლის შემდეგ. თავად ექვთიმე 1028 წელს გარდაიცვალა. აქედან ვიღებთ სავარაუდო თრგმნის დროს 1005-1028 წწ.

მცირე სჯულისკანონის და დიდი სჯულისკანონის გამოცემა მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართული სამართლის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით, ამ ორი ძეგლის შედარებიდან კარგად ჩანს, რომ ბრალის შესახებ მთარგმნელები ერთნაირ წყაროებს იყენებდნენ.

ოპიზის სიგელი

ოპიზის სიგელი ქართული სამართლის ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა. სიგელი წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილებას, რომელიც ეხება ორი მონასტრის **ოპიზისა** და **მიჯნაძორის** დავას მამულზე. ამ დავაში მამული დარჩა მიჯნაძორის მონასტერს და შეიძლება ითქვას, რომ მეფემ დაპირისპირებაში დამარცხებულ ოპიზის მონასტერს მოწყალებით უბოძა სხვა მამულები. იმის გამო, რომ დავა მიმდინარეობდა ორ მონასტერს შორის, სასამართლო პროცესს თვმჯდომარეობდა მეფე. ამ სიგელიდან კარგად ჩანს სასამართლოს როლი ორი მონასტრის დავაში, ასევე სასამართლო პროცესში მონაწილე მხარეების უფლება - მოვალეობები, მტკიცების საშუალებები, აღწერილია მეფის დომენის, ანუ სამფლობელოს სამართლებრივი რეჟიმი. ძეგლი დამოწმებულია სასამართლო პროცესში მონაწილე სამართლის სპეციალისტების მიერ. სიგელი შედგენის ზუსტი დრო უცნობია, დაახლოებით ის შედგენილია 1027 -1072 წლებში, ბაგრატ IV-ის მეფობის პერიოდში. ძეგლი აღმოაჩინა და გამოსცა დავით ფურცელაძემ.

16. რუის-ურბნისის ძეგლისწერა.

რუის-ურბნისის საეკლესიო კრება მოწვეულ იქნა დავით აღმაშენებლის ინიციატივით 1104 წელს.

„ მეგლისწერაი წმიდისა და ღმრთივ შეკრებილისა კრებისაი, რომელი შემოიკრიბა ბრძანებითა კეთილად მსახურისა და ღვთივ დაცულისა მეფისა ჩუენისა დავით აფხაზთა და ქართველთა რანთა და კახთა მეფისა, პირთათვის, რომელნი ქუემო მოხსენებულ არიან“ თვით კრების მიზანი იყო გაენხილა საეკლესიო საქმეები. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის გადმოცემით, ეკლესიას დაუფლებოდნენ „ ქუაზ ავაზაკნი“, რომელთაც გვარიშვილობითა და ქონებით დაესაკუთრებინათ საეპისკოპოსო კათედრა. საეკლესიო კრების მიზანს წარმოადგენდა დემოკრატიული რეფორმებით ეკლესიის მეფისადმი დაქვემდებარება და უღირს სასულიერო პირთა განკვეთა საყდრიდან.

რუის-ურბნისის მეგლისწერა ივანე ჯავახიშვილის მიხედვით, იყოფა 4 ნაწილად.

1. შესავალი
2. კანონები
3. დავითის შესხმა - შეადგინა არსენ მონოზომა (იყალთოელმა, რომელიც ამავდროულად კრების მდივანიც უნდა ყოფილიყო)
4. გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა მრავალჟამიერი(ცოცხლები) და საკუნო ხსენება (მიცვალებულთა).

კორნელი კეკელიძე კი მას 3 ნაწილად ყოფს:

1. შესავალი
2. კანონები
3. სინოდიკონი (დაწესდა ბიზანტიაში 843 წელს ხატთაყვანისცემის აღდგენის ნიშნად. წირვის დროს აქებდნენ მართლმადიდებლობისათვის მეგრძოლთ(ცოცხლებსა და გარდაცვლილებს), ხოლო ერეტიკოსებს წყევლა-კრულვას უთვლიდნენ) შესავალ ნაწილში მოთხრობილია ადამიანის შექმნის ისტორია. ისტორიები „შექმნათადა“ (დაბადება), „გამოსვლადა“ „ახალი აღთქმიდან“. აღწერილია ანდრია პირველწოდებულისა და წმ. ნინოს ღვაწლი საქართველოში და ნათქვამია, რომ ამის შემდეგ საქართველოში უკვე მოქმედებდა მსოფლიო საეკლესიო კრებათა დადგენილებანი და წმინდა მამათა განწყესებანი.

კანონები:

- 1) განკვეთილი ეპისკოპოსები ჩამოაქვეითეს ერისკაცთა ხარისხში და მათ ნაცვლად დაადგინეს ისინი, ვინც ხორცი დაუმორჩილეს სულს
- 2) დადგინდა ხელდასხმის მინიმალური ასაკი, აქვე აღნიშნულია, რომ დაუშვებელი იყო აჩქარება. ეპისკოპოსის ქიროტინიის(ხელდასხმის) მინიმალური ასაკი განისაზღვრა - 35 წლით, მღდლის- 30 წლით, დაიკვნის- 25 წლით. წიგნისმკითველის 8 წლიდან.
- 3) აიკრძალა ყველა ხარისხის მიღება 1 დღეში. მონოზონი, რომელიც უნდა გამხდარიყო ეპისკოპოსი, მღვდლად კურთხევამდე უნდა აღკვეცილიყო დიდ სქემაში. მართლმადიდებლური ეკლესია იცნობს ორი სახის სქემას- დიდსა და მცირეს. დიდ სქემაში აღკვეცა დაკავშირებული იყო განსაკუთრებულ გარემოებებთან და დიდ პატივად ითვლებოდა.
- 4) ხელდასხმის წესი უნდა შესრულებულიყო გიორგი მთაწმინდელის „ახალი კურთხევანის“ მიხედვით (მანამდე სრულდებოდა ექვთიმე მთაწმინდელის ნათარგმნი „კურთხევანის“ მიხედვით)
- 5) დაიგმო „სიმონის ცოდვა“, რომელიც გულისხმობდა საუფლო მადლის მიღებას ფულის საშუალებით. ტერმინი უკავშირდება სიმონ მოგვის სახელს, რომელიც ეცადა, პეტრე და იოანე მოციქულებისგან ეყიდა განკურნების ნიჭი. ზოგადად, ქრისტიანობაში

უსასყიდლოდ საეკლესიო საიდუმლოებათა შესრულება უკავშირდება მაცხოვრის სიტყვებს :
„ უსასყიდლოდ მიგიღიათ და უსასყიდლოვე გაეცით“

6) საეკლესიო ჭურჭელი და სიწმინდეები მხოლოდ დანიშნულებისაებრ უნდა

ხმარებულიყო, აიკრძალა მათი გამოყენება ტყვეთა გამოსყიდვის მიზნითაც კი

7) ეკლესიისა და საკურთხეველის გარეშე აიკრძალა ნათლისცემა, გვირგვინთა კურთხევა, მონოზვნად კურთხევა (აღკვეცა)

8) პირველი და მეორე ქორწინებისას უზიარებლობით დასჯილებსაც კი ეძლეოდათ ევქარისტიის (წმ. ზიარების) მიღების საშუალება, გარდა ზომამაგადასული სიბილწით შეპყრობილთა.

9) მღვდელი, რომელიც მეორე გვირგვინკურთხეულთა სადილზე მივიდოდა განიკვეთებოდა, ერისკაცი კი უზიარებლობით დაისჯებოდა

10) აიკრძალა ჩვილთა გვირგვინთა კურთხევა. ქორწინების მინიმალურ ასაკად დაწესდა 12 წელი

11) ქორეპისკოპოსად კათოლიკოსსა და ეპისკოპოსს უნდა აერჩიათ სჯულისა და საღვთო წიგნთა მცოდნე მღვდელი ან დიაკონი. მათ უნდა ემსახურათ უსასყიდლოდ და არ უნდა დამსგავსებოდნენ ვერცხლიმოყვარე იუდას

12) დიდ მონასტერში უნდა ყოფილიყო 2 მოძღვარი, მცირეში კი 1.

13) მონასტერში არ უნდა მოეწყოთ საერო ვაჭრობები, არც სხვა სამოქალაქო და ამქვეყნიური წესები არ უნდა შესრულებულიყო

14) განიმარტა ცოცხალთა და მიცვალებულთა მოხსენიების წესები

15) სომეხი ხაჩეცრები („ ხაჩ ევარ“ – „ ჯვარს ეცვ“, ხაჩეცრად კრება მოიხსენიებს სომეხ მონოფიზიტებს, რომლებიც იესო ქრისტეს მხოლოდ ერთ ბუნებას აღიარებენ)

მართლმადიდებლურ წიაღში უნდა მიეღოთ, როგორც წარმართნი. უნდა შესრულებულიყო ხელახალი ნათლისღება, ისვე როგორც ხდებოდა ანტიოქიის ეკლესიაში. ყურადსაღებია, რომ აღნიშნული წინააღმდეგობაში მოდის ტრულის კრების დადგენილებასთან, რომელიც არ ითვალისწინებს მონოფიზიტთა ხელახალ ნათლობას. ეს ფაქტი აიხსნება იმით, რომ მე-11 საუკუნეში სომხურმა ეკლესიამ დაიწყო მართმადიდებელთა ხელახალი მიღება

პროზელიტიზმის დროს და კრებამ ამით სომხურ ეკლესიას ადეკვატური პასუხი გასცა

16) აიკრძალა შერეული ქორწინება (სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლებს შორის)

17) აიკრძალა წარმომადგენლობითი ქორწინება. (აღნ. კანონს არ ჰქონია უკუძალა, ე.ი შეენდოთ მათ ვინც მანამდე იყვნენ დაქორწინებულნი მსგავსი წესით, ხოლო ვინ შემდეგში ამას გააკეთებდა, ოთხი კურთხეული და ორი მაკურთხეველი მღვდლები განიკვეთებოდნენ).

18) დაიგმო სოდომური ცოდვა (მამათმავლობა). ამ ცოდვას მიიჩნევს ასურისტანის, სომეხთა , სპარსთა და რომის სამეფოს დაცემის მიზეზად. ამ ცოდვას უწოდებს „ ვნებაზე უფრო საძაგელ სიბილწეს“

19) დაიგმო ხატმებრძოლობა. ამოზოხს, რომ ღვთის ხატის თაყვანისმცემელი ღმერთს სცემს თაყვანს, მისი საშუალებით და ღვთის ხატის მაგინებელიც ღმერთს აგინებს უეჭველად .

ხატმებრძოლი კი განკანონებული იქნებოდა.

ი. ჯავახიშვილისა და კ. კეკელიძის აზრით, ძეგლისწერა 15 მუხლისაგან შედგებოდა, ი. დოლიძის აზრით, კი- 16 მუხლისგან.

კრებას თავმჯდომარეობდა იოანე კათოლიკოსი. მდივანი კი იყო არსენ მონოზონი (იყალბოული).

17. კათალიკოსთა სამართალი.

კ.კეკელიძის გამოკვლევით მეგლი შედგენილია 1543-1549 წლებში ქართლის კათალიკოს მალაქიასა და აფხაზეთის კათალიკოს ევდემონის მიერ, კრებას ასევე ესწრებოდნენ დასავლეთ საქართველოს ეპისკოპოსები. მეგლი შედგენილია დასავლეთ საქართველოში და სწორედ ამ მხარისთვის იყო განკუთვნილი.

საეკლესიო კრების მოწვევისა და შედგენის მიზეზი დასავლეთ საქართველოში შექმნილი განსაკუთრებული მდგომარეობა იყო. აღნიშნული მეგლის შესავალში აღნიშნულია, რომ საქართველოში შემოვიდა მრავალი უწესობა და უჯერო საქმე: კაცის კვლა, კაცის სყიდვა, ეკლესიის კრებვა და უხვედრობა. სწორედ ამ მიზეზთა გამო მიიჩნიეს საჭიროდ საგანგებო ზომების მიღება.

ამ პერიოდში საქართველო პოლიტიკურად დანაწილებულია, მაგრამ ამ კრებას ქართლის კათალიკოსიც დასწრება. ის მიზეზები, რომლებმაც განაპირობა დასავლეთ საქართველოში ეკლესიის მესვეურთა მიერ კრების მოწვევა და კანონების მიღება, აღმოსავლეთ საქართველოშიც არსებობდა, სწორედ ამიტომ ვხედავთ ამ კრებაზე აღმოსავლეთ საქართველოდან კათალიკოს მალაქიას.

“კათალიკოსთა სამართლის” შედგენის პერიოდი მეტად მძიმე იყო საქართველოსთვის. ოსმალეთის აგრესია განსაკუთრებით გაძლიერდა მე-16 საუკუნეში. ოსმალთა გააფთრებული თავდასხმები დასავლეთ საქართველოს წალეკვით ემუქრებოდა. ასეთ ვითარებაში ქვეყნის შიგნით დამძიმდა ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა, ამის ფონზე კი გახშირდა მეკობრეობა და ტყვეების საზღვარგარეთ გაყიდვა. სწორედ ეს უკანასკნელი გახდა მთავარი მიზეზი ეკლესიის მესვეურთა მიერ საეკლესიო კრების მოწვევისა. “კათალიკოსთა სამართალი” ეხება, როგორც საეკლესიო, ისე საერო სამართლის საკითხებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოსმალთა აგრესიის გაძლიერების ვითარებაში განსაკუთრებით საშიში გახდა საქართველოდან ტყვეების გაყიდვა. მეგლიც სწორედ ამ დანაშაულის განმარტებითა და სანქციით იწყება. აღსანიშნავია, რომ კრების მიერ დანაშაულად გამოცხადდა ტყვეთა საქართველოდან გაყიდვა და არა მათი სყიდვა, რადგან თუ ვინმე საზღვარგარეთ ტყვეს იყიდდა და საქართველოში ჩამოიყვანდა, რომელსაც ალბათ გააქრისტიანებდნენ, ცოდვად და დანაშაულად არ ითვლებოდა.

მეგლის მიხედვით კაცის გაყიდვა ყველას ეკრძალება “დიდი” იქნება თუ “მცირე” - თავადი, აზნაური და გლეხი.

მეგლის შედგება 22 მუხლისაგან.

ესენია:

1. დამნაშავედ ითვლება ტყვის გამყიდველი საქართველოდან საზღვარგარეთ. სასჯელი - შეჩვენება და დაგმობა-გაძევება. თუმცა თუ დამნაშავე მის მიერ გაყიდულს დაიხსნის და მოიყვანს თავის ადგილზე, მაშინ ვალდებულია, ჯარიმა გადაუხადოს იმ ეპისკოპოსს, სადაც ტყვე ცხოვრობდა. აგრეთვე ჯარიმას უხდის ტყვის ბატონს. თუ გაყიდულ ტყვეს უკან ვერ დააბრუნებდა მაშინ ჩამოხრჩობა არ აცდებოდა.
2. ეკლესიისა და ხატის გაძარცვა - მკრეხელობაა და დამნაშავე უნდა ჩამოახრჩონ.
3. ეკლესიიდან საქონლის გამოტანა - გაძაარცვის გარეშე. სასჯელი - საქონლის ანაზღაურება და გახეიბრება (რომელიმე ასოს მოკვეთა).
4. ძმისა და მამის მკვლელობის მოკვეთითა(ტალიონის პრინციპი) და გაძევებით ისჯებოდა;

5. უბრალოდ, დანაშაულის გარეშე მოკლული მგზავრი, მცველი - სასჯელის სახე დასახელებული არ არის, მაგრამ დაისჯება;
6. ქურდობა - "მცელი წესის" მიხედვით უნდა დაისაჯოს. ქურდობისთვის სხვადასხვა სახის სასჯელი იყო დაწესებული - ორმაგი, სამმაგი, ოთხმაგი, ხუთმაგი და შვიდმაგი;
7. თუ ეპისკოპოსი 20 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში თავის ეკლესიაში არ იმყოფება და არანაირი მიზეზი არ აქვს გაცდენისთვის - დაიწყებლოს და ექსორია ქმნილ იყოს (გააგდონ საყდრიდან).
8. ეპისკოპოსმა ღირსეული დიაკონი, მღვდელი უნდა აკურთხოს, ხოლო სანამ აკურთხებდეს, უნდა გამოსცადოს.
9. ეპისკოპოსი არ უნდა ჩაერიოს სხვა ეპისკოპოსის საქმიანობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეჩვენებული იქნება;
10. მღვდელი თუ ერისკაცის ხელით ვინმეს ზიარებას გაუგზავნის, ის მღვდლობიდან უნდა გადააყენონ;
11. თუ ეპისკოპოსმა ასეთი მღვდელი არ დასაჯა, უნდა დაიწყებლოს;
12. ქორეპისკოპოსი უნდა დადიოდეს საეპისკოპოში და ამოწმებდეს სარწმუნოებრივი წესების შესრულებას: მარხვის დაცვას, უქმე დღეების შენახვას, ნათესაობასა და სხვა;
13. არცერთი სოციალური ფენის წარმომადგენელს არ აქვს უფლება, წინ აღუდგეს ეპისკოპოსს/ქორეპისკოპოსს და ხელი შეუშალოს წინა მუხლში აღნიშნულ საქმიანობაში;
14. წინა მუხლში აღნიშნული წინააღმდეგობა ჩაითვლება მეფის წინააღმდეგ ჩადენილ ურჩობად და დანაშაულად;
15. თუ ეპისკოპოსი წინ აღუდგება კათალიკოსს სარწმუნოებრივ საკითხებში და არ შეისმენს მის შთაგონებას, ამ საქმეს კარგად გამოიძიებენ და თუ ეპისკოპოსის დანაშაული დამტკიცდა, მაშინ ის მეფის მიერ ექსორია ქმნილ უნდა იყოს;
16. მეფის მოღალატე - თუ დაუმტკიცდება დანაშაული სიკვდილით უნდა დაისაჯოს;
17. კათალიკოსისა და ეპისკოპოსის გინება დაისჯება ისე, როგორც ეს გათვალისწინებულია დიდ სჯულისკანონში;
18. თუ ეპისკოპოსი აკურთხებს უღირს მღვდელს/დიაკონს, იცის მათი უღირსობა და ქრთამის გამო აკურთხებს, ასეთი ეპისკოპოსი შეჩვენდეს ისე, როგორც სვიმონ მოგვი.
19. განსაკუთრებულად მძიმე დანაშაულია ტყვის გაყიდვა, ეკლესიის გაძარცვა. წყევლა-კრულვა მათ, ვინც გულმოდგინედ არ გამოიკვლევს ამ დანაშაულებს;
20. ეკლესიისა და მონასტრისათვის ქონების (მამული, სოფელი, ვენახი, მიწა, აგარა) წართმევა ისჯება შეჩვენებით;
21. ეს მუხლი ლოცვა-კურთხევას უგზავნის მათ, ვინც დაიცავს და შეასრულებს "კათალიკოზთა სამართლის" მუხლებს. ხოლო წყევლა-კრულვით ემუქრება ამ სამართლის მოწინააღმდეგეთ;
22. ხელრთვამდე ჩასმულია ცალკე მუხლი. ამ მუხლში აღნიშნულია: თავადი აზნაური ან გლეხი, რომელიც რძალს შეირთავს, შეჩვენებულია. ამასთანავე, კაციცა და დედაკაციც გაღმა-გამოღმა დაიკირონ და მკირავნი ჩვენგან დალოცვილ და კურთხეულ იყონ;

მეგლი ამით არ მთავრდება. ბოლოს მოცემულია ცალკე მუხლი: "უბრალოდ" ცოლის დამგდებელი შეჩვენებული იყოს და ამასთანავე, "სიკუდილითა განიპატიოოს". ეს მუხლი შემდეგ უნდა იყოს დამატებული, ვის მიერ ან რისთვის, ეს არ ჩანს. ცოლის გაშვებისათვის

სიკვდილით დასჯა გაუმართლებელია და ასეთი რამ უცნობია ქართული სამართლის სხვა წყაროებისათვის.

18. ბერძნული და სომხური სამართლის ქართული ვერსიები.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში შეტანილია „სამართალი ბერძნული“, ანუ ბერძნული კანონები და **სომხური სამართლის ქართული თარგმანი**. აღნიშნული სამართლის წიგნები მოსამართლეთა მიერ გამოიყენებოდა როგორც დამხმარე, საკონსულტაციო მასალა, მაშინ როდესაც ძირითადად გასამართლება ხდებოდა ბატონიშვილის, ვახტანგის სამართლით.

ბერძნული სამართალი

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულის შესავალში მითითებულია, რომ ვახტანგ ბატონიშვილმა მოიძია საბერძნეთში სამართლის წიგნი, რომელიც საქართველოში ჩამოიტანა, გადაათარგმნინა „ბრძენთა კაცთა“ და მის თარგმანში თავადაც დიდი წვლილი შეიტანა.

ბერძნული სამართლის ამ ქართული ვერსიის შესახებ, მრავალი მცდარი აზრი გამოითქვა. პროფესორი დავით ჩუბინაშვილი იყო პირველი, რომელმაც მიუთითა, რომ „ბერძნული სამართლის წიგნის“ ქართული ვერსიის წყაროს წარმოადგენდა **კონსტანტინე არმენოპულოს 6 წიგნი და ვლასტარის კრებული**, იგივე მათე ვლასტარის სინტაგმა.

პროფესორმა ვლადიმერ სოკოლსკიმ, ჩუბინაშვილის აზრზე დაყრდნობით გააკეთა სამი ძირითადი დასკვნა:

1. ვახტანგის კრებულის ბერძნული კანონები არის ვლასტარის სინტაგმის შემოკლება რომელიც შევსებულია არმენოპულოს კრებულიდან და სხვა წყაროებიდან
2. კანონთა შინაარსი ბერძნული ანბანის მიხედვითაა დალაგებული ანუ ეს რედაქცია საბერძნეთშია შედგენილი და არა საქართველოში
3. ვლასტარის სინტაგმის მოკლე რედაქცია გავრცელებული იყო მოსკოვის რუსეთშიც და მას იქ მეფის კანონების თანაბარი ძალა ჰქონდა განვიხილოთ მოცემული ორი წყარო და მათი ავტორების ვინაობა.

კონსტანტინე არმენოპულოსი XIV-საუკუნის ბიზანტიური იურისპრუდენციის გამოჩენილი მოღვაწე, სალონიკელი მოსამართლე იყო. როგორც ვახსენეთ მან შეადგინა ექვსწიგნეული (1345წ), რომლის შემადგენლობაც შემდეგნაირია:

- I. წიგნში, რომელიც 18 ტიტულისგან შედგება საუბარია კანონების სასამართლო წყობილების რესტიტუციებისა და თავისუფალი მდგომარეობის შესახებ
- II. წიგნში, რომელიც 11 ტიტულისგან შედგება განხილულია მფლობელობისა და საზღვაო სამართლის საკითხები
- III. წიგნში ასევე 11 ტიტულია და ლაპარაკია შვილად აყვანის, გასხვისების, სესხის მონაბარისა და ამხანაგობის შესახებ
- IV. წიგნი 12 ტიტულისგან შედგება და ეხება ნიშნობისა და ქორწინების საკითხებს
- V. წიგნი ასევე 12 ტიტულისგან შედგება და აწესრიგებს ანდერძისა და მეურვეობის საკითხებს
- VI. და ბოლო წიგნში 15 ტიტულია და ისინი ეხება ზარალის ანაზღაურებასა და ყოველგვარ გადასახადებს

ეს ექვსწიგნეული წარმოადგენს რომის სამართლის რეცეფციას, კერძოდ IX საუკუნის ბიზანტიური სამართლის, პროხეირონის შემოკლებულ და გადამუშავებული რედაქციას და მას სავალდებულო ძალა ჰქონდა საბერძნეთსა და ვლახეთში. ეს შეიძლება ითქვას ფაქტობრივად რომის სამართალია და ალბათ ამის შესახებ ვახტანგ VI-ის სწავლულ კაცთა საკოდიფიკაციო კომისიამ კარგად იცოდა, თუმცა რადგანაც ის საბერძნეთში მოქმედებდა გადმოიტანეს ბერძნული სამართლის სახელწოდებით.

მათე ვლასტარის ალფაბეტური სინტაგმა (1335წ) წარმოადგენს ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის მეორე წყაროს. მათე ვლასტარი XIV საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე მღვდელ-მონაზონი იყო. ვლასტარის კრებული მოქმედი საერო და საეკლესიო სამართლის ერთობლივი ძეგლია, რომელიც ბერძნული ანბანის შესაბამისად 24 განყოფილებად იყოფა და 303 თავს შეიცავს რომლებიც ძირითადად კანონიკური დადგენილებების გამოცემით იწყება. არსებობს მოსაზრება რომ ბევრი თავი ნასესხებია ბასილის, ლეონისა და ალექსანდრეს ეპანაგოგიდან.

1964 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ბერძნულ ხელნაწერთა ფონდში თ. ბრეგაძემ აღმოაჩინა ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის დედანი, რომლის შესწავლითაც მიაკვლია რომ იგი მართლაც მათე ვლასტარის სინტაგმის და კონსტანტინე არმენოპულოს ექვსწიგნეულის ბაზაზეა შექმნილი. ხელნაწერი გადაწერილია 1670 წელს გლაციაში, მოლდოვეთ-ვლახეთის გამგებლის იოანე დუკას დროს. ის საქართველოში ხშირად მოიხსენიება რომაულ სამართლად და „იუსტინიანე მეფის“ სამართლად.

ქართული თარგმანი შესრულებულია კვიპრიანე სამთავნელის მიერ.

სომხური სამართლის ქართული ვერსია

ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულში შეტანილია სომხური სამართლის ქართული თარგმანი, რომელიც 2 დამოუკიდებელი ნაწილისგან შედგება:

სირიულ-რომაული სამართლის ქართული ვერსია (მუხ.1-150)

1)

2) მხითარ

გომის სამართლის წიგნის ქართული ვერსია (მუხ.151-431).

სირიულ-რეომაული სამართალი არის V საუკუნის დამლევს ბასილი კეისრის მეფობაში შედგენილ რომაული კანონების სომხურ რედაქციას წარმოადგენს.

არსებობს მისი 3 ტექსტი: სირიული, არაბული და სომხური.

სირიულ რომაული სამართალი არ არის ორიგინალიდან თარგმანი და წარმოადგენს სომხური ვერსიის თარგმანს (თარგმანის თარგმანი). ის ვახტანგ ბატონიშვილის დავალებით ჩამოიტანეს **ეჩმიაძნიდან** და ის თავიდანვე იყო მხითარ გომის სამართალთან ერთად თარგმნილი, მაშინ როდესაც მას ქართულად თარგმნიდნენ სწავლულ კაცთა კომისიამ არ იცოდა თუ რომელი რომელ ნაწილს წარმოადგენდა რადგან არც სათაურები და არც ავტორები მითითებული არ გახლდათ. თუმცა მათ რა თქმა უნდა იცოდნენ რომ ის ორი დამოუკიდებელი ნაწილისგან შედგებოდა რაც მითითებულია ვახტანგის სამართლის წიგნის კრებულის 1710 წლის ნუსხაში.

სირიულ-რომაული სამართლის ქართული ვერსია საკმაოდ შეცვლილად და დამახინჯებულადაა გადმოქართულებული, რაც შეიძლება იყოს როგორც ქართველ მთარგმნელთა ასევე სომეხ მთარგმნელთა მიზეზით გამოწვეული, რადგან მათ არ ესმოდათ სირიულ-რომაული სამართლის ორიგინალური ტექსტის დებულებების ნამდვილი აზრი. შეიძლება ეს სამართლის წიგნი ძველი დროიდანვე გამოიყენებოდა როგორც სომხეთში ისე საქართველოში.

მხითარ გოშის სამართლის წიგნი. მხითარ გოში განჯაში დაბადებული გრიგორიანული სარწმუნოების მიმდევარი, ღვთისმეტყველი, მოძღვარი და მონაზონი იყო, რომელიც სასწავლებლად კილიკიაში (კულტურული სომხური სახელმწიფო) წავიდა და დაბრუნების შემდეგ თავისივე დაარსებულ მონასტერში დაიწყო მოღვაწეობა. გამოირჩეოდა თავისი მწერლური მოღვაწეობით, ცნობილია მისი იგავ-არაკები.

არსებობს მოსაზრება, რომ მხითარ გოშამდე ეროვნული სჯულმდებლობის ძეგლები არ არსებობდა სომხეთში. ასევე თვლიან რომ მხითარ გოშმა ბერძნული ენა არ იცოდა და ის ბერძნულ-ბიზანტიური სამართლის ორიგინალი გამოეყენებინა თავისი სამართლის წიგნისთვის.

ის თავის სამართლის წიგნში უთითებს, რომ მისი დაწერა დაიწყო საქართველოს მეფის გიორგი III-ის გარდაცვალების წელს(1184წ) , ის აღნიშნავს რომ შეიძლება ამ წიგნის დასრულება ვერ მოახერხოს, ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ რომ ის მას სიცოცხლის ბოლომდე წერდა (1213წ).

წიგნი შეიძლება ითქვას, რომ ორი ნაწილისგან შედგება. ეს არის საერო და საეკლესიო ნაწილები, თუმცა აშკარა საზღვარი მათ შორის არ არის. მას წიგნი შედგენილი აქვს კაზუსების სახით, რისი მიზეზიც შეიძლება იყოს ის რომ მხითარ გოში ვარდაპეტი ანუ საეკლესიო სჯულის სპეციალისტი იყო. მას მიმართავდნენ კითხვებით და მათზე პასუხები სამართლის ნორმებად ჩამოაყალიბა.

თვად მხითარ გოშის სამართლის წყაროები მრავალფეროვანია: ბუნებითი სამართალი, კანონები , მათ შორის ქრისტიანული მეზობელი ქვეყნების სამართალი, შეიძლება მათ შორის ქართულიც კი, ასევე ისლამური სამართლის ნორმებიც, რომლებიც მან მოსეს სამართლიდან აითვისა და მანკიერი არ არის. ასევე ერთ ერთი წყაროა ბიბლია რომლის პირველი ხუთი წიგნიდან ბევრი რამ არის გადმოტანილი. ასევე მნიშვნელოვანი წყაროა ჩვეულებითი სამართალი რომელიც წიგნის 130 მუხლიდან 56 მუხლს წარმოადგენს და ძირითადად საერო სამართალს უკავშირდება. ასევე წყაროს წარმოადგენს საეკლესიო კრებების და წმინდა მამათა დადგენილებები.

აღსანიშნავია რომ ეს წიგნი არ იყო ოფიციალური რადგან სახელმწიფო ხელისუფლების მიერ არ ყოფილა დაკვეთილი , თუმცა მან გავრცელება პოვა სხვა სახელმწიფოებში სადაც სომხური მოსახლეობა იყო . ეს წიგნი საფუძვლად დაედო კილიკიის სომხეთი 1264 წელს სუმბატ სპარსპეტის სამართლის წიგნს.

19. გიორგი ბრწყინვალის ძეგლისდება.

1318-46 წწ-ში საქართველოს მართავდა გიორგი V ბრწყინვალე, დემეტრე თავდადებული ვაჟი.მან ძირიეულირეფორმებითა და პრაგმატული პოლიტიკის საშუალებით გააძლიერა სახელმწიფო. მონღოლთა ვეზირი ჩობან ნოინთან სიახლოვე გამოიყენა სახელმწიფოს ინტერსებისთვის.ალაგმა ოსთა თარეში ქართლში, 1329 წელს შემოიერთა დასავალეთ საქართველო, 1334 წელს კი სამცხე-საათაბაგო, ცივის მთაზე ამოხოცა ურჩი ფეოდალები. ამის შემდეგ მეფემ ყურადღება გაამახვილა მთიულეთზე, სადაც გახშირებული იყო მკვლელობა და სხვა დანაშაულები. პირადად შემოიარა მთიულეთი, ჩამოიყვანა იქიდან წარმომადგენლები თბილისში, მოიწვია დარბაზი და და შეადგინა სამართლის წიგნი „ძეგლის დადება“ (1334-35 წწ-ში).

ძეგლისდების განხილვისა და დამტკიცების მონაწილენი იყვნენ: ერისთავნი, ხევსთავნი, ხევსბერნი, ჰეროვანნი(სავარაუდოდ სოფლის გავლენიანი პირი), ქართლის კათალიკოსი, ვეზირნი, ეპისკოპოსნი, მოურავნი.

ძეგლის დადგება 45 მუხლისგან(რეალურად 46-გან , თუმცა ერთი მუხლი 2-ჯერ მეორდება) და შესავლისგან. ძირითადად მოიცავს სისხლის სამართლის ნორმებს, ასევე სამოქალაქოსაც. მოცემულია შემდეგი საკითხები: ერისთავისა და გამგებლის მკვლელობა, სამხედრო ვალდებულებისთვის თავის არიდება, ცოლის გაშვება და მოტაცება, ციხის დაქცევა,თავდასხმა, უარზანგობა(უპატიობა), მეკობრეობა, ასოთ მოღება და დაჭრა, ასაბიას(თანაშემწე, თანამონაწილე) მოკვლა ან დაჭრა, ამიერთ და იმიერთ ხევის ერთმანეთთან სამტროდ მიდგომა, ვალი და პროცენტი, გაყრა, ბეითალმანი(უპატრონო) ქონება, მოხუცი მამისა და შვილების ურთიერთობა.

შეზღუდულია შურისძიება, მაგრამ აკრძალული არ არის. მაგალითად, თუ კაცს ცოლს მოსტაცებდნენ, მას 1 წლის განმავლობაში შეეძლო გამტაცებლის სახლის გადაწვა. შურისძიება შეზღუდული იყო დროითა და ხელისუფლებით. თავდამსხმელი ჯერ ხევსბერთან ან გამგებელთან უნდა გამოცხადებულიყო. ასევე, თუ ვინმემ მოპირადპირე სამჯერ გამოიძაძა სასამართლოში და მისგან გამოცხადებაზე უარყოფითი პასუხი მიიღო, გამომწვევს შეუძლია თავს დაესხას მოპასუხეს. თუ ვინმეს რამე მოპარეს, დამკარგავს შეუძლია მოითხოვოს თავისი საქონელი უკან მოითხოვოს. ამის გარდა შურძიება არ გადადის გვარზე, როგორც ეს გვაროვნული წყობილების დროს იყო.

სასჯელის სახეებში ასევე მოცემულია გაძევება და გაპარსვა. თემური წყობილების უმაღლეს სასჯელს **გაძევება** წარმოადგენდა.

„ძეგლისდადების“ ძირითადი წყაროა **ადათობრივი სამართალი** . ძეგლში არაა ცალსახად ნახსენები, არსებობდა თუ არა მანამდე სხვა სამართლის წიგნი, მაგრამ დაუჯერებელი იქნებოდა რომ არსებულიყო, რაზეც მოწმობს გიორგი III-ის სიგელში ნახსენები სამპარმთძებნელო დაწესებულება.

ძეგლის მიხედვით, **კვალისფიცირ მკველობად ითვლება დედის, მამის და ძმის მკველობა.**

„ძეგლისდადება“ პარტიკულარული დანიშნულების ძეგლია, რადგან დადგენილია მხოლოდ მთიულეთისათვის. მისი გავრცელების არეალს წარმოადგენდა : **ჯვართა ყელს აქეთი, ხადა-ცხაოტი, ზანდუკის ხევი,კიბეთ ქვეშეთი და მენესოს ზემოთი.**

ქართულად გამოსცა სარგის კაკაბაძემ. ინგლისურად თარგმნა ოლივერ უორდროპმა, ფრანგულად კი ი. კარსტიმ.

20. *ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი.*

ბექა აღბუღას სამართლის წიგნის სირთულე იმაში მდგომარეობს ,რომ ის არ ეკუთვნის ერთ კანონმდებელს.ძეგლი ეკუთვნის ბექა მანდატურთუხუცესს (1285–1305წ) და აღბუღა ათაბაგს(1381–1385წ),ბექას შვილიშვილს.ძეგლის **შესავალი** აღბუღასია,პირველი 65 მუხლი – ბექასი,65–98 მუხლამდე აღბუღასი,ხოლო99 –102 მუხლები დანამდვილებით ბაგრატ კურაპალატს ეკუთვნის და შეიძლება უფრო მეტიც კი მას ეკუთვნოდეს. ისიდორე დოლიძის მიხედვით ძეგლის სტრუქტურა ასეთია:

- ძეგლის შესავალი აღბუღას ეკუთვნის;
- 1–65 მუხლები ბექას;

- 66–98 მუხლის ჩათვლით აღბუღას;
- 99–160 ბაგრატ კურაპალატის წიგნის ფრაგმენტებია;
- 160–171–ე მუხლები კანონიკური სამართალს ეთმობა.
- ხოლო 171–175 მუხლის ჩათვლით არის დანართი.(33,64,72 და 81–ე მუხლების განმეორება).

დ.ჩუბინაშვილის აზრით,ძეგლი 175 მუხლისაგან შედგება მას აღბუღას სამართლის წიგნი ჰქვია.ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულში შესული ეს სამართლის წიგნი 176 მუხლისაგან შედგება და აღბუღას სახელს ატარებს.1672 წლის ხელნაწერით,რომელიც 98–ე მუხლით მთავრდება ძეგლს ეწოდება „წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოველთავე“. ძეგლი შემორჩენილია აღბუღას დროის საკანონმდებლო კრების რედაქციით.ძეგლი შესავალში აღბუღა წერს რომ მან შეკრიბა „საპატიო კაცნი“ ჭულევში–“შევიყარენით ჭულევითა“ და ბაბუამისის,ბექას, განაჩენი,სრულობით და უკლებლად“ გადაწერეს. აღსანიშნავია,რომ ჭულევი იყო მონასტერი ადიგენის რაიონში, რომელიც 1381 წლამდე არ იყო აღდგენილი,ხოლო 1386 წლის მერე აღარ მოიხსენიება.სხვა ისტორიულ წყაროებში აღბუღას არ ვხვდებით და ამ წლების მიხედვით ი.დოლიძე აზუსტებს აღბუღას მიერ სამართლის წიგნის რედაქციის დროს.ბექამ კი სამართლის წიგნი დაწერა მაშინ ,როდესაც ყაზან ყაენი ჭრიდა თეთრს,რადგან სამართლის წიგნის მიხედვით ყაზანური თეთრი ფულის ძირითადი ერთეულია.ყაზანური თეთრი კი გამოიცემოდა ყაზან ყაენის დროს (1295–1304 წლებში).ბექას მოღვაწეობის პერიოდი შეგვიძლია ასევე დავადგინოთ ვახუშტის მიხედვით ,რომელიც ამბობს რომ მანდატურთუხუცესი ბექა ცნობილია 1285–1305 წლებში მოღვაწე მთავრად.ამის შემდეგ მანდატურთუხუცესის ტიტულს სამცხის მთავრები აღარ ატარებდნენ.აღსანიშნავია ,რომ ძეგლში აღბუღამ ყაზანური თეთრი გიორგაულით ჩაანაცვლა.გიორგაული არის გიორგი V-ის მიერ მოჭრილი მონეტა.ამის შესახებ შესავალში ვკითხულობთ,რომ ყაზანურმა მოიკლო და „გააჩინეს“ გიორგი მეფის თეთრი.ამ ფაქტიდან გამომდინარეც შეგვიძლია დავადასტუროთ,რომ აღბუღა მოღვაწეობდა გიორგი მეხუთის შემდეგ,მეთოთხმეტე საუკუნის მეორე ნახევარში.ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნის შედგენის თარიღ დაადგინა ს.კაკაბაძემ.შესავალში აღბუღა აცხადებს ,რომ ბექას სამართალს დავუწერეთ ჩვენი სამართალიო“და რაცა ჟამთა სიავითა სხვანი უწესონი საქმენი შემოსულიყვნენ,მათი სამართალიცა ზედ დავურთეთ“.აღბუღა აცხადებს,რომ მან მთელი სამცხის საქმე გამოიკვლია და სამართლის წიგნში სხვა უწესო საქმეებისთვისაც გააჩინა მუხლები მაგალითად,ცხენის ქურდობისთვის,რომელიც იმ დროს გახშირებულიყო სამცხეში.შესავალში ნახსენები „ზედ დართვა“ შესაძლებელია თვით ბექას სამართლის წიგნს შეეხებოდეს და აღბუღამ რომელიმე მუხლი დაუმატა კიდეც ან შეიძლება ზედ დართვა ისე გავიგოთ,რომ ბექას კანონებს საკუთარი კანონებიც დაუმატა.ბექა–აღბუღას სამართალი ადგილობრივი დანიშნულებისაა და იგი მხოლოდ სამცხე საათაბაგოსთვის არის შექმნილი.ამას იმიტაც ვადგენთ,რომ ძეგლის მიხედვით უმაღლესი ხელისუფალი არის ათაბაგი და არა მეფე,ხოლო ეკლესიისთვის უმაღლესი იერარქი–მაწყვერელი და არა კათალიკოსი.

აღბუღას სამართლის წიგნში მოცემულია ნორმები სხვადასხვა დარგიდან.აქ ვხვდებით უმთავრესად სისხლის სამართლის ნორმებს(მკვლელობა,დაჭრა,მეკობრეობა და სხვა და მათი საზღაური),ხოლო ძეგლში შემავალი სამოქალაქო მუხლები შეეხება საკუთრების უფლებას,ნასყიდობას,გირავნობას,სესხსა და სხვა.წიგნი ასევე ეხება სამოსამართლო

საკითხებს(ბჭე,შუაკაცი,მტკიცების საშუალებანი და სხვა).ასევე მეგლში მოცემულია ინფორმაცია სამცხე საათაბაგოს სოციალური სტრუქტურის შესახებ:

1. პატრონი—ათაბაგიმაწყვერელი;
2. დიდებული;
3. აზნაური (სამი კატეგორია);
4. ვაჭარი(ორი კატეგორია);
5. მსახური;
6. ყმა გლეხი (მკვიდრი ყმა,თავდაწერილი ყმა,თავდაუწერელი ყმა).

21. ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ფრაგმენტი.

ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნი აღბუღას სამართლის წიგნში 98 მუხლის შემდეგაა მოთავსებული.ამას ისიც მოწმობს,რომ ათაბაგი და მაწყვერელი იხსენიება აღბუღას სამართლის წიგნში,ხოლო 99 მუხლიდან და შემდგომ იხსენიება მეფე და ეპისკოპოსი.98 მუხლის შემდეგ არის ერთგვარი შესავალი,სადაც წერია,რომ მეფეთ—მეფე ბაგრატ კურაპალატი იწვევს ეპისკოპოსებს „დიდებულებს,აზნაურებს,“ჭკვიან კაცებს“ და ადგენს კანონებს.ამასთანავე,99—ე მუხლში კანონმდებელი განმარტავს თუ როგორი უნდა იყოს მოსამართლე:ვინც საბჭოდ დაჯდება— მართალი სამართალი უნდა გააჩინოს,არავის სთნიოს,არც მამას არც დედას,არც პატრონს ,არც ძმას და არც მოყვასს.არც ქრთამი უნდა აიღოს,არამედ მართალი სამართალი უნდა გააჩინოს.მე—100 მუხლში წერია,რომ ვინც მოძღვარი იქნება,მეფეთა წინაშე გაზრდილი,კარგი დიდვაჭარ,კარგი სოფლის მამასახლისი ასეთი კაცი უნდა გამხდარიყო ბჭე.ჭკვიანი იქნებოდა და კარგად ეცოდინებოდა ბჭობა,უსამართლოს არაფერს იტყოდა.101—ე მუხლის მიხედვით ეპისკოპოსი თუ მეფეს შეცოდავდა მეფე ვერ დასჯიდა მას.ეპისკოპოსს მეფის მიმართ შეხვეწება,შეკაზმვა— გადასახადის გადახდა მართებდა.102—ე მუხლის მიხედვით თუ მეფე ეპისკოპოსზე გაწყრებოდა მეფეს არ შეეძლო მისი ხელად შეპყრობა,თუნდაც სამართლიანად გაბრაზებულიყო,რადგან ეპისკოპოსი „მეორე მეფე არს“ და ქრისტიანთა რჯულის დამამტკიცებელი.ივანე ჯავახიშვილმა შეისწავლა აღბუღას სამართლის წიგნი და მივიდა იმ დასკვნამდე,რომ აღბუღას სამართალს დამატებული აქვს ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ნაწყვეტი,როგორც ამის შესახებ გვამცნობს ჩვენ მეფეთ—მეფის ბაგრატ კურაპალატის სიტყვები შესავალში.ივანე ჯავახიშვილის აზრით, შესავლის გარდა 99—102 მუხლებიც უეჭველია ბაგრატ კურაპალატის წიგნიდან არის შეტანილი აღბუღას სამართალში.ივანე ჯავახიშვილის აზრით,შესაძლოა სხვა მუხლებიც ბაგრატ კურაპალატის იყოს,მაგრამ ეს შესწავლას მოითხოვს. ამას გარდა, არსებობს სხვადასხვა მოსაზრებები იმის შესახებ თუ რომელი ბაგრატია ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ავტორი.ბაგრატ აშოტი მე—სამცხე საათაბაგოს მეფე,ბაგრატ მეორე,ბაგრატ მესამე,ბაგრატ მეოთხე თუ ბაგრატ მეხუთე.ბაგრატ მეხუთე არ შეიძლება იყოს ამ სამართლის მეგლის ავტორი,რადგან ის დავით აღმაშენებლის შემდეგ მოღვაწეობდა და დავით აღმაშენებლის შემდგომ ქართველი მეფეები კურაპალატის ტიტულს აღარ კადრულობდნენ.ბაგრატ მეორეც არ არის სამართლის წიგნის ავტორი,რადგან მას არ ჰქონდა კურაპალატის ტიტული.ასევე აღსანიშნავია,რომ ბაგრატ მეორე „რეგვენად“ იწოდებოდა.რეგვენი ძველქართულად ახალგაზრდას ნიშნავს. ივ. ჯავახიშვილის აზრით,ბაგრატ პირველის სასარგებლოდ შემდეგი გარემოებები მეტყველებს:

1)ბაგრატ კურაპალატის წიგნის იმ მუხლების შესავალში,რომელიც აღბუღას სამართლის წიგნშია მოხვედრილი საუბარია ბაგრატ კურაპალატზე,როგორც „აღმაშენებელზე“,გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში დახასიათებულია ბაგრატ პირველი,როგორც ეკლესიათა მშენებელი.

2)გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების მიხედვით,ბაგრატ პირველს განუწესებია „გლახაკთა ნაწილი“.ის იყო „ყოვლისა ერის სამართლით განმკთხავი“.ასეთ მეფეს შეეფერება სამართლის წიგნის შედგენაც და სავარაუდოა ,სწორედ სამართლის წიგნის შედგენა ჰქონდეს მხედველობაში როცა „ყოვლისა ერისა სამართლით განკითხვაზე“აქვს საუბარი.

3)ივ.ჯავახიშვილი იმ ფაქტსაც აქცევს ყურადღებას ,რომ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების მიხედვით,მეცხრე საუკუნის სამცხე-საათაბაგოში სამღვდელოებას გასაოცარი უპირატესობა აქვს:ბერი ბაგრატს უთვლის ,რომ მას არ ნებავს მასთან მისვლა და მხოლოდ მას შემდეგ მიდის მეფესთან,როცა გრიგოლი გაუგზავნის წერილს.ამავე ძეგლის მიხედვით,გუარამ მამფალი,ქვეყნის მთავარი,არ უნდა ერეოდეს ეკლესიის საქმეებში.

ივ.ჯავახიშვილი ასევე ყურადღებას აქცევს იმ ფაქტს,რომ ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ფრაგმენტში 102-ე მუხლის მიხედვით,მეორე მეფე ეპისკოპოზი არს .ეპისკოპოსის ასეთი განდიდება შესაბამეა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში აღწერილ ვითარებას და ,მაშასადამე,აღბუღას სამართლის წიგნში ხსენებული ბაგრატი– ბაგრატ პირველი უნდა იყოს.თუმცა ივ.ჯავახიშვილი საბოლოოდ ასკვნის,რომ ბაგრატ პირველს კანონთა კრებული არ უნდა მიეწეროს,რადგან მას არ ჰქონდა მეფეთ-მეფის წოდება. თუმცა აზელ კიკვიძე ამ მოსაზრებას აბატილებს და ამბობს,რომ ბაგრატ პირველი შეიძლება იყოს კანონთა კრებულის ავტორი და შესავალში მოხსენიებული მეფეთ-მეფე,რადგან ბიზანტიის მეფემ ბაგრატს მიანიჭა კურაპალატობა და ამით იგი გამოარჩია სხვა მეფეებს შორის ,ამიტომ მას შეიძლება ეწოდოს მეფეთ-მეფე.ა.კიკვიძე ამტკიცებდა იმას,რომ ხსენებული კანონების ავტორი უნდა იყოს ბაგრატ პირველი.ამის დასასაბუთებლად ის მოიხმობს 102-ე მუხლს ,რომლის მიხედვითაც “მეორე მეფე ეპისკოპოზი არს” და ძეგლში კათალიკოსის ხსენებაც არ არის.აზელ კიკვიძის აზრით,ეს გარემოება მოწმობს რომ სამართლის წიგნის შემქმნელი არ არის ერთიანი საქართველოს მეფე და სამართლის წიგნი მხოლოდ ქვეყნის ერთ ნაწილს ეხება, ამიტომ კანონების ავტორად ბაგრატ ამოტის ძეს მიიჩნევს.თუმცა კიკვიძის აზრით გაკრიტიკებულ იქნა,რადგან იმდროინდელი ეპისკოპოსის სახელი“გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მიხედვით ნათელია და ის იყო მაწყვერელი.შესაბამისად მისი სახელით არ მოხსენიება და „ეპისკოპოსის“მოხსენიება ივ.ჯავახიშვილის აზრით,მოწმობს,რომ ხსენებული მუხლები საქართველოს გაერთიანებული პერიოდის მეფეთ-მეფეთა ნახელავია.

რაც შეეხება ბაგრატ მესამეს, ივ.ჯავახიშვილის აზრით, წყაროებში ის მოხსენიებულია განსაკუთრებული პატივისცემით,რადგან ყოფილა ეკლესიათა მამენებელი,სამართლის მართლად გამკითხავი და ეკლესიათა მამენებელი.აღბუღას სამართლის წიგნის მე-100 მუხლში აღნიშნულია,რომ ბაგრატი „აღმაშენებლი“ იყო,მემატიანე ბაგრატ მესამესაც „მშენებელს“ უწოდებს.

ბაგრატ მეოთხეზე ივ.ჯავახიშვილის მსჯელობა ასეთია:ბაგრატ მეოთხის დროს ქვეყანა არ იყო დაწყნარებული,გლახაკები არ იკითხებოდა.როდესაც გიორგი მთაწმინდელი საქართველოში ჩამოვიდა მან „აღლესა მახვილი მხილებისა“ ბაგრატ მეოთხის წინააღმდეგ.მთაწმინდელს არ მოსწონდა „სამეუფეო სამართალი“ და ის მოითხოვდა რომ სამართლიანად მიუსჯიდნენ ობოლსა და ქვრივს.ივ.ჯავახიშვილის აზრით, ბაგრატ მეოთხის დროს სამართალი განსაკუთრებით შელახული იყო და არ არის დასაფიქრებელი,რომ მას სამართლის წიგნი შეედივნა.

აღსანიშნავია, რომ ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის შესავალში საუბარია მეფის მიერ ეპისკოპოსების, დიდებულების, აზნაურების და „ჭკვიანთა კაცთა“ შესახებ, მსგავსია ოპიზართა სიგელისა, რომელიც ბაგრატ მეოთხეს ეკუთვნის. შესავლის მიხედვით მოწვეული პირები შეადგენდნენ საბჭოს, რომელიც კანონს ადგენს. ოპიზართა სიგელით მეფის მიერ მოწვეული პირები შეადგენენ დაახლოებით ისეთივე შემადგენლობას, რომელიც არჩევს სასამართლო საქმეს. ასევე ბაგრატ მეოთხის ავტორობის სასარგებლოდ ის ფაქტი ემატება, რომ ბაგრატ მეოთხის დროს ქვეყანას დაწყნარება არ ჰქონდა და, როგორც წესი, სწორედ ასეთ დროს იქმნება ხოლმე სამართლის კრებულები. მაგალითად, გიორგი ბრწყინვალის „მეგლის დადება“ მაშინ შეიქმნა როდესაც მთულეთში გამრავლა დანაშაული, არეულობა, მკვლელობა, თავდასხმა და სხვა. აღბუღას სამართლის წიგნიც აღნიშნულია, რომ „უწესონი საქმენი შემოსულიყვნენ“ და ამიტომაც შეადგინა აღბუღამ სამართლის წიგნი. „კათალიკოსთა სამართლის წიგნიც“ აღნიშნულია, რომ გახშირებული კაცის კვლა, ტყვეთა სყიდვა, ეკლესიათა კრებვა და უხვედრობა გახდა სამართლის წიგნის შემოღების მიზეზი. ამრიგად, ივ. ჯავახიშვილის დასაბუთება, რომ ბაგრატ მესამის დროს სიწყნარე იყო და ხელისუფლება მტკიცე, ხოლო ბაგრატ მეოთხის დროს საწინააღმდეგო ვითარება იყო, მართალია, მაგრამ იმის სასარგებლოდ მეტყველებს რომ ბაგრატ მეოთხეს შეეძლო ამ კანონების შედგენა.

ისი დორე დოლიძე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ 99-ე მუხლიდან 160-ე მუხლამდე ბაგრატ მეოთხეს ეკუთვნის, ხოლო 161-ე მუხლიდან კანონიკურ სამართალს განეკუთვნებაო, 171–175 მუხლებს ავტორი „დანართ“ უწოდებს. 171–175 მუხლები 33-ე, 64-ე, 72-ე და 81 მუხლების გამეორებაა. ისი დორე დოლიძე მეგლის ავტორად მიიჩნევს ბაგრატ მეოთხეს, რადგან მის დროს ქვეყანაში იყო არეულობა, მის დროს სამღვდელოება დიდი უფლებებით სარგებლობდა და ეს ასახულია სამართლის წიგნის მუხლებში. აგრეთვე ი. დოლიძის აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს ოპიზართა სიგელის და ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის შესავლის მსგავსებას. ი. დოლიძე ი. ჯავახიშვილისგან განსხვავებით მიიჩნევდა, რომ ბაგრატ კურაპალატს ეკუთვნის 99-დან 160 მუხლამდე. ივ. ჯავახიშვილი ბაგრატ კურაპალატს ოთხი მუხლის (99–102) ავტორად მიიჩნევს იმ მოსაზრებით, რომ ამ ოთხ მუხლში არის მოხსენიებული მეფე და ეპისკოპოსი, მაშინ როდესაც მეფე და ეპისკოპოსი იხსენიებიან სხვა მუხლებშიც. სამღვდელოების პრივილეგირებული მდგომარეობა, რომელზედაც საუბარია 99–160 მუხლებში, წერს ი. დოლიძე, მიუთითებს, რომ ეს მუხლები ერთ კანონმდებელს ეკუთვნის. ამსთანავე ი. დოლიძე ყურადღებას აქცევს ტერმინებს: „შეკაზმვა“ „შეხვეწა“, რომლებიც გვხვდება როგორც 107-ე ისე შემდგომ მუხლებში. ასევე ტერმინი საპირო. ეს კი იმის დამადასტურებელია მრინ 98-ე მუხლიდან –160 მუხლის ჩათვლით კანონები ერთ კანონმდებელს ეკუთვნის. საყურადღებოა, ი. დოლიძის მიერ მოყვანილი 1460 წლის საბუთი, რომელშიც ბჭედ ისე როგორც ბაგრატის სამართლის წიგნიც დასახელებული არიან: ეპისკოპოსები, დარბაზის კარის ვეზირნი, ქალაქის ვაჭარნი და მამასახლისები. მოსამართლეები აქ დაყოფილია საზოგადოების ფენების მიხედვით. ეს მეგლი არის „ჭურულების სასისხლო სიგელი“, თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში ეს სიგელი ყალბადაა მიჩნეული.

22. ვახტანგ VI-ს სამართლის წიგნი.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი, ანუ „სამართალი ბატონიშვილისა ვახტანგისა“, მისივე სამართლის წიგნთა კრებულის ერთ-ერთი ნაწილია. თავად ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, გარდა აღნიშნულისა, შემდეგ ნაწილებს მოიცავს: ებრაული სამართალი, ბერძნული სამართალი, სომხური სამართალი, კათალიკოსთა სამართალი, გიორგი V-ის ძეგლისდება და აღბუღას სამართალი.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული და მასში შესული საკუთრივ ვახტანგის სამართალი შედგენილ იქნა ვახტანგის **ჯანიშინობის** დროს, ე.ი. მაშინ, როდესაც ვახტანგი გიორგი XI-ის მაგივრად გამგებლობდა ქართლს, **1704 წლიდან**. გიორგი მეფე სამართლის წიგნის შესავალში მოხსენიებულია როგორც ქართლის მეფე და ირანის მთავარსარდალი, მამასადამე, წიგნის შედგენისას გიორგი XI ცოცხალია, ის კი **1709 წელს მოკლეს**. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ძეგლი დაამტკიცა ვახტანგ VI-ის ძმამ, დომენტი ბაგრატიონმა, რომელიც **1705 წელს** გახდა კათალიკოს-პატრიარქი. აქედან გამომდინარე, ძეგლი შედგენილი უნდა იყოს **1705-1709 წლებში**.

ვახტანგის სამართლის წიგნის ძირითადი წყარო **ქართული ჩვეულებითი სამართალია**, ასევე - ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულში შესული ძეგლებიც. ამ მხრივ ვახტანგის საკოდიფიკაციო კომისიას დიდი სამუშაოები ჩაუტარებია.

ვახტანგის სამართლის წიგნი არ არის ერთიანი სისტემით ჩამოყალიბებული. იგი შედგება შედგება შესავალისა და 270 მუხლისაგან. 205-ე მუხლამდე წიგნი გარკვეულ სისტემაზეა აგებული, მსგავსი ინსტიტუტები ერთმანეთს მისდევს, თუმცა ამას მოსდევს ბოლოსიტყვაობა, ხოლო შემდეგ ახალი მუხლები იწყება, დალაგებას უკვე შემთხვევითი ხასიათი აქვს. ბოლოსიტყვაობაში საყურადღებოა ის, რომ კანონმდებელი მეფე მოითხოვს, არ შეცვალონ სამართლის წიგნში მოცემული ნორმები, არამედ, საჭიროებისას მოსამართლემ ახალი ნორმა შეადგინოს და სამართლის წიგნში ჩაამატოს.

შესავალში ვახტანგი მოგვითხრობს, რომ მან სამართლის წიგნი შეადგინა

- კათალიკოსის;
- მთავარეპისკოპოსის;
- მიტროპოლიტ-წინამძღვრისა

და დიდებულთა:

- მუხრან ბატონის;
- ქსნისა და არაგვის ერისთავების;
- ორბელიანის;
- ამილახორის;
- მდივანბეგის ერასტის;
- „სხვათა ყოველთა დარბაზის ერთა“ და ბრძენი, ჭკვიანი მოხუცების მონაწილეობით, რამდენადაც წიგნის ძირითადი წყარო, როგორც აღვნიშნე, ჩვეულებითი სამართალია.

კანონმდებელი გვიხსნის, რომ მოსამართლეს შეუძლია ნახოს კრებულის წიგნები, შეადაროს ისინი საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნს და რომელიც უნდა ის გამოიყენოს. აქვე განმარტავს, რომ ყველა კაზუსისთვის ამომწურავი პასუხის პოვნა, ფაქტობრივად, შეუძლებელია, მათი მრავალფეროვანი ბუნებიდან გამომდინარე, ამიტომ იგი, როგორც აღვნიშნე, ჩამატების შესაძლებლობას უშვებს. კანონმდებელი საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელს (გარდა მშრომელისა) მიმართავს და ამბობს, რომ სამართლის წიგნი დიდი შრომის შედეგად შექმნეს, სხვა სამართლის წიგნთა გადათარგმნა კი ორი წლის განმავლობაში მიმდინარეობდაო.

აღსანიშნავია, რომ ებრაულ, ბერძნულ და სომხურ სამართლის წიგნებს „უფრო უხმარს“, ნაკლებად გამოსადეგს უწოდებს, ამას კი იმით ხსნის, რომ ქართველი კაცი ღალატსა და უკადრისობას სხვაგვარად აღიქვამს, წეს-ჩვეულებები თავისებურია, „სხვა არს სისხლი“ და სხვა.

რაც შეეხება ეროვნული სამართლის წიგნებს - გიორგი V-ის სამართალს, აღბუღასა და კათალიკოსთა სამართლის წიგნებს - მათთან შედარებით, ვახტანგის სამართლის წიგნს **დროის ფაქტორით** აქვთ უპირატესობა. როგორც წესი, ძველი დროის კანონები ახალ დროს არ შეესაბამება. როგორც ვხედავთ, კანონმდებელი კრებულის სხვადასხვა ადგილას ამტკიცებს, რომ სამოქმედოდ ვახტანგის სამართლის წიგნი უფრო შესაფერისია.

მართლაც, იმ შემთხვევაში, როცა განსახილველი კაზუსის შესახებ ვახტანგის სამართლის წიგნში მოიპოვებოდა სათანადო პასუხი, მაშინ მხოლოდ იგი მოიხმარებოდა, ხოლო კრებულში შესულ სხვა წიგნებს სუბსიდიარული მნიშვნელობა ჰქონდა. არსებობს მოსაზრება, რომ ვახტანგის სამართლის წიგნის მოქმედების ძალა დამოკიდებული იყო ცენტრალური ხელისუფლების სიძლიერეზე. თვითონ კანონმდებელი წერს, რომ საქმის განხილვისას სამართლის წიგნთა კრებული მდივანბეგს წინ უნდა ედოს, ხოლო გადაწყვეტილებაში ჩაწერონ, კრებულის რომელი სამართლის მიხედვით ხელმძღვანელობდნენ, თუმცა არ ჩანს, რომ პრაქტიკაში ასე ხორციელდებოდა. თვითონ ვახტანგიც თავის გადაწყვეტილებებში არ მიუთითებს მის მიერ შედგენილ სამართლის წიგნზე.

აღსანიშნავია, რომ ვახტანგის სამართლის წიგნში სამართლის საჯარო საწყისზე აგებული სასჯელის სახეები ნაკლებადაა მოცემული, ზოგჯერ დანაშაული სანქციის გარეშეცაა აღწერილი.

ვახტანგის სამართალი, გარდა ქართლისა, საქართველოს სხვადასხვა სამეფო-სამთავროებში, კახეთში, იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში გამოიყენებოდა. ქართლისათვის მისი კანონები სავალდებულო ხასიათს ატარებდა, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ კანონმდებელი ქართლის მეფე იყო, მაგრამ სხვა კუთხეებში მის სამართალს არ ჰქონია სავალდებულო ძალა, ეს არაფრით მტკიცდება. თუკი ვახტანგის სამართლის წიგნი მთელ საქართველოში მოქმედებდა, ამის მიზეზს წიგნის ქართულ ჩვეულებათა საფუძველზე შედგენა წარმოადგენს, თუმცა მის უშუალო მოქმედებას პირობითი მნიშვნელობა ჰქონდა.

წინა წლის ფინალური გამოცდის 2 ქულიანი კითხვები და პასუხები!

1. დიდი სჯულის კანონის ნაწილები.

- მოციქულთა;
- მსოფლიო საეკლესიო კრებათა კანონები;
- ადგილობრივ საეკლესიო კრებათა კანონები;
- ავტორიტეტულ საეკლესიო მოღვაწეთა ეპისტოლარული კანონმდებლობა.

2. ბექა-აღბუღას სტრუქტურა (მუხლები რომელი ვის ეკუთვნის)

- შესავალი -აღბუღა;
- 1დან 65მდე - ბექა;

- 65დან 98მდე - ალბულა;
- 98დან 103მდე - ბაგრატ კურაპალატი;
- 103დან 175მდე - სავარაუდოდ ბაგრატ კურაპალატი.

3. გეორგიევსკით - საგარეო ურთიერთობები

- გეორგიევსკის ტრაქტატის მიხედვით საქართველო საგარეო ურთიერთობებში შემდეგ პოზიციას იკავებდა: 1მუხლი-უარს ამბობდა ყველა სხვა ქვეყანასთან. 4მუხლი- ეკრძალებოდა ქართლ-კახეთის სამეფოს საგარეო ურთიერთობების დამყარება რუსეთის რეზიდენტთან შეთანხმების გარეშე.

4. მღვდლის ასაკი ძეგლისწერით ძეგლისწერის მიხედვით

- მღვდელი უნდა იყოს არანაკლედ 30 წლის .

5. დამასახიზრებელი სასჯელები ვახტანგთან

- ცრუმოწმეობისთვის და ტყვის გაყიდვისთვის - ნასადი, მტრის მხარეს გადასვლისთვის - ფეხის მოკვეთა, მისნობისთვის და კუდიანობისთვის - გახეიბრება, სამნის მოგლეჯვისთვის - ხელის მოკვეთა, ბატონის შეურაცხყოფისთვის ან ხელით(ან ჯოხით) ცემისთვის - ენის ან ხელის მოკვეთა.

6. გვხვდება თუ არა სიკვდილით დასჯა ვახტანგთან სიკვდილით დასჯა ვახტანგთან

- პირდაპირ არ გვხვდება, მაგრამ არის რამდენიმე ადგილი, სადაც შეგვიძლია, რომ ვივარაუდოთ. მაგ: მუხლი 33 - მეფის, კათალიკოსისა და უფლისწულის მკვლელობისთვის სისხლის ფასი არ წერია. მუხლი 81: ძმისგან ძმის მკვლელობა. მუხლი 82: ძმისგან დის ან დისგან ძმის მკვლელობა. მუხლი 221: ციხის ღალატი. მუხლი 222: რჯულის ღალატი.

7. მამული და მონაგები განმარტეთ

- მამული - მემკვიდრეობით მიღებული მიწის ნაკვეთი. მონაგები - შრომა გარჯის შედეგად მოპოვებული ქონება.

8. საუფროსო (ბაგრატ კურაპალატთან) რას ნიშნავდა

- საუფროსო ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის მიხედვით არის უფროსი ძმის წილი ქონებიდან. დიდებულების შემთხვევაში არის ერთი სოფელი. აზნაურების გაყრისას ერთი გლეხი, გლეხების გაყრისას - ვენახი, ან „უფროსი ჭურნი“

9. მწიგნობრები - რაოდენობა

- სულ არსებობდა 26 მწიგნობარი. მათ შორის, ყველაზე გავლენიანები იყვნენ ზარდახანის და საწოლის მწიგნობრები.

10. **რამდენიმე სარჩელით დავა**
 - შეიძლება, რომ ერთ პროცესის ფარგლებში რამდენიმე სარჩელით ედავათ იმ შემთხვევაში, თუ პროცესის მონაწილე პირებს ერთმანეთის წინააღმდეგ ქონდათ სარჩელები. ანუ, შეიძლება ერთ პროცესზე პირი მოსარჩელეც ყოფილიყო და მოპასუხეც.
11. **მეფისა და კათალიკოსის საერთო იურისდიქცია**
 - მეფისა და კათალიკოსის საერთო იურისდიქციას მიეკუთვნება: მეფისადმი ორგულობა, მეფის სალაროს გატეხვა, საყდრის გატეხვა, ცოლის ტანჯვა ქმრის მიერ და ა.შ.
12. **მანდატურთუხუცესს დაქვემდებარებული მოხელეები.**
 - მანდატურთუხუცესს ექვემდებარებოდნენ შემდეგი მოხელეები: ამირეჯიბი, ეჯიბები, გამგეთუხუცესი(საგანმგეოს უფროსი, მეჯამეთუხუცესი, სარემოს ნაცვალი), მერიგე, მესტუმრე.
13. **რომელი ბაგრატის შესახებ არ მსჯელობს ჯავახიშვილი რომ იყო სამართლის წიგნის შემდგენელი და რატომ?**
 - ბაგრატ V-ს შესახებ, რადგან კურაპალატი არ იყო.
14. **რა საკითხებს განიხილავდა დედოფალი?**
 - სამოქალაქო საქმეებს.
15. **შურისძიების ერთი მაგალითი გიორგი მეხუთის ძეგლის დადებიდან**
 - თუ ადამიანს ცოლს მოსტაცებენ, მას შეუძლია მომტაცებელს სამაგიერო გადაუხადოს თავდასხმით, სახლ-კარის დაწვით, დარბევით, მაგრამ მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში.
16. **რა ერქვა ბექა-აღბუღას სამართლის წიგნს 1672 წლის ნაწერში?**
 - „წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოველთავე.“(ვერაფრით ვერ ვხვდები ეს კითხვა რა მოსატანია...)
17. **რა ტერმინით გამოიხატება მალულად სხვისი ქონების მითვისება?**
 - პარვა.
18. **ძველქართულ სამართალში რას ნიშნავს სისხლი?**
 - ქონებრივი გადასახადი დანაშაულისთვის.
19. **ვახტანგ მეექვსის წიგნის მიხედვით რა დროს გამოიყენებოდა სასამართლო ორთაბრძოლა?მძიმე დანაშაულების დროს. მაგ: მეფის ღალატი, მეფის სალაროს გატეხვა, ეკლესიის გაძარცვა...**
20. **გეორგიევსკის ტრაქტატის სეპარატული მუხლები.**

- რჩევა ერეკლეს, რომ სოლომონთან მეგობრული დამოკიდებულება ჰქონოდა;
- საქართველოში უნდა შემოსულიყო რუსეთის ჯარი(ერთი ბატალიონი 4 ზარბაზნით);
- ომის შემთხვევაში კავკასიის ფრონტის მეთაური უნდა შეთანხმებოდა ერეკლეს. თუ ქართველთა ჯარი ქვეყნის ფარგლებს გარეთ იბრძოლებდა, რუსეთის ხაზინა შეინახავდა;
- რუსეთი ყველანაირად შეეცდებოდა, ზავის შემთხვევაში მტრის მიერ მიტაცებული ტერიტორია დაებრუნებინა ქართველებისთვის.

21. ვის ექვემდებარებოდა ამირეჯიბი?

- ამირეჯიბი ექვემდებარებოდა მანდატურთუხუცესს.

22. განმარტეთ საკარგავი

- საკარგავი იყო მიწის ნაკვეთი, რომელიც ადამიანს მიეცემოდა გარკვეული სამსახურის სანაცვლოდ.

23. ვის ექვემდებარებოდა ამირეჯიბი?

- (მეორე კითხვაა გამეორებული. ნუ, თუ ამირახორი იგულისხმება, მაშინ ამირსპასალარს ექვემდებარება).

24. ერეკლე მეორის დადგენილების მიხედვით ვინ აგებდა პასუხს გლეხის მკვლელის შეფარების გამო.

- გლეხის მკვლელის შეფარებისთვის გამოიყენებოდა კოლექტიური პასუხისმგებლობა. ანუ, პასუხს აგებდა მკვლელის ნათესავები და სოფელი.

25. ვახტანგ მეექვსის სამართლის კრებულის შემადგენელი ნაწილები.

- ვახტანგის სამართლის წიგნი, ებრაული(მოსეს) სამართალი, ბერძნული სამართალი, სომხური სამართალი, აღბუღას სამართლის წიგნი, კათალიკოსთა სამართალი, გიორგი V- ის ძეგლის დადება.

26. რას ნიშნავს ობიექტური პრინციპი.

- დანაშაულის შესარცხვის ობიექტური პრინციპის დროს მთავარია ჩადენილი დანაშაული და ყურადღება არ ექცევა დამნაშავის ასაკს, შერაცხადობას და სხვა ფაქტორებს.

27. რა ღირდა გლეხის, მსახურის, თავადის სისხლი?

- გლეხის - 12 თუმანი მსახურის - 24 თუმანი თავადის - გააჩნია თავადს. 384, 768 ან 1536 თუმანი.

28. რომელ ძეგლშია მოცემული მსოფლიო საეკლესიო კრების გადაწყვეტილებები?

- დიდ სჯულისკანონში.

29. **ბრალის დამამძიმებელი გარემოებები.**
- ცოდვისმოყვარეობა, ცოდვის ხელმეორედ ჩადენა, ნათესავების მიმართ ჩადენილი დანაშაულები, საეკლესიო პირის ან სწავლულის მიერ დანაშაულის ჩადენა, საპატიჟო ადგილას დანაშაულის ჩადენა.
30. **რა ერქვა მოპასუხე მხარეს?**
- მოადი(ასევე, შეწამებული, ან შესმენილი).
31. **რას ნიშნავს „ძალისმიმცემელი“**
- ძალისმიმცემელი - თვითონ არ მონაწილეობს ბოროტმოქმედებაში, მაგრამ ეხმარება შეთქმულებს სხვადასხვა საშუალებებით.
32. **მემკვიდრეობითი სამართლის ობიექტი.**
- მამული, საკარგავი, ნასყიდი, მონაგები, ნასისხლი, ნამზითვი.
33. **ასაბიას მოკვლა და დაჭრა რომელ სამათლის ძეგლშია მოხენიებული?**
- გიორგი V-ის ძეგლის დადგენა.
34. **ჩამოთვალეთ საეკლესიო და უცხოურიდან ნათარგმნი ძეგლები.**
- საეკლესიო ქართული - კათალიკოსთა სამართალი. საეკლესიო უცხოური - მცირე სჯულისკანონი და დიდი სჯულისკანონი. საერო უცხოური - მოსკეს სამართალი, სომხური სამართალი და ბერძნული სამართალი.
35. **რა შემთხვევაში არ ითვლებოდა ქორწინებამდელი ორსულობა განქორწინების საფუძვლად?**
- ქალი ქვრივი იყო და დაქვროვებიდან 1 წელზე ნაკლებ დროში გათხოვდა;
 - ქმარმა იცოდა ორსულობის შესახებ;
 - ქმარმა თვითონ დააორსულა.
36. **სასჯელის სახეები მონღოლთა შემოსევამდე.**
- სიკვდილით დასჯა დამასახიჩრებელი სასჯელი ექსორია და გაძევება თავისუფლების აღკვეთა მტკივნეული სასჯელები ქონების კონფისკაცია („მამულის დაჭირვა“) მოქალაქეობის ჩამორთმევა(მუდმივად ან დროებით) ქონებრივი საზღაური დაკრულება და სხვა საეკლესიო სასჯელები.
37. **სავაზიროში შემავალი ვაზირები**
- მწიგნობართუხუცეს-ჟყონდიდელი ათაბაგი ამირსპასალარი მანდატურთუხუცესი მეჭურჭლეთუხუცესი მსახურთუხუცესი.
38. **რა შემთხვევაში განთავისუფლდებოდა სასიკვდილო სასჯელისგან ტყვის გამყიდველი?**

- თუ თვითონვე გამოისყიდდა გაყიდულ ტყვეს და ჯარიმას გადაუხდის იმ ეპისკოპოსს, რომლის სამწყსოშიც იყო ეს პირი და ამ ტყვის ბატონს.

39. ემიკალასბაშის ფუნქცია.

- ემიკალასბაშს ქონდა საპოლიციო ფუნქცია. კერძოდ, განაჩენის აღსრულება, ქონების კონფისკაცია, ასევე ზოგიერთი საქმის გამოძიება, პირის დაპატიმრება. მეჯლისის დროს წესრიგის დაცვა.

40. გეორგიევსკის ტრაქტატით რა სტატუსი ენიჭებოდა ქართლ-კახეთის კათალიკოსს?

- ქართლ-კახეთის კათალიკოსი ხდებოდა რუსეთის სინოდის წევრი.

41. ლევან მეფის ძეგლები დასტურლამალში.

- მდივანბეგობის გარიგება და ბოქაულთუხუცესის სარგო.

42. სალარო ვის ექვემდებარებოდა?

- მსახურთუხუცესს.

43. საერო სამართლის წყაროები

- იყოფა ორ ნაწილად: 1) სახელმწიფო-სამართლებრივი(კონსტიტუციური) 2) სისხლისა და სამოქალაქო-სამართლებრივი. პირველში შედის ხელმწიფის კარის გარიგება და დასტურლამალი. მეორეში შედის ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნი.

44. ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები.

- უასაკობა, თანხმობის არარსებობა, სისხლით ნათესაობა, სულით ავადმყოფობა.

45. მე-18 საუკუნეში სასამართლოს როგორი პროცესი იყო?

- 18 საუკუნეში გამოიყენებოდა საბრალდებო პროცესი, თუმცა ჩანს სამძებრო პროცესის ელემენტებიც.

46. დასტურლამალში როსტომ მეფის რომელი სამართლის ძეგლებია შეტანილი?

- მურდრის დებულება და ყარაის კონის განაწესი.

47. ექსორია და გაძევება ძველი სამართლით

- ექსორია და გაძევება შეიძლება ყოფილიყო დროებითი ან მუდმივი. ძირითად სახელმწიფო დანაშაულებისთვის გამოიყენებოდა. ექსორიის შემთხვევაში კონკრეტულ ადგილს მიუჩენდნენ საცხოვრებლად(მაგ:ბიზანტია). გაძევების დროს უბრალოდ საკუთარი მიწიდან მოაშორებდნენ.

48. ამირსპასალარს დაქვემდებარებული მოხელეები.

- ამირახორი, მეაბჯრეთუხუცესი, ზარდახანის უხუცესი, აჩუხჩი, ამირჩქარი, მერემეთუხუცესი.
49. სასამართლო მტკიცებულებანი ვახტანგას მიხედვით
- ფიცი, შანთი, მდულარე, ხმალი, მოწმე ცოდვის მოკიდება.
50. შეურაცხადობის გამომხატველი ტერმინები ძვ. ქართულ სამართალში.
- ფრიადი უმეცრებაი გონებისაი და ფრიადი უძლურებაი გონებისაი.
51. როდის შეიქმნა და ვინ აღმოაჩინა ხელმწიფის კარის გარიგება?
- ხელმწიფის კარის გარიგება შეიქმნა მე-14 საუკუნეში. აღმოაჩინა ექვთიმე თაყაიშვილმა.
52. რა შედიოდა მცირე სჯულის კანონში ?
- მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრების კანონები(ტრულის კრება);
 - კანონი შეცოდებულთანი იოანე მმარხველისა;
 - კანონი დღითი-დღეთა ცდთომათანი;
 - ძეგლის წერა სარწმუნოებისაი(მეშვიდე საეკლესიო კრების კანონები).
53. მსახურთუხუცესის ქვემდებარე მოხელეები.
- მოლარეთუხუცესი, მესაწოლეთუხუცესი, ფარემთუხუცესი, ციცხვთუხუცესი, მეხილეთუხუცესი.
54. ბექა-აღბუღას სამართლის წიგნში ვინ ჩანს საერო და საეკლესიო წოდების უმაღლეს რანგად.
- პატრონი ათაბაგი და მაწყვერელი.
55. ბრალის სახეები ექვთიმეს მიხედვით.
- ნებსითი, უნებლიე და ნებსითთან მიახლოებული.
56. ანდერძამდე რა ტერმინებით მოიხსენიებდნენ ანდერძს?
- ანდერძი, დაწერილი, აღუთქმარი.
57. სასამართლოს ტიპები ძველქართულ სამართალში.
- (ამ კითხვაზე მგონი უფრო კარგი პასუხიც შეიძლება, უბრალოდ დავითაშვილის პრეზენტაციებშია პასუხი) სამედიატორო სასამართლო, სახალხო კრება.
58. სასამართლო მტკიცებულებები.
- ვახტანგის მიხედვით: ფიცი, შანთი, მდულარე, ხმალი, მოწმე, ცოდვის მოკიდება. ასევე, აღიარება, ნივთიერი მტკიცებულებები, დოკუმენტი, ექსპერტიზა.

59. ბრალის დამამძიმებელი გარემოებები.
- (ესეც განმეორდა) ცოდვისმოყვარეობა, ცოდვის ხელმეორედ ჩადენა, ნათესავების მიმართ ჩადენილი დანაშაულები, საეკლესიო პირის ან სწავლულის მიერ დანაშაულის ჩადენა, საპატიჟო ადგილას დანაშაულის ჩადენა.
60. კათალიკოსთა სამართლით როგორ ისჯებოდა მამის და ძმის მკვლელი?
- ხელის მოკვეთით და გაძევებით.
61. სასამართლო მტკიცებულებანი დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნის პროექტის მიხედვით.
- აღიარება, მოწმე, წერილობითი დოკუმენტი, ფიცი.
62. დარბაზის ფუნქციები.
- კანონმდებლობის მიღება;
 - მართლმსაჯულების განხორციელება;
 - ომისა და ზავის საკითხების გადაწყვეტა;
 - ელჩების მიღება;
 - თანამდებობის პირების დანიშვნა;
 - დიდ დღესასწაულებზე, ჯარის დაბრუნებისას და ა.შ. დღესასწაულის მოწყობა.
63. როგორი უნდა იყოს მოსამართლე ბაგრატ კურაპალატის სამართლის მიხედვით.
- მოსამართლე უნდა იყოს ღვთისმოშიში, მიუდგომელი, უქრთამო.
64. საქართველოს რომელ კუთხეში გამოიყენებოდა ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი?
- სამცხე-საათაბაგო.
65. რა სახის ძეგლია ხელმწიფის კარის გარიგება?
- სახელმწიფო-სამართლებრივი(კონსტიტუციური) ხასიათის საერო ძეგლი.
66. რა სახის სამოქალაქო საქმეებს ეხებოდა გიორგი ბრწყინვალის ძეგლის დადება?
- ვალი და პროცენტი, გაყრა, ბეითალმანი ქონება, მოხუცი მამისა და შვილების ურთიერთობა.
67. რა განსხვავებაა სიძვასა და მრუმობას შორის?
- სიძვა - დაუქორწინებლები. მრუმობა - დაქორწინებულები.
68. ვისთან ერთად განიხილავდა მწიგნობართსუხუცესი-ჰყონდიდელი საქმეებს სააჯო კარზე?

- ზარდახანის მწიგნობართან და საწოლის მწიგნობართან ერთად.
69. რა სახის ორდალებს ვხვდებით ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში?
- შანთი, მდულარე, ხმალში გატანება.
70. შვილად აყვანილი რა უფლებით სარგებლობდა მემკვიდრეობისას.
- იგივე უფლებებით, რითაც ღვიძლი შვილი.
71. როდის დგებოდა კანონისმიერი მემკვიდრეობა?
- როცა სახეზე არ იყო ანდერძი, ან ბათილი იყო.
72. ვის ექვემდებარებოდა მოღარეთუხუცესი?
- მსახურთუხუცესს.
73. დამნაშავეს ასაკი ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის მიხედვით.
- დანაშაულის სუბიექტი ხდება 10 წელზე მეტის ვინცაა.
74. რა მოჰყვებოდა შერყენებას?
- მამულის ჩამორთმევა და სამხედრო სამსახურის აკრძალვა

2 ქულიანი საკითხები.

პირველსა და მეორე შუალედურზე გამოყენებული 2 ქულიანი კითხვები.

1. ხელმწიფის კარის გარიგების მიხედვით ვინ შედიოდა სავაზიროში და რა მოვალეობები ჰქონდათ მათ?

მწიგნობართუხუცესი-ჰყონდიდელი (სავაზიროს თავმჯდომარე) “ვითა მამა არს მეფისაი” ვაზირთუპირველესი, მეფის მრჩეველი, სამეფო სპისა და სახლის განმგებელი. სააჯო კარის ხელმძღვანელი.

ათაბაგი- ტახტის მემკვიდრის მეურვე, მსხივილი ფეოდალი

ამისრსპასალარი - სამხედრო დარგის ხელმძღვანელი. “უმისოდ ქვეყანა არ გიაცემის”.

“ქვეყის გაცემა” ნიშნავდა მიწითა და გლეხებით ვინმეს დაჯილდოებას მეფის მიერ.

მანდატურთუხუცესი -ვაზირობისა და დარბაზობის დროდ წესრიგისა და

ცერემონიების წესის დამცველი. განაგებდა მეფის ვენახის საქმეებს.

მეჭურჭლეთუხუცესი - მეჭურჭლეთა უფროსი. საჭურჭლე კი წარმოდგენდა

სახელმწიფო ხაზინას, რომელშიც ინახებოდა ყოველდღიურად სახმარი და

სახარჯავი ქონება.

მსახურთუხუცესი- სამეურნეო უწყების ხელმძღვანელი. მას ექვემდებარებოდა

სალარო, რომელშიც ინახებოდა არაყოველდღიურად სახმარი ქონება.

სავაზირო სხდომებში მონაწილეობას იღებდნენ ასევე- ამირახორი, ამერეჯიბი და საწოლის მწიგნობარი

2. სამართლის აღმნიშვნელი ტერმინები ქართული სამართლის წყაროებში.

ივანე ჯავახიშვილის მითითებით, ძვ. ქართულ მწერლობაში და აჟამადაც იხმარებოდა “კანონი” , რომელიც აღნიშნავდა : ა) სამართალს ზოგადი მნიშვნელობით, ბ)სამართლის წიგნის თითოეულ მუხლს, გ)სასჯელს (“განკანონება”) დ) კანონთა კრებულს, სამართლის წიგნს.

ასევე ძვ. ქართულში სამართლის სინონიმად იხმარებოდა “სჯულიც”, თუმცა მას მიანც საეკლესიო სამართლის მნიშვნელობა ჰქონდა და ამით განსხვავდებოდა სამართლისაგან.

3. ივანე სურგულაძის აზრით რომელი ბაგრატ იყო სამართლის წიგნის ავტორი და რატომ?

ივ. სურგულაძე აღნიშნული სამართლის წიგნის ავტორად მიიჩნევს ბაგრატ IV-ს . რის საფუძვლადაც მიიჩნევს იმას , რომ მის დროს ქვეყანაში გავრცელებული იყო აჯანყებები და არეულობა, რაც სწორედ კანონის შედგენის მიზეზი შეიძლება იყოს. აქვე მოყავს მაგალითები ისტორიიდან ,კერძოდ, “მეგლისდადების”, “აღბუღას სამართლის წიგნისა” და “ კათოლიკოსთა სამართლის” შექმნის მიზეზები. ასევე, აღნიშნული სამართლის წიგნის შესავალი გარკვეულწილად მსგავსებას ამჟღავნებს “ოპიზართა სიგელის” მიმართ.

4. რა ევალებოდა ქორეპისკოპოსს კათალიკოსთა სამართლის მე-12 მუხლით?

ქორეპისკოპოსს ევალებოდა საეპისკოპოსებში სიარული და სარწმუნოებრივი წესების: მარხვის დაცვის, უქმე დღეების შენახვის (“მოიხსენე დღე იგი შაბათი და წმინდა ჰყავ იგი “), ნათესაობის შესრულების შემოწმება.

5. რომელია უძველესი საეკლესიო სამართლის წყარო?

მოციქულთა კანონები (I ს.)

6. რა სასჯელი იყო გათვალისწინებული კათალიკოსთა სამართლის მე-4 მუხლის მიხედვით მამისა და ძმის მკვლელობისათვის?

ხელის მოკვეთა და გაძევება

7. ჩამოთვალეთ მხითარ გოშის სამართლის წიგნის წაროები.

მოსეს ხუთწიგნეული, თეოდოსისა და იუსტინიანეს კანონები, მსოფლიო და ადგილობრივ საეკლესიო კრებათა კანონები, “წმინდა მამათა” კანონები, სომხური ჩვეულებითი ნორმები.

8. როგორ ხდებოდა სომხების მართლმადიდებლურ წიაღში შემოსვლა?

რუის ურბნისი მეგლისწერა ეხება “ხაჩეცართა” (სომეხ მონოფიზიტთა სახელწოდება “ხაჩ ეცარ “ - ჯვარს ეცვ) მართლმადიდებლურ წიაღში დაბრუნების საკითხს. მათ მეგლისწერა მწვალებლებად მიიჩნევს და ამობობს, რომ მათი მიღება ეკლესიაში ისე უდა მოხდეს, როგორც წარმართებისა (აღნ. მუხლი წინააღმდეგობაში მოდის ტრულის კრების დადგენილებასთან, რომელის მიხედვითაც მონოფიზიტთა ხელახალი გადანათვლა არ იყო საჭირო)

9. რით ისჯებოდნენ სამღვდლო პირები ცუდი ყოფაქცევის გამო (გააჩნია რა იგულისმება “ცუდი ყოფაქცევაში”) ?

ძირითად სასჯელად კი გამოიყენებოდა განკვეთა, ექსორია, რაიმე სახის ეპიტიმია (საეკლესიო სასჯელი)

10. კათალიკოსთა სამართლის მე-14,მე-15 მუხლებზე იყო კითხვა.

კათალიკოსთა სამართლის მე-14 მუხლის მიხედვით,ვინც წინაღუდგებოდა ეპისკოპოსს თავისი საქმიანობის შესრულებაში, ეს ჩაითვლებოდა მეფის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულად და ურჩობად. მე-15 მუხლის მიხედვით, თუ ეპისკოპოსი სარწმუნოებრივ საკითხებში წინ აღუდგებოდა კათალიკოსს და არ შეისმენდა მის შთაგონებას, ამ დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში ასეთი ეპისკოპოსი მეფის მიერ ექსორია ქმნილ უნდა ყოფილიყო.

11. დასტურლამალის შემადგენელი ნაწილები:

სადედოფლო დასტურლამალი - “სააღაპოდ მისაცემი მარიამ დედოფლისათვის”

შედგენილია გიორგი XI-ის მიერ. 42 მუხლისგან შედგება

ლევან მეფის (ვახტანგ VI-ის მამის) მიერ შედგენილი მდივანბეგობის გარიგება და ბოქაულთუხუცესის სარგო.

როსტომ მეფის მიერ შედგენილი მურდროს გარიგება და ყარაის კონის განაწესი

გიორგი XI-ის მიერ შედგენილი ყაიყულის შესახებ გარიგება

12. რომელი ნაშრომები ეკუთვნოდა როსტომს დასტურლამალის მიხედვით?

მურდროს დებულება და ყარაის კონის განაწესი

13. ვინ აღმოაჩინა და როდისაა დაწერილი ხელმწიფის კარის გარიგება?

აღმოაჩინა ექვთიმე თაყაიშვილმა, წარმოადგენს XIV საუკუნის ძეგლს.

14. სად და როდის ითარგმნა ბერძნული სამართლის ქართული ვარიანტი?

1670 წელს ვლახეთში მოლდავეთ-ვლახეთის მპყრობელის იოანე დუკას ვოევოდას დროს.

15. ვინ ესწრებოდა სავაზირო სხდომას “ხელმწიფის კარის გარიგების” მიხედვით?

მწიგნობართუხუცესი, ათაბაგი, ამისპასალარი, მანდატურთუხუცესი,

მეჭურჭლეთუხუცესი, მსახურთუხუცესი, ამირახორი, ამირეჯიბი და საწოლის

მწიგნობარი.

16. სირიულ-რომაული სამართლის რა ტექსტებია ცნობილი?

სირიული, არაბული და სომხური.

17. კათალიკოსთა სამართლის შესავლის მიხედვით ძეგლის შედგენის ოთხი

ძირითადი მიზეზი.

კაცის კვლა, კაცის სყიდვა,ეკლესიათა კრებვა, უპატიობა,

18. დასტურლამალიდან რომელი ძეგლები ეკუთვნოდა გიორგი მეთერთმეტეს?

“სააღაპოდ მისაცემი მარიამ დედოფლისათვის “ სადედოფლო დასტურლამალი და ყაიყულის შესახებ გარიგება

19. ვახტანგის სამართლის წყაროები.

მის ძირითადად წყაროს წარმოადგენს ჩვულებითი სამართალი, ასევე: ძეგლის

დადება, ბექასა და აღბურას სამართალი, კათალიკოსთა სამართალი, სომხური,

ბერძნული და ებრაული სამართალი.

20. ელგუჯა გიუნაშვილის მოსაზრება მცირე სჯულისკანონთან დაკავშირებით.

ე. გიუნაშვილის მიხედვით, ძეგლის II, III და IV ნაწილები შესრულებულია იოანე მონოზონის “კანონარის”, უცნობი ავტორის “კანონიკონისა” და კონსტანტინოპოლის 843 წლის ადგილობრივი კრების ძეგლისწერის მიხედვით.

21. რატომ სარგებლობდა მიწის გაცემის დროს ამირსპასალარი ამხელა უფლებებით?

“საკარგავი” ძირითადად გაიცემოდა ხოლმე სამხედრო სამსახურის მიხედვით და გამომდინარე იქიდან, რომ ამისპასალარი სამხედრო საქმის მეთაური იყო, სწორედ მას შეეძლო ყველაზე მეტად სცოდნოდა ომის მონაწილეთა საქმიანობა. არსებობს მოსაზრება, რომ ეს უფლება ამისრპასალარს თამარის დროს მიენიჭა, აჯანყებულ დიდებულთა დაკმაყოფილების მიზნით.

22. რას ნიშნავს ტერმინი “მიშვება”?

მიშვება ნიშნავს თანამდებობის პირის მიერ ბოროტმოქმედისთვის საშუალების მიცემას, თავისი უმოქმედობით. მისი შესატყვისი დღევანდელი ტერმინია “მიმნებელობა”

23. რა უფლებები თუ მოვალეობები ჰქონდა ფარემთუხუცესს და რას ნიშნავს “საფარემო”?

ფარემთუხუცესის განგებლობაში შედიოდა ფარეშნი და საფარემოები. საფარემო კი წარმოადგენდა შინაური მეურნეობისათვის განკუთვნილ საწყობს. მაგალითად არსებობდა სანთლებისა და სანდლებისათვის ცალკე საფარემო.

24. რა სამართლებრივი შედეგი მოჰყვებოდა სიმთვრალეში ჩადენილ დანაშაულს?

ვახტანგის სამართლის წიგნის 95- ე მუხლი ეხება სიმთვრალეში ჩადენილ დანაშაულს, რომლის მიხედვითაც ამ მდგომარეობაში ჩადენილი დანაშაულისთვის პირს სისხლზე მეტი თუ არა, ნაკლები არ მიეცემოდა, ანუ შეიძლებოდა დამამძიმებელ გარემოებადაც კი ჩათვლილიყო. აღნიშნული კი დასაბუთებულია იმით, რომ ღვინის ზედმეტი დოზირება იწვევს აჩქარებას და პირმა არ უნდა დალიოს იმდენი, რომ მივიდეს დანაშაულამდე.

25. რას ნიშნავს ტერმინი ძალისმცემელი?

ძალისმცემელი არ იყო დანაშაულის უშუალო მონაწილე, მაგრამ მის განსახორციელებლად რაღაც საშუალებას აძლევდა.

26. ბრალის რომელი ფორმის საილუსტრაციოდ აქვს მოყვანილი ექვთიმეს ორსული ქალისათვის ბავშვის მოსაშორებლად საწამლავის დაღვინება?

განზრახვასთან მიახლოებული ნებისითი ბრალის საილუსტრაციოდ.

27. დამნაშავის ზნეობრივი გამოსწორება, როგორც სასჯელის მიზანი.

ექვთიმე მტაწმინდელი სასჯელის დანიშნულებად თვლიდა “წვრთნას”. გიორგი მთაწმინდელი მოგვითხრობს, რომ ექვთიმე მიდიოდა ხოლმე დასკილ ბერებთან და მათ ნუგეშს სცემდა. მას წესად ჰქონია “წრთუსი შემდეგ” ყოფილ დამნაშავეთა ნუგეშიცემა და დასაჩუქრება ჩოხითა და საბეჭურით. (საბეჭური ტილოზე ამოქარგული ჯვარია. მასზე გამოსახულია ჯვარცმის ელემენტები: ლურსმანი, ცაქუჩი, მამალი, რომელმაც პეტრეს ამცნო მაცხოვრის 3-გზის უარყოფა).

28. საჭურჭლესა და სალაროს შორის განსხვავება.

საჭურჭლეში ინახებოდა ყოველდღიურად სახმარი ქონება, ხოლო სალაროში არაყოველდღიურად სახმარი.

29. მკვლელობის აღმნიშვნელი ტერმინები.

მოკვლა, მკულელობა, კაცისკვლა

30. დაახასიათეთ საპატიჟო ადგილი.

საპატიჟო ადგილას ჩადენილი დანაშაული ითვლებოდა პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად. აღნ. ადგილსი კი იგლისხმება დიდი სალარო ან ეკლესია, ჯოგი და მისი მითვისება

31. ვინ იყო ამირეჯიბი და რა ფუნქციები ჰქონდა მას?

ამირეჯიბი იყო მანდატურთუხუცესის მოადგილე, ეჯიბების (მეკარე, კარისკაცი) უფროსი. მონაწილეობდა ვაზირობაში

32. რას ნიშნავს ტერმინი ცოდვა?

ი. ჯავახიშვილის თქმით, ცოდვა არის სამართალდარღვევის ზნეობრივ-სარწმუნოებრივი სახე. შეცოდება კი დანაშაულებას ნიშნავს.

33. განმარტეთ ძალისმიმცემელი და შინათგამცემელი.

ძალისმცემელი არ იყო დანაშაულის უშუალო უანამონაწილე, მის განსახორციელებლად აძლევდა რაიმე საშუალებას შინათგამცემელი- თანამონაწილე, რომელიც ბოროტმოქმედს ეხმარებოდა შინაური საიდუმლოს გამჟღავნებაში

34. ერეკლე მეორის დადგენილების მიხედვით რა სასჯელი იყო გლეხის მკვლელობისათვის და რა ხდებოდა მისი მიმალვის შემთხვევაში?

დაადგინა 24 თუმანი გლეხის მკვლელობისათვის, რადგანაც მანაც არ იმოქმედა გაზარდა 30 მდე, თუმის , წუხის ან ქართლელის მკვლელობისათვის. თუ მკვლეელი დაიმალებოდა, პასუხს აგებდნენ მისი ნათესავები და სოფელი

35. თამარის ისტორიკოსის ცნობით რა სასჯელი იყო მეფის შეურაცხყოფისათვის?

ჯერ ენის მოკვეთა, ხოლო შემდეგ სიკვდილით დასჯა- თავის მოკვეთა.

36. საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები.

მეკობრეობა და ავაზაკობა, პარვა, რბევა, ძარცვა.

37. როგორი შემადგენლობისა იყო ამირსპასალარის ჯარი?

სამეფო სპა- საქართველოს ცალკ. კუთხეებიდან გამოყვანილი ჯარი ყივჩაღთა ჯარი

როქი სპა- კავკასიის მთიელთა და სხვა ყმადნაფიცი ქვეყნებიდან, “სამსახურში” გამოყვანილი ჯარი

მონა- სპა მეფის პირად მცველთა არმია (დავით აღმაშენებლის მონა- სპა შედგებოდა 5 000 მეომრისგან) შედგებოდა ქვეითებისა და ცხენოსნებისგან

38. რას ნიშნავდა ძველქართულ სამართალში სისხლი?

სისხლი წარმოადგენდა ქონებრივ სასჯელს დანაშაულისთვის.

39. რით განსხვავდებოდა ერთმანეთისგან განდგომა და ღალატი?

განდგომა წარმოადგენდა პირდაპირ, გულახდილ მოქმედებას. ღალატი (არაბ. “სიცრუე”) კი იხმარებოდა მზაკვრული მოქმედების აღსანიშნავად.

40. გამაწილებელი სასჯელები:

ვირზე შესმა, თავზე ნაცრის დაყრა, გატიტვლებული შემოტარება სოფელ-სოფელ.

41. სამეფო ხელისუფლების ნიშნები.

გვირგვინი

პორფირი - მეფის ზედა სამოსელი. მის შიგნით ბისონი ემოსა.

მახვილი და ხმალი

ძელი ცხოვრებისა

დროშა- იყო ორი სახის დიდი (სახელმწიფოსი) და მცირე (მეფის)

42. დაახასიათეთ ორივე შემთხვევა ცალ-ცალკე: აღმზრდელის მიერ აღსაზრდელის შემოკვდომა და საწამლავით მოკვლა.

1-ლი მათგანი ექვთიმეს მოჰყავს უნებლიე მოქმედების აღსანიშნავად, ანუ

გაუფრთხილებლობის საილუსტრაციოდ.

მე-2 შემთხვევაზე კი იგი ამბობს, რომ მოწამვლით მკვლელობა არის ნებისითიც და ბოროტიც.

43. რა სასჯელი იყო გათვალისწინებული მრუმობისას ქალისათვის და მამაკაცისათვის? როგორ სჯიდა მოღალატე ცოლს და საყვარელს ქმარი?

მრუმობისთვის საეკლესიო კანონმდებლობა ადგენდა 15 წლიან უზირებლობას.

მრუმობის ჩამდენ ქალს მეუღლე სახლიდან აგდებდა, თავის სამშობლოში გზავნიდა და საყვარელზე შურს იძიებდა.

44. მეხილეთუხუცესისა და ციცხვთუხუცესის ფუნქციები.

მეხილეთუხუცესს ექვემდებარებოდა სახილე და მეხილეები. ციცხვთუხუცესი იყო

ციცხვების ხელმძღვანელი. ციცხვები განაგებდნენ სასახლის საჭურწლეს, აბანოს

გათბობას, სახლის დაგვას, შემის დაჩეხვას, ცეცხლის დანტებას, წყლის ზიდვას.

ფარეშთუხუცესი და ფარეშნი ეხმარებოდნენ დილით ფეხზე ამდგარ- საწოლიდან გამოსულ მეფეს

45. სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები

განდგომა და ღალატი, მეფის შეურაცხყოფა.

46. ვინ ექვემდებარებოდა მეჭურჭლეთუხუცესს?

“მეჭურჭლენი ქალაქისანი”, მუშრიბი, საჭურჭლის მუქიფი

47. როდის გაჩნდა ათაბაგობის თანამდებობა და ვისი ინტერესების დასაკმაყოფილებლად?

ათაბაგობა არ დაწესებულა 1212 წლამდე. იგი დააწესა თამარ მეფემ ივანე ივანე მხარგრძელის პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად.

48. რას ამბობს ვახტანგის სამართლის 187-ე მუხლი 10 წლამდე ასაკის ბავშვის მიერ ჩადენილ დანაშაულზე?

10 წლამდე პირის მიერ ცადინილი დანაშაული არ ითვალისწინებდა ბავშვის პასუხისგებაში მიცემას. ეს საფათერაკოსავით იყო. ამ შემთხვევაში, ბავშვის

მშობლები ანაზღაურებენ გარდაცვლილის დამარხვის ხარჯებს, დასავეების შემთხვევაში კი სამკურნალო ხარჯებს, რომელსაც სააქიმო ეწოდებოდა.

49. რა შემთხვევაში გამოიყენებოდა დამასახიჩრებელი სასჯელები ვახტანგ VI-ს სამართლის წიგნის მიხედვით?

ქვეყნისა და რჯულის ღალატისათვის, სამნის მოგლეჯისთვის, მისნობის და კუდიანობისთვის, ბატონის გაჯავრებისა და ხელით ცემისათვის.

50. სასჯელთა სახეები მონღოლთა შემოსევამდე.

სიკვდილით დასჯა, სხეულის დამსახიჩრებელი სასჯელები, ექსორია და გაძევება, თავისუფლების აღკვეთა, მტკივნეული(გვემითი) სასჯელები, ქონების კონფისკაცია, ანუ “მამულის დაურვება”, მოქალაქეობრივი უფლებების დროებით ან სამუდამო ჩამორთმევა და გამაწილებელი სასჯელები, ქონებრივი საზღაური დანაშაულისთვის, დაკრულვა

51. რა ტერმინები გამოიყენებოდა შეურაცხყოფის(შეურაცხადობა უნდა ეწეროს) გამოსახატად ძველქართულ სამართალში?

“ფრიადი უმეცრებაი გონებისა” ფრიადი უძლურებაი გონებისა”

52. რა იყო სალარო და მისი რა და რა სახეები არსებობდა?

სალაროში ინახებოდა საგანძური, არაყოველღიურად სახმარი ქონება. იგი ორი სახისა იყო: უძრავი და მოძრავი.

53. რა თანამდებობა იყო აჩუხჩი და ვის დაქვემდებარებაში იყო ის?

აჩუხჩი იყო მეფის დაცვის უფროსი და ექვემდებარებოდა ამირსპასალარს.

54. განმარტეთ კერძო და საჯარო სასჯელები.

გ. ნადარეიშვილის მითითებით კერძო სასჯელი გულისხმობდა დამნაშავეს მიერ კერძო ინტერესების ხელყოფისათვის დაზარებული მხარის დაკმაყოფილება. რაც სეეხება საჯარო სასჯელს, იგი წარმოადგენდა სახელმწიფოს მიერ დაწესებულ იძულებით ღონისძიებებს დანაშაულის ჩადენისათვის. გ. ნადარეიშვილი კერძო სასჯელს უწოდებს სისხლს, ხოლო საჯაროს პატიჟს.

55. ვინ იყო მეჯამეთუხუცესი,ვის დაქვემდებარებაში იყო და რა ფუნქცია ჰქონდა?

მეჯამეთუხუცესი განაგებდა ნიგოზს, ზეთს, საწებელს, მუზაფარს (მწნილი), ტყემალს, მუხუდოს,სამზარეულოსა და უვერცხლო წურწელს, სპილენძის ჭურჭელს, შეშის საკითხს. იგი ექვემდებარებოდა მსახურთუხუცესს.

56. რას გულისხმობს თანამოსაყდრის ინსტიტუტი?

თანამოსაყდრეობა ეწოდებოდა ტახტზე ასვლას მეფის სიცოცხლეში (დავით აღმაშენებელი, თამარი, ლაშა-გიორგი) და მისი მიზეზების შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა.

57. რას ნიშნავს ტერმინი “ფათერაკი” ვახტანგ VI-ს სამართლის წიგნში?

ვახტანგის სამართლის წიგნის 92- ე მუხლის მიხედვით, ფათერაკადაა მიჩნეული კაცის შემოკვდომა ან დაჭრა, თუ თოფი ესროლა ფრინველს ან ნადირს, ხოლო ტყვია კაცს მოხვდა. ყველა ეს შემთხვევა ფათერაკადაა მიჩნეული და ითვალისწინებს საფათერაკო სისხლის მიცემას.

58. რას გულისხმობს კოლექტიური პასუხისმგებლობა ვახტანგ VI-ს სამართლის წიგნის მიხედვით?

დამნაშევე სისხლის ფასის გადაუხდელობის შემთხვევაში ცოლ-შვილით უნდა გადაეცეს მეორე მხარეს.. 75- ე მუხლის მიხედვით, მკვლეელი(გლეხი) თავის ცოლ-შვილით გადაეცემა დაზარალებულს-უფროს კაცს. 151-ე მუხლის მიცედივით, კი ქურდმა დაზარალებულს უნდა გადაუხადოს ნაქურდალის შვიდმაგი ღირებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქურდი თავისი ცოლ-შვილით, საქონლითა და ნასყიდით უნდა მიეცეს დაზარალებულს.

59. დაახასიათეთ საქართველოს მეფის საფინანსო ფუნქცია.

მეფის კომპეტენციაში შედიოდა საფინანსო საქმეების ხელმძღვანელობა. მასზე იყო დამოკიდებული სახელმწიფო გადასახადის და ბეგარისგან გათავისუფლება ეს კი უშუალოდ უკავშირდებოდა ქვეყნის ფინანსებს, ანუ “საჭუქრწლეთა შემოსავლის” საკითხს. შეეძლო წყალობის სიგელის გაცემა მამულის საბოძებლად თუ გადასახადისგან გასათავისუფლებად. წყალობის სიგელებს ზალა ჰქონდა მხოლოდ მის სიცოცხლეში.

60. როგორ ისჯებოდა მრუშობა საეკლესიო სამართლით?

15 წლიანი უზიარებლობით ისჯებოდა

61. რამდენი მწიგნობარი იყო გაერთიანებულ ფეოდალურ

საქართველოში?რომლები გამოირჩეოდნენ?დაახასიათეთ მათი ფუნქცია.

26 მწიგნობარი, მათგან გამორჩეულები იყვნენ საწოლის და ზარდახანის მწიგნობარი, 1-ლი მათგანი ესწრებოდა ხოლმე ვაზირობას, იდგა საწერით ხელში და მწიგნობართუხუცესის ყოველგვარ განკარგულებას ასრულებდა, თან ახლდა მწიგნობართუხუცესს სააჯო კარში,რაც შეეხება ზარდახანის მწიგნობარს, იგი კ გარეთ იცდიდა ვაზირობისას, აღწერდა წელიწადში ერთხელ ზარდახანს (იარაღის საწყობს)

62. ჩამოთვალეთ სასჯელის მიზნები.

სამაგიეროს მიზღვა, პრევენცია, დამნაშავეს ზნეობრივი გამოსწორება, დამნაშავესთვის ხოერციელი და ფიზიკური ვნების მიყენება, საზოგადოებრივი მშვიდობის დამყარება, კანონიერებისა და სამართლის დაცვა

63. არის თუ არა ვახტანგის სამართლის წიგნში სიკვდილით დასჯაზე უშუალოდ მითითებული?

ვახტანგის სამართლის წიგნში არაა უშუალოდ მითითებული ცნობები სიკვდილით დასჯაზე, თუმცა აზმე ირიბად მიგვანიშნებს 221, 22, 33, 81, 82 მუხლები.

64. ვინ ექვემდებარებოდა ამირსპასალარს?

სამეფო სპა, ყივჩაღთა ჯარი, როქის სპა,მონა სპა. ამირახორი, მეაბჯრეთუხუცეი, ზარდახანის უფროსი, აცუხცი, ამირჩქარი, მერემეთუხუცესი

65. რა განსხვავებაა სიძვასა და მრუშობას შორის?

სიძვა ეწოდებოდა დაუქორწინებელი ქალის და მამაკაცის სქესობრივ კავშირს. მრუშობა კი გათხოვილი ქალის ან დაქორწინებული მამაკაცის უცხო კაცთან ან ქალთან სქესობრივი კავშირს

66. ჩამოთვალეთ პასუხისმგებლობის გამომრიცხავი 5 გარემოება.(უნდა ეწეროს ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით)

ომის დროს მტრის მოკვლა

თუ მკვლელობა ჩადენილია განზრახვის გარეშე. თუ მოკლულის ნათესავები მკვლელს განზრახი მკვლელობის ბრალდების წაუყენებდნენ, მას თავი უნდა ემართლებინა ან გადაეხადა სისხლი.

თავდამსხმელის მკვლელობა

თუ ყმა უფროსს (იგულისხმება წოდებით უფროსს) მოკლავს მეორე მოგერიებისას სწორის(წოდებით) მიერ სწორის მოკვლა 1-ლი მოგერიებისას

(p.s ვახტანგის სამართლის წიგნში 10 ცალი გარემოებაა ჩამოთვლილი, ასევე

შეგიძლიათ დაწეროთ:ოჯახის წევრთა მიმართ მოძალადის მოკვლა

მოახლის მიმართ მოძალადის მოკვლა., ითვალისწინებდა დასამარხი ხარჯების გაღებას.

ბატონის მოკვლა თუ მან შელახა ყმის ოჯახური სიწმინდე

მოღალატე ცოლის მოკვლა

ქურდის მოკვლა

67. შეურაცხადობის აღმნიშვნელი ტერმინები.

“ ფრიადი უმეცრებაი გონებისა” , “ფრიადი უძლურებაი გონებისა”

68. ათაბაგი. (გააჩნია რას გვეკითხებიან)

69. მოიყვანეთ სიმბოლური ტალიონის მაგალითი ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით

მტრის მხარეზე გადასვლისათვის ფეხის მოკვეთა.

სამნის მოგლეჯვისათვის ხელის მოკვეთა

70. რა სასჯელი იყო პარვისათვის ძველ ქართულ სამართალში?

ნაპარევის ჩამორთმევა და პატრონისთვის დაბრუნება. ასევე გავრცელებული იყო ნაქურდალის შვიდმაგი ანაზღაურება ე.წ “შვიდეულის წესი”

71. ვინ ექვემდებარებოდა მსახურთუხუცესს?

მოლარეთუხუცესი, მესაწოლეთუხუცესი, ფარესთუხუცესი, ციცხვთუხუცესი, ციცხვები, მეხილეთუხუცესი

72. მწიგნობრის ფუნქციები.

მწიგნობარი ნიშნავს მდივანს, მწერალს. ივ. სურგულაძის მითითებით, მწიგნობარი ადგენდა საქმიან ქაღალდებს,ხელმძღვანელობდა დაწესებულების საანგარიშო განყოფილებას. სამეფო კარზე 26 მწიგნობრის თანამდებობა იყო. მათგან აღსანიშნავია საწოლისა და ზარდახანის მწიგნობრები. 1-ლი მათგანი ესწრებოდა ხოლმე ვაზირობას, იდგა საწერით ხელში და მიწიგნობართუხუცესის ყოველგვარ განკარგულებას ასრულებდა, თან ახლდა მწიგნობართუხუცესს სააჯო კარში,რაც შეეხება ზარდახანის მწიგნობარს, იგი კ გარეთ იცდიდა ვაზირობისას, აღწერდა წელიწადში ერთხელ ზარდახანს (იარაღის საწყობს)

73. რას ნიშნავს საკრძალავი ადგილი?

საკრძალავი წარმოდაგენს სხეულის არეებს, რომლის სეხებაც სიცოცხლისთვის სახიფათოდ იტვლება. მაგ : საფეთქელი.

74. რას გულისხმობდა სამოქალაქო უფლებების ჩამორთმევა და რისი შედეგი იყო ის?

სამოქალაქალაქო უფლებების ჩამორთმევასი იგულისხმება “ ლაშქარსა შიგან არ შეშევება”. ეს მიეჯებოდათ მეფის შერისხვით მათ, ვისაც ეკლესია დაკრულავდა.

75. რა მნიშვნელობით გამოიყენებოდა ტერმინი “მარცვა” ძველქართულ სამართალში?

მარცვა გამოიყენებოდა ქარავანზე ტავდასხმისა და მისი ქონების მითვისების შემთხვევაში

76. რას ნიშნავს “საჭურჭლის მუქიფი”?

საჭურჭლის მუქიფი იყო ძღვენთა გამგე და შედიოდა მეჭურჭლეთუხუცესის დაქვემდებარებაში

77. განმარტეთ “განზრახვის თანაშემწე”.

თანამოქმედს ნიშნავდა, რომელიც დამნასავესთან ერთად მოქმედებდა, ჩადიოდა დანაშაულს.

78. დარბაზობა დიდი და მცირე წესით.

დარბაზობა მცირე წესით წარმოადგენდა საქმიან, საიდუმლო სხდომას, რომელსაც მხოლოდ დარბაზის წევრები ესწრებოდნენ.

დარბაზობა დიდი წესით- დარბაზის ღია სხდომა, რომელსაც გარეშე პირებიც ესწრებოდნენ. ასეთი სხდომა ტარდებოდა მეფედ კურთხევის, გამარჯვებული ლაშქრის დაბრუნებისა და დღესასწაულების დროს.